

6

2011

თეატრი
და
ცხენკვერთა



თეატრი და ცხოვრება

მთავარი რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:
ნოდარ გურაბანიძე,
დავით დოიაშვილი,
ვასილ კიკნაძე,
გიორგი როინიშვილი,
ირაკლი სამსონაძე,
გიორგი სიხარულიძე,
რობერტ სტურუა,
ნათელა ურუშაძე,
თემურ ჩხეიძე

6
2011

ნოემბერი
დეკემბერი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედავითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

თ-391

შინაარსი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
გამგეობის სხდომა ----- 3

სპექტაკლები

- ნოდარ გურაბანიძე** — „თავისუფალი ამ ქვეყნად
მხოლოდ თავისუფლების
ქანდაკებაა“ ----- 12
- თამარ ცაგარელი** — „ხანუმობა“ მუსიკალურ-
კულტურულ ცენტრში ----- 17
- გუბაზ მეგრელიძე** — „ღია შუშაბანდი“ ახმეტელის
თეატრში ----- 19
- ვაჟა ძიგუა** — „სიბნელე განთიადია,
ჯერ არშობილი...“ ----- 22
- გუბაზ მეგრელიძე** — თანამედროვეობის თანხმეერი
სპექტაკლები ----- 25
- ლაშა ჩხარტიშვილი** — ბაქოს თოჯინების თეატრის
პირველი საერთაშორისო
ფესტივალი ----- 27
- ნინო მაჭავარიანი** — რუსთავის თეატრის პრემიერები
და ახალი სახეები ----- 34
- მანანა თევზაძე** — რამდენიმე ესკიზი თბილისურ
სპექტაკლებზე ----- 39
- ლელა ნიფურია** — კლასიკური პროზის
ინტერპრეტაციის საკითხისათვის ----- 45
- გუბაზ მეგრელიძე** — „მაკედონელი“ ლევან ნულაძის
ფიგარო თბილისში ----- 49

პორტრეტი

- მარიამ ბოლქვაძე** — ქეთი ცხაკაია: მსახიობობა
მთელი ჩემი ცხოვრებაა ----- 51
- ნათია ფოთოლაშვილი** — ნანუკა ხუსკივაძე ----- 54
- სოფო ძიდიგური, ლევან გახოკია** — ბათუმის
თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო
თეატრის 75 წლის იუბილე ----- 57

დრამატურგია

- სანდრო მრევლიშვილი** — „უსაზღვრობა დროთა“
(„გალაკტიონი“) დრამა ერთ მოქმედებად ----- 59

Contents

The meeting of board of administration of the
theatre society of Georgia ----- 3

Performances

- Nodar Gurabanidze** - Free in This World
Only is the
Statue of Liberty ----- 12
- Tamar Tsagareishvili** - 'Khanumoba' in The
Musical-Cultural Centre ----- 17
- Gubaz Megrelidze** - 'The Open Glass
Gallery' in Akhmeteli Theatre ----- 19
- Vaja Dziguia** - 'The Darkness is Dawn
Unborn Yet' ----- 22
- Gubaz Megrelidze** - The Performances That are
Appropriate to Contemporaneity ----- 25
- Lasha Chkartishvili** - The First International
Festival of Puppet Theatre in Baku ----- 27
- Nino Machavariani** - The First Nights in Rustavi
Theatre and New Faces ----- 34
- Manana Tevzadze** - Several Sketches on Tbilisi
Performances ----- 39
- LeLa Tcipuria** - To The Interpretation of
Classical Prose ----- 45
- Gubaz Megrelidze** - 'Macedonian' Levan
Tsuladze's 'Figaro' in Tbilisi ----- 49

Portraits

- Mariam Bolkvadze** - Khety Tskhakaia - Being an
Actress Is All My Life ----- 51
- Natia Pitolashvili** - Nanuka Khuskivadze ----- 54
- Sophio Dzidziguri, Levan Gakhokia** - The 75th
Anniversary of Batumi Theatre and Young
People's Theatre ----- 57

The Drama

- Sandro Mrevlishvili** - Infinitness of Times
(Galaktioni) Drama in One Act ----- 59


საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის სხდომა

7 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ როგორც გამგეობის წევრები, ასევე თეატრების მმართველები.

სხდომა გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ქავთარაძემ.

გიორგი ქავთარაძე: ამ შეკრებაზე დასწრება რაიონების თეატრების სხვა მმართველებსაც სურდათ, მაგრამ უამინდობის გამო ვერ შეძლეს ჩამოსვლა. დანარჩენები აქ ვართ და სასიამოვნოა, რომ ერთად გხედავთ. თეატრის მმართველების გარდა, აქ ესწრებიან თეატრის სხვა მოღვაწეებიც. სულითა და გულით მოგესალმებით ყველას. მინდა ერთი უცნაური განცხადებით დავიწყო გამოსვლა: სხვადასხვა თეატრში მოღვაწე ახალგაზრდობა ჯერ კიდევ ვერ ხედავს თეატრალური საზოგადოების დანიშნულებას. მათ ერთმანეთში ერევათ კულტურის პროფკავშირისა და ჩვენი ფუნქციები. დროდადრო ისეთ რამეს ითხოვენ, რაც ჩვენ არ გვყავს.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მერგო პატივი, გაემხდარიყავი კავშირის თავმჯდომარე. მე მქონდა პროგრამა, რომელიც გავაცანი ყრილობას, დავსახე მიზნები და განვსაზღვრე მისი შესრულების ვადები. ახლა მინდა მოგახსენოთ იმის თაობაზე, თუ რა შესრულდა და რა დარჩა შესასრულებელი. პირველი, რაც მე გულით მინდოდა, მოგვეწყო ყველა პრემიერის განხილვა ჩვენთან, საზოგადოებაში და მოგვეწყვია არა მხოლოდ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები, არამედ სხვა თეატრების წარმომადგენლებიც. ზოგიერთი, მართლაც ესწრებოდა, მაგრამ არ გვესწრებოდნენ არც თეატრის მმართველები, არც რეჟისორები. მიუხედავად მრავალგვარი გაფრთხილებისა, განხილვაზე ძალიან ცოტა დამსწრე იყო და ფაქტიურად ეს ღონისძიება ჩაიშალა. შემდეგი გახლავთ — კონფერენცია, რომელიც ასე დავასათაურეთ: „ქართული თეატრი დღეს“. აქ შედარებით უკეთესი სიტუაცია იყო და 40-ზე მეტი ხელოვანი შეიკრიბა. გვყავდა ძირითადი და არაძირითადი მომხსენებლები, გაიმართა დისკუსია და შემოიღია ვთქვა, რომ ეს განხილვა წარმატებით ჩატარდა, მაგრამ ამ კონფერენციასაც იგივე ნაკლი ჰქონდა — ისევ არ მოვიდნენ მმართველები, რეჟისორები და მსახიობები. მხოლოდ კრიტიკოსები იყვნენ. ამიტომ, არ



გამართულა კამათი თეატრის წარმომადგენლებსა და კრიტიკოსებს შორის.

მესამე — ჩატარდა საფესტივალო სპექტაკლების განხილვა. აქ იმდენი დამსწრე არ იყო, რამდენიც კონფერენციაზე, მაგრამ კრიტიკოსების აქტიურობის წყალობით, ეს ღონისძიებაც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ისევ და ისევ არავინ მოვიდა თეატრებიდან და სასაცილო მდგომარეობა შეიქმნა. გამოდის, რომ თეატრებს არ აინტერესებთ არც კრიტიკის და არც პრესის აზრი. აქ ესწრებიან თეატრის მმართველები, მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ სასურველია, ერთი წარმოდგენა გაიმართოს თეატრის მოღვაწეთა და პრესის თანამშრომლებისთვის. შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება, როგორც ჩანს, ზოგადად თეატრისთვის არაფერს წარმოადგენს, რადგან ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი და არავის გახსენებია, რომ მასზე თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ მინვეულნი.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, როდესაც გადავწყვიტეთ სპექტაკლების განხილვების მონყოფა, ჩვენ ამ ღონისძიე-

ბაში სარაიონო თეატრებიც ვიგულისხმეთ. მაგალითად, გორში, მესხეთში, ზუგდიდშიც, ვნახე სპექტაკლები, თუმცა, ყველა ერთნაირად არ მომწონებია, მაგრამ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მმართველები და შემოქმედებითი კოლექტივები შეხმატკბილებულად მუშაობდნენ.

მოვიხსენებ კანონი მასწავლებლების შესახებ ჩვენ მსცოვან მსახიობებზეც გავრცელებულიყო. საუბარია ხელფასთან ერთად პენსიების შენარჩუნებაზე. ამასთან დაკავშირებით დავწერე დიდი წერილი სოცუზრუნველყოფის მაშინდელი უფროსის, მორის ნამალაშვილის სახელზე. მიუხედავად მისი დაპირებისა, ეს ვერ მოხერხდა. ეს საკითხი უნდა გასულიყო პარლამენტზე. მე მაშინ აღვნიშნე, რომ მასწავლებელთა მთელი არმიასა საქართველოში, რომელიც ამ სოციალური შეღავათებით სარგებლობს, თეატრალური საზოგადოება მხოლოდ 210 ადამიანს უწევდა რეკომენდაციას და ამდენად ვთხოვდი მათთვის ამ შეღავათს, გამონაკლისის სახით. საბოლოოდ მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენ ასეთ გამონაკლისებს არ ვუშვებთ.

როდესაც განათლების მინისტრი იყო კარტოზია, მან აკრძალა თეატრში აბონემენტების სისტემა. მართალია, ამ აკრძალვას ოფიციალური სახე არ ჰქონდა, მაგრამ მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც კი ვერ ბედავდა აბონემენტების შეტანას სკოლებში. მე მივმართე სეფერთელაძეს, რომელიც დამპირდა და ამჟამად თეატრები უკვე იყენებენ აბონემენტებს.

ძალიან ხშირად, როდესაც ახლოვდება ქართული თეატრის დღე, ჩვენ ვერ ვახერხებთ თბილისისა და სარაიონო სპექტაკლების ნახვას და ჟიურის წევრთა უმრავლესობას ნანახი არ აქვს სპექტაკლი და ასე ანიჭებენ ჯილდოს. მე ვთქვი, რომ, თუ ავამოქმედებთ ჩვენს დარბაზს, შეგვიძლია ქართული თეატრის დღემდე მოვანყთ იმ სპექტაკლების დათვალიერებას, რომლებიც წარდგენილნი იქნებიან პრემიაზე.

რაც აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი არსებობს, მას სერიოზული რეკონსტრუქცია არ ჩატარებია. გამოჩნდა ერთი ღვთისმშობლის ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა ჩვენი დახმარება. გავარემონტეთ დარბაზი, ტუალეტები, გავიყვანეთ გათბობა, მთლიანად შევცვალეთ სცენის მექანიზაცია, გახმოვანების აპარატურას კი დაგვიფინანსებს ჯგუფი, რომელიც დროდადრო ისარგებლებს დარბაზითაც. ამაზე შევთანხმდებით. წესრიგში მოვიყვანეთ საგრიმიროები, გავანთავისუფლეთ კულისები. მოვანესრიგეთ ფოიეც, ახლა მასზე კარებს დავკიდებთ. საკმაოდ დიდი სივრცე გამოჩნდა და გადავწყვიტეთ, ქართული თეატრის დღეს აქ მოვანყთ გამოჩენილ სცენოგრაფთა ნამუშევრების

გამოფენა. რეკონსტრუირებულ და ახალ-გარემონტებულ დარბაზში, იმედი გვაქვს, იმუშავებენ ჩვენი რეჟისორები: ნუკრი ქანთარია, სანდრო მრეველიშვილი და სხვები. მათ ექნებათ თავიანთი ჯგუფები, დადგამენ სპექტაკლებს და მერე ვნახავთ საერთო სურათს. ჩვენ მოველაპარაკეთ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს, რომლის სასწავლო თეატრიც ველარ აუდის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების ჩვენებას. გადავწყვიტეთ, რომ მცირე ანაზღაურების ფასად მათაც დავუთმობთ ჩვენი სცენა. რაც შეეხება განათების სისტემას, მას ჩვენ აუცილებლად მოვიყვანთ წესრიგში, მაგრამ დღესდღეისობით შეგიძლიათ ერთი-ორი პროექტორი შემოაშველოთ და ეს საკითხი მოაგვაროთ. დარბაზის რეკონსტრუქცია, ვთვლი, ჩატარდა უმაღლეს დონეზე და სხდომის დამთავრების შემდეგ შეგიძლიათ დაათვალიეროთ. ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლებოდა.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება — ხშირად სარაიონო თეატრები ვერ ახერხებენ სპექტაკლების ჩამოტანას, რაც ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში შეგიძლია გავგზავნოთ რამდენიმე თეატრმცოდნე, რომლებიც ნახავენ სპექტაკლებს, განიხილავენ, შეაფასებენ ადგილზე და ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ დაწერენ სტატიებს პრესაში მათ შესახებ.

ადრე, როდესაც კულტურის მინისტრი იყო ვალერი ასათიანი და თეატრალურ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა გიგა ლორთქიფანიძე, ნებისმიერ თეატრში ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშვნა თეატრალური საზოგადოების ჩარევის გარეშე არ ხდებოდა.

ნოდარ ბურბანიძე: კი არ ერეოდნენ, მათ ეკითხებოდნენ აზრს.

სანდრო მრეველიშვილი: კანონში ეწერა რომ ამ თანამდებობებზე დანიშვნა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ამ უწყებებთან.

გიორგი ქაჭთარაძე: და დღეს რომ ეს ასე არ არის, ამის ნათელი დასტურია რუსთაველის თეატრში დატრიალებული ამბები. დღეს ჩვენ გვესწრება რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს ერთ-ერთი წევრი მარინა ჯანაშია და აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ საბჭოს შემადგენლობაში არც ერთი რეჟისორი არ არის.

ასეთივე განუკითხაობას აქვს ადგილი ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. დღეს გვესწრება ბატონი რევაზ თავართქილაძე, რომელიც მოგვახსენებს ამ თეატრის მდგომარეობის შესახებ. სავალალო მდგომარეობაშია რუსთავის თეატრიც. თქვენთან, ბატონი სოსო (მიმართავს რეჟისორ სოსო ნემსაძეს), რამდენადაც ვიცი, ჩანყნარდა სიტუაცია. ალბათ, მცირე-

ოდენი წვლილი ჩვენც მიგვიძღვის, რადგან გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება თქვენი პრობლემის მიმართ.

რუსთავის თეატრიდან გოჩა კაპანაძის განთავისუფლებას სხვას ვერაფერს დავარქმევდი თუ არა თავზედობას. რასაც უნდა, იმას აკეთებენ და გინდა თეატრალური საზოგადოება დაარქვი, გინდა ყრილობა ან პრეზიდუმი, ჩვენ მათთვის არავითარ ანგარიშგასანევ ძალას არ წარმოვადგენთ. როგორც იტყვიან, არასერიოზულად გამოვიყურებით მათ თვალში.

დადებითად ვაფასებ ახმეტელის თეატრის მუშაობის სტილს: ისინი ყოველთვის გვაგებინებდნენ პრემიერებს. ქუთაისის თეატრში რემონტია. კიდევ ერთი — ჩვენი დარბაზი შეემატა თეატრალურ სივრცეს.

ბატონო გიზო (მიმართავს რეჟისორ გიზო ჟორდანიას). თქვენ გოგოლის „რევიზორზე“ მუშაობთ, ხომ შეიძლება ერთი დღე თეატრალური საზოგადოების წევრებისთვის, კრიტიკოსებისთვის გამოყოთ და გვანახოთ სპექტაკლი, ხოლო ხუთი წარმოდგენის გასვლის შემდეგ დავნიშნოთ განხილვა, რადგან პრემიერის შემდეგ განხილვა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. თუ განხილვაზე თეატრალურ საზოგადოებაში არ უნდათ მოსვლა, მაშინ ჩვენ მივიდეთ თეატრში და ადგილზე განვიხილოთ სპექტაკლი.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გავზარდოთ თეატრალური საზოგადოების ავტორიტეტი. ახლოვდება ქართული თეატრის დღე, როდესაც უნდა წავახალისოთ და დავაჯილდოვოთ თეატრის მოღვაწენი. ეს ფულიც მოსაძებნი გვაქვს.

მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ფოიეში გამოფენილი სცენოგრაფიული ნამუშევრები მხოლოდ ქართული თეატრის დღეს არ მიეძღვნება. მე მინდა, რომ ფოიეში, როგორც მცირე ზომის გალერეაში, მუდმივად იყოს გამოფენილი თეატრალური მხატვრების შემოქმედების მნიშვნელოვანი ნამუშევრები და საჭიროების შემთხვევაში მოენყოს მათი პერსონალური გამოფენები.

უნდა გავიხსენოთ, რომ გვინდოდა ჩვენი რესტორნის გადაქცევა კულტურის კლუბად და სახელიც გვქონდა შერჩეული — „სპექტაკლის შემდეგ“. რალა შორს წავიდეს სათეატრო კოლექტივი, რომელიც ჩვენს დარბაზში გამართავს წარმოდგენას. მე ვნახე ერთი ქართველი ბიზნესმენი, რომელიც მუშაობს მოსკოვში (მას რესტორნების ქსელი აქვს) და შესაძლოა დაგვთანხმდეს დაფინანსებაზე. კლუბი უნდა იყოს შეხვედრების, პოეზიის საღამოების, ბენეფისებისა თუ საიუბილეო თარიღების აღნიშვნის ადგილი, მინდა ბენეფისები გავუმართოთ არა მხოლოდ მსცოვან მოღვაწეებს, არამედ ახალგაზრდობასაც

— დამწყებ მსახიობებს, რომლებმაც უკვე ითამაშეს ორი-სამი წარმატებული როლი და ასე წავახალისოთ ისინი. ბენეფისები ყოველთვიურად მოვანყოთ. ასევე აღვნიშნოთ ხსოვნის დღეებიც და გავაცოცხლოთ დარბაზი, სადაც მუდმივად იტრიალებს მაყურებელი.

სანდრო მრავლიშვილი: ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომელიც დღეს დგას თეატრალური საზოგადოების წინაშე არის ის, თუ როგორ გახდეს ის აუცილებელი რგოლი სათეატრო მოვლენების ჯაჭვში. ჩემი აზრით, არაფერი ეშველება ამ საქმეს, ვიდრე ასე იგნორირებული იქნება საზოგადოებრივი აზრი. ღმერთმა ინება, რომ რალაც ცვლილებები მოსალოდნელია ჩვენს ცხოვრებაში. ვიდრე არსებობს კანონი შემოქმედებითი კავშირის შესახებ და ვიდრე არსებობს ეს უხეირო კანონი თეატრის შესახებ ამ კანონებზე დაქვემდებარებული ჩვენი წესდება, მანამდე ჩვენ ასე ვიქნებით. ადრე, როდესაც რეჟისორმა იცოდა, რომ ვერ დაინიშნებოდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე თეატრალური საზოგადოების თანხმობის გარეშე, მაშინ ამ საზოგადოებას ავტორიტეტი ჰქონდა. იქნებ გამოვიყენოთ ჩვენი კონსტიტუციით მონიჭებული უფლება და დავინყოთ მზადება საკანონმდებლო ინიციატივისა, რომ შევიდეს ცვლილებები როგორც მთავარ კანონში შემოქმედებითი კავშირის შესახებ, ასევე კანონში თეატრის შესახებ. ეს საჭიროა იმიტომ, რომ მავან და მავან ჩინოვნიკს არ ჰქონდეს უფლება აკეთოს თეატრში ის, რაც უნდა. როგორც მაგალითად, რუსთავში, სადაც კულტურის დეპარტამენტი რაც უნდა და როგორც უნდა, ისე აკეთებს. როდესაც გოჩა კაპანაძემ მათ ჰკითხა, როგორი თეატრი გინდათო, ასე უპასუხეს — ყურებადით.

გიზო ჟორდანი: არაყურებადი რომელია, რადიო?

სანდრო მრავლიშვილი: სანამ მათ კანონით ექნებათ მინიჭებული ეს უფლება, მანამდე, ვიქნევთ მუშტებს ჰაერში. მე ვფიქრობ, ჩვენი რეკომენდაციით უნდა მოხდეს, მაგალითად, თელავში თეატრის მმართველად დანიშვნა. ამხელა აურზაური ავტყეხეთ მოზარდ მაყურებელთა თეატრის გამო. მეც მიმიწვია ბატონმა გიგამი თეატრში და დავდგი სპექტაკლი. მივხვდი, რომ თეატრში ჯერ კიდევ შემორჩნენ შესანიშნავი მსახიობები, მაგრამ სანამ კანონით არ გვექნება უფლება, ჩავერიოთ თეატრის ცხოვრებაში და შევიწარმოოთ ისინი, მანამდე არაფერი გვეშველება. იქნებ ახლავე შევქმნათ გარკვეული ჯგუფი, რომელიც მოამზადებს ამ ცვლილებების პროექტს. იქნებ ახალ პარლამენტში მივანვძინოთ ხმა — კანონით ამის უფლება გვაქვს.

მეორე — ვიზიარებ ყველა თქვენგანის

მწუხარებას რეჟისორის პროფესიის გარდაცვალების გამო. ასეთი სავალალო მდგომარეობაა. ერთის მხრივ, სასიამოვნოა, რომ ასეთი ახალგაზრდები სამ-ოთხ კვირაში მომზადებულ სპექტაკლებს გვიჩვენებენ სადღაც სხვენზე, სარდაფში. მე მყავს ჯგუფი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, რომელსაც ვეუბნები, რომ რეჟისორი, რომელიც დაგინყებს საუბარს მარტოობის ფილოსოფიაზე, პოსტმოდერნიზმსა თუ ეგზისტენციალიზმზე, იმ წუთშივე გააწყვეტინეთ საუბარი და ჰკითხეთ, რა გავაკეთოთ-თქო. თუკი ამას ვერ გეტყვით, დაანებეთ თავი, ნუ იმუშავებთ მასთან. თეატრში აღარ არიან რეჟისორები, რომლებიც წარმართავენ შემოქმედებით პროცესებს.

კოტე ნინიკაშვილი: გამგეობისგან დევალოს სანდრო მრევლიშვილს შეკრიბოს რამდენიმე ადამიანი და მათთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოადგინოს პროექტი კანონებში შესატანი ცვლილებების შესახებ.

გიორგი ქავთარაძე: ჩემი აზრით, კულტურის სამინისტროც უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში.

ნოდარ ბურბანიძე: ბატონო გოგი, თეატრის მმართველები თუ არიან გამგეობის წევრები.

გიორგი ქავთარაძე: არ არიან ჩვენი საზოგადოების წევრები — მათი უმრავლესობა მოულოდნელად დაინიშნა. ახლა შეიძლება მათი განეწიანება.

გიზო შორღანი: ზაალ ჩიქობავა, ლევან წულაძე, ეკა მაზმიშვილი არ მოვლენ ჩვენთან, სანამ არ ეცოდინებათ, რომ თეატრალური საზოგადოების აზრიც გათვალისწინებული იქნება მმართველთა დანიშვნა-განთავისუფლების თაობაზე. ამდენად აუცილებელია ცვლილებების შეტანა ორივე კანონში. როგორ შეიძლება თეატრალური საზოგადოება არ იღებდეს მონაწილეობას თეატრების თუნდაც ორგანიზაციული მოწყობის პროცესში. კანონის გარეშე ეს შეუძლებელია.

გიორგი ქავთარაძე: ასე რომ გავაკეთო, რომ პრეზიდენტი შეხვდეს მმართველებს?

გიზო შორღანი: ისინი წევრები უნდა იყვნენ. ჩვენი შეკრება არ უნდა იყოს პოლიტიზირებული. ჩვენ უნდა ჩვენს საქმეს ვემსახურებოდეთ: თეატრი არ უნდა იყოს პოლიტიზირებული. აქ უნდა მოდიოდნენ როგორც ერთი ფრთის, ისევე მეორე, მესამე ფრთის წარმომადგენლები. თეატრი უნდა იყოს ყველა მათგანის გამაერთიანებელი და გამთიშველი.

გიორგი ქავთარაძე: პირველივე პრეზიდენტზე უნდა მოვიწვიოთ მმართველები და პირველ რიგში გავანეწიანოთ ისინი.

ნუკრი ქანთარია: მართლაც რალაც შეუძლებელი რამ მოხდა — არ მეგონა, ეს

დარბაზის ასე მცირე დროსა და ურთულეს პირობებში რომ გარემონტდებოდა. მოხერხდა საფესტივალო სპექტაკლების განხილვაც, კონფერენციის ჩატარებაც.

რაც შეეხება მმართველებს, რაში სჭირდებათ მათ თეატრალურ საზოგადოებაში განეწიანება? რაც არ უნდა ვთქვათ, რომ თეატრი აპოლიტიკური უნდა იყოს, ის მაინც პოლიტიზირებულია. თვით მმართველები არიან პოლიტიზირებული, ვინაიდან დანიშნულნი არიან გარკვეული კუთხით. მათ არც მატერიალური დაინტერესება აქვთ საზოგადოებისგან, არც გავლენის სფეროებს ეძებენ. პატრონი ჰყავს კულტურის სამინისტრო. ვერც საზოგადოება გახდება დამსჯელი ორგანიზაცია — ვისაც უნდა შემოვა ნევრად, ვისაც უნდა — არა. აქ უნდა შეიქმნას ისეთი მიმზიდველი სიტუაცია, რომ მას მოუნდეს აქ მოსვლა. მე მაქვს დარბაზის იმედი, რომ ის მოიზიდავს ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს. ბატონო გოგი, თქვენი ინიციატივით უნდა შეიქმნას ახალგაზრდული კავშირი. რაც შეეხება ფესტივალებს, მმართველები თვლიან, რომ ისინი კომერციული ხასიათისაა და თეატრალური საზოგადოება არაფერ შუაშია. როდესაც ალისა ფრენდლიხი ჩამოვიდა, არავის თეატრალურ საზოგადოებაში ის არ მიუწვევია. ადრე საუბარი იყო კულტურის სამინისტროს გაუქმებაზე და მაშინ კატეგორიული წინააღმდეგი წავედი, რა ვიცოდი კულტურის სამინისტრო ასეთ სახეს რომ მიიღებდა. ქუდი რომ შეუგდო, თეატრში არავინ შედის. წინათ თეატრი ასრულებდა წამყვან როლს კულტურის სამინისტროში, დღეს კი აბსოლუტურად იგნორირებულია. ვიდრე არ შეიცვლება ასეთი დამოკიდებულება თეატრის მიმართ, არაფერი გვემეველება. ისე მოვიცეთ, რომ საიტი მაინც გაიხსნას ინტერნეტში, რომელზედაც შეაფასებენ ამა თუ იმ სპექტაკლს.

დიმიტრი ჯაიანი: როგორ შეიძლება რუსთავის თეატრი იყო შ.პ.ს.? პირადად მე, რუსთავის თეატრის ტრადიციებზე გავიზარდე. რა თეატრი იყო! მოფიქრებულად კეთდება, რომ ვაჟა ფშაველა, კოტე მარჯანიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია გაქრნენ თეატრების ლოგოებიდან. მათ იმ ფესვების ამოძირკვა უნდათ, რომელსაც ვაჟა, გამსახურდია ჰქვიათ. მალე რუსთაველის სახელსაც მიადგებიან.

რისთვის გაანთავისუფლეს გოჩა კაპანაძე რუსთავის თეატრიდან? იმიტომ, რომ ერთ სეზონში რვა სპექტაკლი დადგამ? უმრავლესობა ნანახი მაქვს და სპექტაკლი კარგია თუ ცუდი, ამას ვარჩევ. რატომ გამოუშვეს თეატრიდან, დღემდე ვერ გამიგია. ამას წინათ თელავში ვიყავი მეგობართან და გარემონტებულ თეატრში ის სპექტაკლებიც არ მიდ-

ის, რომლებიც რეპერტუარშია, აღარაფერს ვამბობ თეატრის ლოგოზე, სადაც ვაჟას ნაცვლად ხმელი წიფელია გამოსახული. ვაჟა ფშაველა ჯერჯერობით წერია. ისე მიხარია თეატრალური საზოგადოების დარბაზის რეკონსტრუქცია, თითქოს საკუთარი სახლი მიმენდებოდეს.

სანდრო მრეკლიშვილი: აღსანიშნავია გაი თევზაძის და გურამ ახობაძის ღვანლიც ამ საქმეში.

დიბა ჯაიანი: მაგრამ რისთვის კეთდება ყველაფერი ეს, თუკი თეატრალური მოღვაწეები ასე იქნებიან იგნორირებული დღევანდელ ყოფაში?

სოსო ნემსაძე (გორის თეატრის მთავარი რეჟისორი): ძალიან მაღლობელი ვარ იმ მხარდაჭერისთვის, თეატრალური საზოგადოებისგან რომ ვგრძნობთ. ჩვენ თეატრში შიდა კონფლიქტები ჩაცხრა. გვაქვს რამდენიმე კარგი სპექტაკლი. მივალწიეთ იმას, რომ გორში ჩამოვიყვანეთ ირაკლი სამსონაძე, რომელმაც თეატრს დაუწერა პიესა. ჩვენთან მუშაობს მირიან შველიძეც. მაგრამ თვითონ საზოგადოებისგან ვგრძნობთ გულგრილობას. მათ ურჩევნიათ რესტორანში შესვლა, რადგან იქ უფრო ერთობიან. მთავრობისგან არც მე ვარ დაზღვეული, დღეს-ხვალ გოჩასავით მეც არ გამიშვან თეატრიდან. მთავარი პრობლემა მაინც საზოგადოებაშია, რომელიც დაშორდა თეატრს, ჩავიყვანე იქ სტუდენტები, მოვანყვეთ სახალხო სეირნობა, დავბეჭდეთ ბუკლეტები, გვინდოდა თეატრში მოგვეზიდა მაყურებელი, მაგრამ სამი-ოთხი ადამიანი მოვიდა, რომელთაც სახეზედაც კი ვცნობთ. რაც შეეხება სკოლასთან ურთიერთობას, ჩვენ სამინისტროდან მივიღეთ თანხმობა, დავუკავშირდით მინისტრის მოადგილეს, რომელმაც გვითხრა, თუ გაქვთ მსგავსი ტიპის წარმოდგენები, აჩვენეთ მოსწავლეებსო.

მონა კაპანაძე: თუ შეიძლება აქვე აღვნიშნავ, რადგანაც უკვე ახსენეს ჩემი სახელი, რომ, გარდა რვა სპექტაკლისა, მე რვა თოჯინური სპექტაკლიც დავდგი და 15000 სკოლის ბავშვი მოვიყვანე თეატრში. მათი მოყვანის ორგანიზებაც თეატრმა იკისრა. სკოლის ავტობუსები ემსახურებოდნენ.

ვასილ კიკნაძე: რა გითხრათ, რით გაგახაროთ. აბსოლუტურად სხვა სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში მოხვდით. ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლებსაც ბიოგრაფიაში გვაქვს კომუნისტური გადმონამოები, ანუ იმ ეპოქისა, რომელსაც თეატრი სჭირდებოდა თავისი იდეოლოგიის განსამტკიცებლად, მაგრამ ქართული ხალხის, ქართული თეატრის მოღვაწეების გენიალურობა იმაში იყო, რომ, როგორც ილია ამბობდა, ჩვენ ვიცოდით დროის შესაფერისად ცხოვრება. ჩვენ გამოვიყენეთ

და შევქმენით ისეთი კულტი, რომელიც თავისუფალ საქართველოს არ ღირსებია. ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისთვის, ქართული ენის და სხვა მრავალპლანიანი პროცესების შესანარჩუნებლად, პროცესების შენარჩუნებისთვის ჩვენ გვქონდა თეატრი, სადაც ჩქეფდა დიდი თეატრალური ცხოვრება, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს გაუწევდა კონკურენციას. რუსეთი თვლიდა ქართულ თეატრალურ მექად. თბილისში იმართებოდა ფესტივალები, თეატრები გადიოდნენ საზღვარგარეთ და ვიყავით მსოფლიო თეატრალურ რუკაზე ერთ-ერთი გამოჩენილი ქვეყანა. აი, ეს პოტენცია და ენერგია იყო ჩვენს სახლში. ჩვენთან ათასჯერ ნაგინებ სისტემას და სახელმწიფოს თეატრი სჭირდებოდა. დღევანდელმა სახელმწიფომ ქართულ თეატრს საზოგადოებრივ სივრცეში ადგილი ვერ მოუძებნა. მას ჰგონია, რომ თეატრი აღარ სჭირდება და მის მოღვაწეებს აძლევს ხელფასს დასაქმების მიზნით. გინდა, კვირაში ერთხელ ითამაშე სპექტაკლი, გინდა, თვეების მანძილზე ნუ ითამაშებო.

ბატონო გოგი, თქვენ მოღვაწეობა მოგიხდათ ძალზედ დრამატულ პერიოდში. ერთის მხრივ, არის სახელმწიფო, რომელსაც არ სჭირდება თეატრი, მაგრამ აფინანსებს, რათა დასაქმებული ჰყავდეს ხალხი და მეორეს მხრივ, თეატრებს, სადაც არ აღმოჩნდა პასუხისმგებლობის სათანადო დონე, ამან ხელი შეუწყო ნგრევის პროცესს.

დღეს არსებობენ თეატრები, სადაც თვეში ორი წარმოდგენაც არ იმართება (პრემიერებს არ ვგულისხმობ). თვეში ორჯერ რომ იხსნება ფარდა, ეს ხომ მკვდარი თეატრია?! არადა ვინც აფინანსებს, მას შეუძლია მოსთხოვოს თეატრს, მან კვირაში ორჯერ მაინც ითამაშოს სპექტაკლი. არ შეიძლება თბილისიდან მართო სარაიონო თეატრი. ასე, როგორც ბატონმა სანდრომ ბრძანა, ვესწრებით რეჟისორის გარდაცვალებას. თეატრმცოდნეობა გარდაიცვალა. ჰა და ჰა, პატარა ხანი დარჩა. ურთულეს მდგომარეობაში არიან მსახიობები. რეჟისორები თვლიან, რომ სამაგიდო მუშაობა დროის ფუჭად კარგვია, რეპეტიციებიც არ არის ბევრი საჭირო და ხუთ-ექვსს რეპეტიციაში უშვებენ წარმოდგენას. ვუბრუნდებით სცენისმოყვარეობის პერიოდს. თითქოს გაიარა თეატრის კლასიკურმა ხანამ, ამხელა თეატრალური კულტურა მივიღეთ და ახლა უკან-უკან მივდივართ და ვუბრუნდებით სანყისს. რა უნდა ქნას თეატრალურმა საზოგადოებამ, როცა კულტურის სამინისტროს თეატრი არ აინტერესებს. გორში ჩასულ რეჟისორს დანგრეული თეატრი დახვდა. ამ მდგომარეობის სანახავად თეატრში არავინ შესულა, დანყებული პრეზიდენტიდან მისი გარემოცვით დამთავრებული. ამაშია ჩვენი

ტრაგედია. მიმაჩნია, რომ არ არის ნორმალური, როდესაც თეატრის მმართველები თეატრალური საზოგადოების წევრები არ არიან. მივიღოთ წევრებად და იმას მაინც არ გვეტყვიან, თქვენი წევრები არა ვართ და იმიტომ არ მოვდივართო. უნდა ჩავაბათ ისინი ჩვენს მუშაობაში.

ბატონო გოგი, ძალიან მომწონს თქვენი ინიციატივა ბენეფისების თაობაზე. მახსოვს პირველი ბენეფისი იყო ნოდარ ჩხეიძის და ამაზე სტატიაც გამოვაქვეყნე, ეს იყო ზეიმი. შეიძლება ერთი-ორი კარგი როლის თამაშის გამო, ახალგაზრდა მსახიობს ბენეფისი გადაუხადოთ. ამ ღონისძიებაზე მისი თეატრიც და ახლობლებიც მოვლენ. რეგიონის თეატრებიც აქტიურად უნდა ჩაებნენ ამაში. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, რეგიონების თეატრებისადმი ყურადღების გამახვილება.

დავით დვალისვილი: თეატრალურ შეფასებებში გავრცელდა დილექტანტიზმი. შემომაქვს წინადადება შეიკრიბოს რამდენიმე თეატრმცოდნე, მოვიდნენ თეატრში, დაწერონ და კრიტიკულად შეაფასონ სპექტაკლი. მეორე გამოსავალი არის გაზეთი, რომელშიც გამოთქვამენ თავიანთ კრიტიკულ აზრს, მაგრამ ეს გაზეთი უნდა იყოს პოპულარული და არა ჩვენს მიერ დაარსებული. ერთი გვერდი რომ დავგიტომონ, მეტი არ გვინდა. კრიტიკოსთა შეფასებებზე უნდა იყოს დამოკიდებული მსახიობის რეიტინგი. ახლა კი, რასაც უნდა, იმას აკეთებენ, ცუდი რომ დაწერო, ბოლომდე ამოგძირკვავენ. მე მგონი, თქვენ ადრე დადეთ კალმები, ჩემო კარგებო, და გათხოვთ, ისევ აიღოთ ხელში.

მანია კალანდია (ზუგდიდის თეატრის მმართველი): სასურველია, გაკეთდეს ვებ-გვერდი ინტერნეტში, სადაც თეატრმცოდნეები დადებენ თავიანთ მოსაზრებებს, ამით ჩვენ გვექნება ურთიერთობის საუკეთესო ფორმა. ჩვენ შეგვიძლია ინტერნეტით მივიღოთ ინფორმაცია, თუ რა ხდება ზუგდიდის თეატრში. რაც შეეხება სკოლასთან ურთიერთობას, ჩვენ ის არასდროს გავგინყვეტია, მაგრამ, რომ გითხრათ, თეატრმა ამით რაიმე მატერიალური შედეგათი მიიღო, მართალი არ იქნება.

გიორგი ძავთარაძე: მე დავესწარი ამ სპექტაკლს და დანყებამდე, ისეთი ჟრიამული იყო, მეგონა, ვერ გავუძლებდი მთელ წარმოდგენას, მაგრამ როგორც კი სინათლე ჩაქრა, ისე დამთავრდა სპექტაკლი, დარბაზი გასუსული იყო.

მანია კალანდია: ჩვენი პრობლემა მაყურებელი არ არის. ჩვენ არ გვყავს მსახიობები. სულ 14 მსახიობია დასში. მივალნიეთ იმას, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა ჯგუფი გავიხსნა, რომლის პედაგოგია ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი ქანთარია. 1971

წლის კულტურის სამინისტროს მიერ მონერჩილ ქალაქზე, რომელიც არქივში ვნახე, ეწერა, რომ ზუგდიდის თეატრს მოძველებული აქვს ტექნიკური აღჭურვილობა (განათება) და საჭიროებს განახლებას. უნდა მოგახსენოთ, რომ დღესაც იგივე მდგომარეობაა.

ჩვენი მთავარი პრობლემა ის კი არ არის, ვინ იქნება ჩვენი მმართველი და როგორ დაინიშნება ის. ჩვენ გვჭირდება მაყურებელი, რომელიც მოვა თეატრში და ჩვენგან გარკვეული სულიერი ფასეულობით წავა. თეატრი არ უნდა იყოს პოლიტიზირებული, მისი მისია საზოგადოების ყველა სოციალური. დონის გაერთიანებაა.

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ ელექტრონულ ფოსტაზე, სადაც ძალზედ ხშირად იბეჭდება, ბატონო კოტე, თქვენი ყოფილი სტუდენტი ლაშა ჩხარტიშვილი. მე მინდა თქვენც და სხვებმაც დაწეროთ თქვენი შეფასებები ამა თუ იმ სპექტაკლზე და მერე შევაჯამოთ ყოველივე.

მასილ ჩიბოძე: მოგესალმებით და მოხარული ვარ, რომ ისევ თქვენთან ვარ. მახსოვს, თეატრალური საზოგადოების წესდება რომ კეთდებოდა და მისი მიერთება გვინდოდა სახელმწიფო კანონთან, რა დისკუსიები იმართებოდა. მინდა მხარი დავუჭირო ბატონ სანდროს იმის თაობაზე, რომ თუკი მომზადებული გვექნება საკანონმდებლო წესდება უახლოეს დროში, შეიძლება მაშინ მაინც შეეკითხონ ჩვენს მოღვაწეებს აზრი ადმინისტრაციული თუ შემოქმედებითი მოწყობების შესახებ. დამერწმუნეთ, როცა შეკითხვის დონეზე მაინც შეგვანუხებენ და დაინტერესებთ ჩვენი აზრი, ბევრი რამ გამოსწორდება.

ბატონო ნუკრი, თქვენი აზრი თეატრის ახალგაზრდულ მოღვაწეთა კავშირის შექმნის თაობაზე. მისასალმებელია.

კიდევ ერთი, რის გამოც მინდა გადაგიხადოთ მადლობა, ის არის, რომ დაუჯერებლად მცირე დროში, სულ რაღაც ერთ წელიწადში განახლდა ჩვენი დედა-შენობა. ვისურვებდი, რომ თუნდაც ერთი სპექტაკლი დამედგა ამ სცენაზე ან სულაც ოზურგეთის თეატრი ჩამოსულიყო გასტროლებზე ამ სცენაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ნუკრი, სანდრო და ყველანი თქვენ ძალიან ბევრ სპექტაკლს დადგამთ.

მე გოჩა კაპანაძის სპექტაკლების უმრავლესობა ნანახი მაქვს. მე და გოჩას თაობა გვაშორებს, ნიჭიერი რეჟისორია, ამ მხრივაც იქცევის ყურადღებას. რუსთავის თეატრიდან გამკვეთულ მსახიობებს შორის ჩემი მეგობრებიც არიან. მმართველიც გაუშვეს. მე არ ვიცნობ იმ ახალგაზრდა მმართველს, რომელიც ამჟამად ყველა საკითხს ერთპიროვნულად

წყვეტს. ამდენად, თუ კანონში განსაზღვრული არ იქნა თეატრალური საზოგადოების მოვალეობები და მისი როლი თეატრის შემოქმედებით პროცესში, სხვაგვარად არ გვეშველება.

დასასრულს, მინდა გითხრათ, რომ დიდი პაუზის შემდგომ ოზურგეთის თეატრში დავდგი სპექტაკლი, რომელიც ადრე მილტინისის თეატრში დადგმული წარმოდგენის მიხედვით აღვადგინე. ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში გეპატიჟებით ყველას.

ბორა კაპანაძე: მე ვგრძნობ, ბატონო გოგი, თეატრალური საზოგადოების მხარდაჭერას და ვიცი, ის იმ ადგილად გადაიქცევა, სადაც ყოველთვის მოვალ და ჩემს პრობლემებზე ვისაუბრებ. ვიცი, რომ ჩემს ოჯახში ვარ და მინდა გაგანდოთ ის გულისწუხილი, რაც დამრჩა. მინდა გაგახსენოთ ერთი ფაქტი, როდესაც შარშანდელ სეზონზე იყო წარდგენა ნომინაციებზე: საუკეთესო მსახიობი კაცი და მსახიობი ქალი, მე იქ არ ვიყავი, რადგან არც გამგეობის წევრი ვარ და არც — პრეზიდენტი. არ მინდა, რაც წლებს განმავლობაში გრძელდებოდა თეატრალურ საზოგადოებაში, ის ტენდენცია გაგრძელდეს, როდესაც წინასწარ ვიცი, ვინ მიიღებს პრემიას და ვინ — არა. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მსახიობისთვის და მაყურებლისთვისაც სიურპრიზი.

ბიორბი ქავთარაძე: ბოლო ქართული თეატრის დღე რომ ჩატარდა ქუთაისში. მერწმუნეთ, არავინ იცოდა, ვინ იქნებოდა პრემირებული.

ბორა კაპანაძე: მე ეს აქამდე არ მითქვამს და უნდა გითხრათ ის, რაც ჩემს სპექტაკლზე — „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ მოხდა, ჩემთვის ძალიან შეურაცხმყოფელი იყო და მით უფრო — კოლეგებისგან. მე დიდი ხანია მსახიობი ვარ და რამდენიმე წელია, დავიწყე რეჟისორობა. ვარ დიპლომირებული რეჟისორი, მინდა შევახსენო ბატონ ნოდარ გურაბანიძეს, რომ კულტურის სამინისტრომ სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში გახსნა დრამის სარეჟისორო ფაკულტეტი. ერთადერთი გამოშვება იყო და ის დავამთავრე წითელ დიპლომზე. შემდგომ დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი წითელ დიპლომზე. 1991-92 წლებში კი ავიმალე სარეჟისორო კვალიფიკაცია პარიზის პიტერ ბრუკის სახელობის საერთაშორისო ცენტრში. ხოლო რაც შეეხება ჩემს რეჟისორულ მოღვაწეობას, შესაძლოა, ჩემი სპექტაკლები ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავებივით არ ბრწყინავდნენ, მაგრამ ჩემი პროფესიის ანაბანა ნამდვილად მესმის. აქ არის ბატონი დიმა — მის თეატრში მრავალი სპექტაკლი დამიდგამს, რუსთაველის თეატრში უკვე მებ-

უთე წარმოდგენას ვდგამ და არ მგონია, ეს თეატრი ისეთი ხელნამოსაკრავი იყოს, რომ დამწყებ რეჟისორს ამდენი წარმოდგენა. ამდენად, როდესაც ერთი ადამიანი მეორე ადამიანს ცილს სწამებს, მას ამისი დამამტკიცებელი საბუთი უნდა ჰქონდეს.

ბატონო გოგი, მე ვფიქრობ, რომ ყველა რაიონის კულტურის სამსახურის თანამშრომლები ერთხელ მაინც უნდა მოიწვიოთ თეატრალურ საზოგადოებაში, რათა აჩვენოთ ამ საზოგადოების სახე, გაესაუბროთ. და როდესაც ისინი დაუბრკოლებლად ატარებენ თავიანთ პოლიტიკას, ხანდახან მაინც დაუპირისპიროთ მათ თქვენი მოსაზრებები. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ არ შეიძლება, ხალხს, რომელიც ადმინისტრაციულად განაგებს თეატრებს, იქ შესვლის სურვილიც კი არ გააჩნდეთ.

და კიდევ: რაც უფრო ხშირი იქნება ჩვენი აქ შეხვედრები, მით უფრო გამოცოცხლდება ჩვენი მუშაობა, რადგანაც ვიგრძნობთ, რომ ვილაცხას ვჭირდებით.

რაც შეეხება დარბაზს, ეს უდიდესი სიხარული იქნება ჩვენთვის მომავალში, რადგანაც მახსოვს, რომ ადრე რუსეთის და მოძმე რესპუბლიკების დიდი თეატრალური მოღვაწენი ხშირად გვესტუმრებოდნენ და მართავდნენ აქ შემოქმედებით საღამოებს. იქნებ, ეს ტრადიცია ალგვედგინა: ვფიქრობ, ჩვენი განახლებული სცენა უნდა იყოს ყველაზე პრესტიჟული და ყველა რეჟისორს არ უნდა ჰქონდეს მასზე მუშაობის უფლება. ამავედროულად, თქვენი გადასაწყვეტი უნდა იყოს, რომ ეს სცენა იყოს ექსპერიმენტული.

რევაზ თაყვარელიძე: ის უბედურება, რაც მოზარდ მაყურებელთა თეატრს დაატყდა თავს — ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრს — ნურავისთვის იქნება სანყენი და ჩვენი საზოგადოების ბრალიცაა. როგორი განმარტებაც აქვს თეატრს — „ბაღნების თეატრი“, ისეც ეპყრობიან. არაპრესტიჟული თეატრია და არაპრესტიჟულ თეატრში რა უნდა მსახიობს? რაც ყველაზე გულსატკეპნია, ბაღნებიც თამაშობენო. რას ჰქვია არაპრესტიჟული? 1928 წელს კომუნისტების მიერ დაარსებული სახელმწიფო თეატრი დღევანდელ, დამოუკიდებელ საქართველოში აღარავის სჭირდება, უნდა დავხუროთ? ახლა რატომ აღარ არის პრესტიჟული, თუკი ადრე იყო? ჩვენ დღემდე ჩვენი მაყურებელი, რომელიც ადრე სულიერად ფაქიზდებოდა და ზნეობრივად იზრდებოდა ჩვენს სპექტაკლებზე, გვხვდება, გვკოცნის და გვემადლიერება ამისთვის. ჩვენ მოქალაქეებად ვზრდით ნორჩ მაყურებელს, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ვზრდით, ახლა — აღარ. შალვა განერელია ნავიდა თეატრიდან იმიტომ, რომ თეატრის შენობა ველარ ელირსა

და ხელი შეეშალა შემოქმედებით მოღვაწეობაში. დაიხურა თეატრი და ათასში ერთხელ დგამდნენ სპექტაკლს. ასე ვიყავით მრავალი წელი, ვიდრე თეატრში არ მოვიდა ბატონი გიგა ლორთქიფანიძე. ორმა თაობამ დაკარგა ამ თეატრის ხილვის სიხარული და მის გარეშე გაიზარდა. დააკლდათ სულიერი საზრდო ბავშვებს და შედეგაც შესაბამისი მივიღეთ. დღეს თეატრში შემოქმედებითი მუშაობის პროცესი ჩაშლილია. თეატრში არის მხოლოდ დირექტორის ვაჟიშვილი, რომელიც აწყობს არა წარმოდგენებს, არამედ ღონისძიებებს. ზოგი წიგნის პრეზენტაციას მართავს, ზოგი — ტაშ-ფანდურას და იხვეტება და იხვეტება ფული წლების მანძილზე. აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ კულტურის სამინისტროს სთხოვა, რომ ჩვენს თეატრში სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრს გაემართა წარმოდგენა, დანიშნულ დღეს კი მათ დარბაზი არ დაუთმეს — გადაიტანეს მეორე დღეს რალაც დიდი ღონისძიების გამო. ამ ღონისძიებების საშუალებით თეატრში დიდი თანხა შემოდის, მაგრამ მსახიობებს ხელფასი სამი თვეა არ მიუღიათ, მმართველის ახალგაზრდა ვაჟი, მერიდებია ამის თქმა, მაგრამ ნამდვილი ყაჩაღია. იქ არის დირექტორის მოადგილე — ხვადაგიანი, რომლის დედაც გახლავთ თეატრმცოდნე მარინა გუნია და ეს ქალბატონი ძალიან ცუდ სამსახურს უწევს ამ თეატრს. როდესაც თეატრიდან გაუშვეს აუცილებლად საჭირო 15 მსახიობი, ხელისმოწერა დანიშნა ბატონ გიგასთან სახლში. ჩვენს შორის იყო ერთი პიროვნება, რომელმაც არც მწვადი დანვა და არც შამფური, ხელი არ მოაწერა განცხადებას.

ჩვენთან მმართველს აგინებდა, მასთან რომ მივიდა, ჩვენი გინებით იჯერა გული და პატივისცემის ნიშნად ეს ყმანვილი თეატრის ჟურნალის „მოზ-ART“-ის რედაქტორად დანიშნა. ეს ჟურნალი პირველია მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიაში და რომ გადაშლი, ასე გგონია, პირველ გვერდზე ალექსანდრე თაყაიშვილი, გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალთაშვილი და ა.შ. იქნებიან, მაგრამ — არა. პირველი ნომერი მიძღვნილია ამ მსახიობისადმი, მაგრამ მერე ისე მოხდა რომ ამ მსახიობმა კიდევ ერთხელ უღალატა თავის პრინციპებს და თავის მმართველს. „ყვარყვარე თუთაბერი“ დაიდგა მაშინ, როდესაც საქართველოს ედუარდ შევარდნაძე მართავდა. აბულაძის „მონანიებაც“ ამ პერიოდში იყო გადაღებული. თუ სახელმწიფოში პარტიები არ ვარგა, თეატრი მაინც ყოველთვის ჯანსაღი ორგანიზაციაა. ასეთი ჯანსაღი ოპოზიციის მაგალითია სპექტაკლი „ხალხის მტერი“. როცა ანუხებთ, თეატრს პოზიცია, ისინი მასაც კი იშორებენ თავიდან. ასე მოხდა სამეფო თეატრში, რომელიც ჰიტლერის სახის

სცენურ ვერსიას ემსხვერპლა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს აქვს ორი დარბაზი. ღონისძიების ჩატარება მცირეში — 100 ლარი ღირს, დიდში — 200 ლარი. ყოველდღიურად დიდი თანხა შემოდის. მე არ მინდა დავუკარგო ამ კაცს ღირსებები — კარგი ფილოლოგია, წერს, რაც წიგნები აქვს, მათ პრეზენტაციებს მართავს თეატრში, მაგრამ ის არ არის მხატვარი, კომპოზიტორი. მიუხედავად ამისა, ბატონი მიხეილ ანთაძე თავის პიესას თავად დგამს და მუსიკალურადაც თვითონ აფორმებს და ა.შ. ნამდვილი ჩარლი ჩაპლინია. როდემდე უნდა ვითმინოთ ეს. სირცხვილია. რომელ თეატრზე ნაკლებია ჩვენი თეატრი. ჩვენ არ მოვითხოვთ კრებებისა და მიტინგების გამართვას. ვფიქრობ, ერთხელ წერილი უნდა დაიბეჭდოს პრესაში და ყველა ჩვენი გულისტკივილი მივიდეს საზოგადოებამდე.

მურამ ასოზაძე: რაც თქვენ ბრძანეთ, ყველაფერი მოახსენა ბატონმა გოგი ქავთარაძემ კულტურის მინისტრს — ნიკა რურუას. ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

რევაზ თაყაიშვილი: ყველას ნანახი გვაქვს თავისუფალ თეატრში სპექტაკლი „ჯინსების თაობა“. მიხეილ ანთაძემ მოიტანა თეატრში ეს პიესა და სიუჟეტი ასეთი სახეცვლილებით წარმოადგინა: ახალგაზრდას უნდა გასვლა საზღვარგარეთ და დაესია მთელი საქართველო, სად მიდიხარ, ეს შენი სამშობლოა. ის მაინც წავიდა. დიდი ხნის შემდეგ კი მოხუცებული დაბრუნდა და სამშობლოში მოკვდა. მე ვუთხარი: ბატონო მიშა, რას ნიშნავს ეს ცრუპატრიოტიზმი? ორი მილიონი ქართველია გასული საზღვარგარეთ და რას ეუბნება მათ ეს სპექტაკლი? რალაც აბსურდია. „ჯინსების თაობა“ ერთ პრობლემაზე საუბრობს, ამ სპექტაკლს პრობლემაც არ გააჩნია. ერთი წარმოდგენა ერთს ამტკიცებს, მეორე — საპირისპიროს. პრეზიდენტი ეხვეწება ახალგაზრდობას, წადით საზღვარგარეთ, ისწავლეთ, მე დაგაფინანსებთო, ეს არ უშვებს! უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლი აბონემენტზე არ გასულა. ის არც ერთ თეატრმცოდნეს არ უნახავს.

ზურაბ რატიანმა დაწერა პოემა ცოცხე დადიანზე. მოიტანა თეატრში და პოემას წინ დააწერა „დრამატული“. პოემაში არ არის არანაირი სცენური ქმედება, არის მხოლოდ დიალოგები. მმართველი ამზადებდა ამ სპექტაკლს, მაგრამ მოულოდნელად შეწყვიტა მუშაობა მასზე და თეატრი გაჩერდა. ამ ნუთში თეატრში არის დაცვა და სხვა არავინ.

კოტე ნინიკაშვილი: ბატონო რეზო, რაც თქვენ ბრძანეთ, უკვე დაწერილია. მე გირჩევთ გამოაქვეყნოთ თქვენი დღევანდელი გამოსვლა.

ზაზა თედიაშვილი (ცხინვალის თეატრ-

რის მმართველი): ცხინვალის თეატრს მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში გვიმუშავია და გული გვწყდება, რომ დღეს ასეთი სიტუაციაა. არ მესმის, რატომ უნდა ახლოს ხელი მმართველმა სახელფასო ფონდს. სამი თვეა ხელფასი არ გაუცია. ეს დანაშაულია.

14 იანვრის სამზადისი უკვე დაიწყო და მიიწვი გაუწყოთ — ცხინვალის თეატრის 135 წლისთავია. მზადდება დიდი ღონისძიება, რომლის მოწყობაშიც აქტიურად გვეხმარება გოჩა კაპანაძე. ერთადერთი ორგანიზაცია ვართ საქართველოში, რომელიც ცხინვალის სახელით ვარსებობთ. თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს თეატრს საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში მცირედენი ნვლილი მაინც აქვს შეტანილი, გთხოვთ ეს იუბილევ ჩართოთ თქვენს ღონისძიებათა ნუსხაში. ჩვენ მზად გვაქვს რამდენიმე სპექტაკლი და შეგვიძლია ვაჩვენოთ თქვენს ახალგაზრდობულ დარბაზში.

ნოდარ გურაბანიძე: ამჟამად ტერიტორიულად სად არის განთავსებული თქვენი თეატრი?

ზაზა თედიაშვილი (ცხინვალის თეატრის მმართველი): ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, აღმაშენებლის გამზირზე, სადაც ნიკა მემანიშვილის ორკესტრია და მათი რეპეტიციების განრიგზე ვართ დამოკიდებული.

ნოდარ მდინარაძე (გორის თეატრის მმართველი): პირველად ვხედავ ამ შენობაში ასეთ საქმიან საუბარს. მე ვმუშაობდი გორის თეატრში მსახიობად. მახსოვს ნოდარ უნაფქოშვილმა გორის თეატრში სპექტაკლი ერთი ნახვით მოხსნა. მაშინ არსებობდა კრიტიკაც, უფროსობაც, ცენზურაც. დღეს თეატრალურ საზოგადოებას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ორი კვირის განმავლობაში მე და სოსო ნემსაძემ რემონტი გავაკეთეთ საკუთარი ხელებით. მოეწყო აქცია „თეატრი თეატრისთვის“, რის შემდეგ გვაქვს უკეთესი განათება, უკეთესი გათბობა, უკეთესი პირობები, გორის თეატრში იდგმება სპექტაკლები. ჩვენ ფესტივალზე ჩამოვიტანეთ სპექტაკლი „მსხვერპლი“, დავბეჭდეთ ბუკლეტები უცხო ენაზე, თარგმანი გავაკეთეთ დისკზე, მოვიწვიეთ ჩამოსული სტუმრები, მაგრამ

არავინ მოსულა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა გასახარია პერიფერიის მსახიობისთვის, რეჟისორისთვის მათი ნამუშევრის პროფესიული შეფასება. მოველოდი, რომ რაღაც დაინერებოდა ჩვენზე.

სანდრო მრეველიშვილი: სამწუხაროდ, ქართულ სპექტაკლებს არ ჰქონდათ დათმობილი.

ნოდარ მდინარაძე: აბა, რა აზრი ჰქონდა ჩვენს ჩამოსვლას?

სანდრო მრეველიშვილი: ჰკითხეთ ფესტივალის მომწყობებს.

ნოდარ მდინარაძე: მე ყველანაირად ვცდილობ შევიწარმინოთ სოსო ნემსაძე თეატრში. ძალიან მომეწონა დღევანდელი შეკრება. ადრე, როდესაც მსახიობი ვიყავი და სპექტაკლებში ვთამაშობდი, თეატრალური საზოგადოების ამ დარბაზში იმართებოდა ბანკეტი, რაც ნამდვილი თეატრალური ზეიმი იყო. 80-იან წლებში გავიქეცი თეატრიდან იმიტომ, რომ გუშინდელ მოსულს მეძახდნენ, არადა 15 მთავარი როლი და 2 კინოროლი უკვე ეწერა ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში. იმიტომ ვამბობ, რომ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალგაზრდობას. სწორედ რომ ახალგაზრდობას მოჰყავს მაყურებელი თეატრში.

არიან ადამიანები, რომლებიც მხარში გვიდგანან, მაგალითად, გორის გუბერნატორმა დიდი ფინანსური დახმარება გაუწია თეატრს. სააბონემენტო სისტემა კარგი იყო. 90-იანმა წლებმა დაგვიკარგა მაყურებელი. პირველ ივლისს გამოვედი თეატრის ეზოში და 80 ახალგაზრდა შევიპატიჟე. შუა სპექტაკლზე 80-ივე ადგა და დატოვა დარბაზი. თქვენი თანადგომა და ხშირი კონტაქტები, ვფიქრობ, აუცილებელია ჩვენთვის.

გამგეობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ უახლოეს დროში შევიდეს ცვლილებები კანონში შემოქმედებითი კავშირების შესახებ, შესაბამისად, კანონში თეატრის შესახებ და ასევე ამ კანონების მიხედვით, შემუშავებული თეატრალური საზოგადოების წესდებაში, რათა უკეთ გამოიკვეთოს თეატრალური საზოგადოების როლი ქვეყნის სათეატრო ცხოვრების ადმინისტრაციულ და შემოქმედებით მოწყობაში.

სპექტაკლები

ნორკ
გუჩუაზანიძე

„თანისუფალი ან
ქვეყნად მხოლოდ
თანისუფლების
ქანდაკება“

რობერტ სტურუას სპექტაკლებში მოჩვენებები, აჩრდილები (უპირატესად) მთავარი პერსონაჟების ხორცშესხმული ხილვები) იმისათვის გამოდიან სცენაზე, რომ დაგვარწმუნონ ცხოვრების შემთხვევითობათა აუცილებლობასა და მნიშვნელობაში. ისინი განსაკუთრებულ აზრს მაინცდამაინც ჩვენს ალქმის მეშვეობით იძენენ. ამაზეა გათვლილი რეჟისორის ფანტასმაგორიები და მოულოდნელი კოლაჟები, რომელნიც უცნაური, ხშირად მიუწვდომელი სიღრმის პირისპირ გვაყენებენ და გვაიძულებენ უპირობოდ მივიღოთ მის მიერ შექმნილი სამყარო. რა ილუზიურიც არ უნდა იყვნენ ეს აჩრდილები თუ მოჩვენებები, ისინი სცენურ ეპიზოდებს ანიჭებენ სიღრმესა და კონტრასტულობას, ვიტყვოდი, ფიზიკურ ხელშესახეობას და ამ დროს რეჟისორი თავისი ტრიუმფალური ოსტატობის ტყვეობაში გვამყოფებს. კონტრასტი, უპირატესად, პლასტიკური ფორმებითაა გამომხატული. მისი სპექტაკლების გმირები, განსაკუთრებით ტრაგიკული გმირები, სულის სიღრმეში მსახიობები არიან, მაგრამ მათ ეს ჯერ „არ იციათ“, ვიდრე რეჟისორის გენია მათში არ აღმოაჩენს ამ უნიკალურ თვისებას და ამის დემონსტრირების პროვოცირებას არ მოახდენს.

თუ ჰამლეტისაჩრდილს არ მივიღებთ მხედ-

ველობაში, თითქმის ყველა სხვა მოჩვენება ისე მოძრაობს, თითქოს რალაც რიტუალს ასრულებდეს მუსიკისა თუ სამყაროს შეუცნობ ხმებზე. მათი პლასტიკა დახვეწილია, მოძრაობა — შენელებული, განონასწორებული, მრავალმნიშვნელოვანი, მაშინ როცა „ცოცხლები“ თავბრუდამხვევ რიტმში მოძრაობენ, შემორბიან სცენაზე, ძირს ეცემიან, ანგარიშმიუცემლად ეძგერებიან ერთმანეთს, გარბიან, მაღლიდან ეშვებიან, საორკესტრო ნავში ჩადიან, რათა შემდეგ სცენას დაუბრუნდნენ ახალი ენერგიით აღსავსენი.

მაგრამ თუ პიესის გმირი მსახიობია, თანაც ხილვებითა და ფანტაზიებით შეპყრობილი, მაშინ ხომ რ. სტურუას ასპარეზად შეიძლება მთელი ეს თვალმეუდგამი სამყარო იქცეს. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თამაზ ჭილაძის პიესაში „ნადირობის სეზონი“, რომელსაც, ავტორის თქმით, შეიძლება ეწოდოს „სიმარტოვის პოემა“ და რომელიც გამრავალფეროვნებულია ახალგაზრდა მსახიობი ქალის უცნაური განცდებით და უფრო უცნაური ხილვებით, სადაც პოეზიას — ანუ წარმოსახვას, ცხოვრების ყოველდღიური პროზა — ანუ ჩვენს პირობებში, გაუსაძლისი სიდუხჭირე ენაცვლება, სადაც სიზმარი და ცხადი ერთმანეთს ეჯახება და, რაც ყველაზე საოცარია, ისინი არა მარტო მონაცვლეობენ, არამედ ზოგჯერ ერთმანეთს ისე ემთხვევიან, ისე ერწყმიან, რომ ძნელია გაარჩიო, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე.

ეს შეუსაბამობანი კი ხშირად უფრო დრამატულ ეფექტს ქმნიან, ვიდრე კომიკურს.

ღრმა აზრი ძვეს ავტორისეულ „სიმარტოვის პოემაში“, იგი განსაზღვრავს პიესის ჟანრს, მაგრამ რას ვამბობ? აქ სწორედ ჟანრი არ არის, რადგან ყველაფერი მის საზღვრებს მიღმაა გატანილი, რაც ხდება, ლოგიკურ ახსნას ძნელად ექვემდებარება, თუკი საერთოდ ექვემდებარება. თუ, მაინცდამაინც, გვსურს სტანდარტულ ჩარჩოში მოვაქციოთ ეს არასტანდარტული ნაწარმოები, მაშინ იგი, უმაღლეს, „აბსურდის პოემაა“, (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, „აბსურდის პოეზიაა“), სადაც თავისუფლად დანაწარდობს პოეტი-დრამატურგის წარმოსახვა, რომელიც „ხედავს“ უხილავს, „ესმის“ წარმოუთქმელი სიტყვა თუ „უხმაურო ხმაური“ ან გენრიეტად ნოდებული გედის ფრთების შრიალი; ესმის ისევე, როგორც პიესის მთავარ გმირს მოლანდებული უფლისწულის სიტყვები („ლამაზია, ძალიან ლამაზი, რომელიღაც უცხო ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ ყველაფერი მესმის. ტიტრები, კიტრები ახლავს ჩემს სიზმარს“), ხოლო ბუნების ანომალიურ მოვლენებში თვალწარმტაცი პეიზაჟი ელანდება, ბურუსიდან გამომკრთალი („დაბურულ პარკში ერთი პატარა ტბა იყო... საოცარია, როცა წვიმდა, ის

პატარა ტბა კიდევ უფრო პატარავდებოდა“). ყველაფერს ამას ახლავს აფორისტული გამონათქვამები, თავისთავად ლამაზი და მახვილგონივრული ფრაზები თუ პარადოქსები, პერსონაჟების მიერ უდროოდ დროს, მოულოდნელად წამოსროლილი, რაც თითქოს, მკითხველისა თუ მაყურებლის დაბნევისთვისაა გამიზნული („იცოდეთ, ყველაზე მდიდარ ხალხს, ყველაზე ღარიბ ქვეყანაში ნახავთ“).

რ. სტურუამ რუსთაველის თეატრში დადგმული „ჰამლეტის“ გამო შენიშნა — მე იგი დავდგი როგორც ლექსიო. თუ ეს ასეა, და ვფიქრობ, რომ სწორედ ასეა, მაშინ ამგვარი რამ უფრო თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ „ნადირობის სეზონის“ გამო, რადგან ეს პიესა უფრო პოეტ თამაზ ჭილაძის მიერ არის დაწერილი, ვიდრე დრამატურგ თამაზ ჭილაძის მიერ და ასეთი არეულ-დარეული ეპიზოდების, აუხსნელი ეკივოკების, საკვირველი და განსაცვიფრებლად მოულოდნელი დამთხვევების, წარმოსახვების, მოკლედ, პოეტური ინსპირაციების (რომელიც ცხოვრებისეულ ლოკიკას გამორიცხავენ და არამც და არა საკუთრივ პოეზიას) სცენურ-პლასტიკური ამტყველებს ანუ, გასაგებად რომ ვთქვა, დალაგება შეეძლო მხოლოდ სტურუას გენიას, მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ ეს ისედაც არეულ-დარეული სამყარო რ. სტურუამ კიდევ უფრო აურ-დაურია, კიდევ უფრო დაბურდა, რათა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ნათელი გაეხადა. მისი წარმოსახვის ალქიმიამ აქ იპოვა შესაფერი მასალა უცნაური და წარმტაცი თამაშისათვის. უნდა გავიმეორო პიტერ აკროიდის სიტყვები, შექსპირის კომედიის („სიზმარი ზაფხულის ღამის“) გამო გამოთქმული — ამ „კომედიაში აბსურდი და გაუგებრობანი ინვევენ უფრო დიდ შედეგებს, ვიდრე ეს მოსალოდნელია, ყველაფერს — მოტივებსა და სურვილებს წარმართავს და იმორჩილებს ბრწყინვალე ფანტაზია, ინტუიცია და არა სალი აზრის კანონები“... ახლა ხომ ცხადია, რომ სტურუას ბევრი პარადოქსი დღეს აღიქმება როგორც აქსიომა...

ისევე, როგორც თავის დიდ სპექტაკლებში რ. სტურუა შეუთავსებელი პლასტიკიდან იღებდა ძირითად ელემენტებს და ამის საფუძველზე, თავისი განსაცვიფრებელი ინტუიციის წყალობით (ხოლო, როცა იგი მიჰყვება თავის ინტუიციას, იგი დიალია) ქმნიდა ჰარმონიის ახალ ფორმებს, აქაც, კონტრასტების (როგორც პლასტიკური, ასევე, შინაგანი განცდების) ხან შერწყმით, ხან ერთმანეთის მეზობლად განლაგებით, იგი ქმნის მოქმედების უწყვეტ დინამიკას, რასაც, საბოლოოდ ჯამში, მივყავართ ახალი სინამდვილის შექმნამდე.

თუ დავაკვირდებით რუსთაველის თეა-



ია — იამზე სუსიტაშვილი

ტრში მისი „ჰამლეტის“ მომდევნო სპექტაკლებს, ამკარად შევამჩნევთ „სტურუას ახალი თეატრის“ ნიშნებს. სხვათა შორის, თვითონაც ამბობდა — „ჰამლეტის“ დადგმით მთავრდება ჩემი შემოქმედების ერთი ეტაპი და იწყება მეორე, ძიების ეტაპი. ასეთი რამ თქვა მან „რიჩარდის“ დადგმის შემდეგაც, რაც კიდევ

ერთხელ ცხადყოფს რეჟისორის შეგნებულ მიდრეკილებას მუდმივი განახლებისა და თვითაღმოჩენისაკენ, რათა თეატრალურ მაცურებელს დაუბრუნოს, როგორც ანდრეი კონჩალოვსკიმ თქვა, „თეატრის ფესვების შეგრძნება“. ახლა მას უფრო მეტად იზიდავს პლასტიკური მეტაფორებით, განათების — სინათლისა და სრული სიბნელის (რაც თომა აქვინელისათვის გონის მეტაფორა იყო) თამაშით, მსახიობთა მთელი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობებით, მუსიკის უწყვეტობით, უჩვეულო ვითარებისა და გარემოების შექმნით (ძველი ბერძნები ამბობდნენ, უჩვეულო ვითარებაში ადამიანებიც უჩვეულონი არიანო) და მისთვის ჩვეული პოლისემიებით მისწვდეს უნივერსუმის აზრს, ანუ მისწვდეს მიუწვდომელს — ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობათა იდუმალებას, ბოლოს და ბოლოს ამოხსნას მათი ურთიერთზემოქმედების მისტიკური სიღრმე, გაიგოს არა მარტო საზოგადოების ზეგავლენა პიროვნებაზე, არამედ ზებუნებრივი მოვლენების მნიშვნელობა მის ყოფასა თუ ცნობიერებაში. „ჩვენი მიზანი ამ სამყაროში ჰარმონიის ძიებაა, ჰარმონია იდეალია და ჰაერთოდა, თუკი სპექტაკლი გამოვიდა, მასში აუცილებლად არის სიღრმე, რომელიც წინასწარ არ იყო განსაზღვრული — ამბობდა იგი ერთ ინტერვიუში (ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ 4, 2008). მთელი მისი ორიგინალობა იმაშიცაა, რომ ამ საძიებელ ჰარმონიას იგი ხშირად დისჰარმონიით აღწევს, ანუ თავისი განსაცვიფრებელი ინტელექტისა და ასევე განსაცვიფრებელი ინტუიციის წყალობით, იგი იწყებს გრანდიოზულ „თამაშს“: — წარმოსახულ სამყაროს ნაწილებად შლის, რათა ხელახლა ააწყოს იგი, მაგრამ ისე, რომ ეს ნაწილები ძველ ადგილას კი არ დააბრუნოს არამედ განგვაცვიფროს სრულიად მოულოდნელი ჰარმონიით. ჯერ კიდევ მისი „ჰამლეტის“ გამო შენიშნა იან სმირნიცკიმ: „დიადი თეატრის შექმნის სტურუასეული ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადამიანებისგან, მათი შესტების, მოძრაობის და გამოხედვისაგან, სცენის უმარტივესი ხარახურისაგან **მსუბუქად ქმნის დანტეს ტილოებს თვალთმაქცობისა და მოდერნული კეკლუცობის გარეშე**“ (ხაზი ჩემია. ნ. გ.). ძველი ეგვიპტელი ქურუმების მსგავსად, რ. სტურუა თავის „ტაძარში“ დგამს მრავალნაირ გამოსახულებებს, ადამიანის ფიტულებს თუ თაბაშირიდან ჩამოსხმულ თეთრ ფიგურებს სხვადასხვა პოზაში, რომლებიც განასახიერებენ ცოდნას და სიბრძნეს („ყოველგვარი მსჯელობისა და კამათის გარეშე“ როგორც პლოტინიუსი იტყობდა), ფრინველთა მულაჟებს, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, გარდაცვლილთა სულების მატარებელნი არიან, ხოლო გარდაცვლილები

ბლომად არიან „ჰამლეტშიც“ და „ნადირობის სეზონშიც“. ყოველივე ამის შერწყმით იგი ქმნის უძლიერეს ემოციურ-სახიერ სამყაროს, სამაგიეროდ არაფერს გვიხსნის (ისევე როგორც ლექსი), არაფერს გვახვევს თავზე. ეჭვსგარეშეა, სწორედ „ნადირობის სეზონის“ ფანტასმაგორიამ, მისმა უცნაურმა გარდასახვებმა, მთვარეული ქალის სიზმრებმა, მოჩვენებებმა და სხვა მრავალმა უცნაურობამ განაპირობეს რ. სტურუას არჩევანი. იგი თითქოს ელოდა თავისუფალ, უჰორიზონტო სივრცეში განავარდებას და როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა, უმაღვე გამოიყენა იგი.

თუ კლასიკოსი აბსურდისტიების პიესებში მოქმედი პერსონაჟები უპირატესად „გადასროლილი“ არიან უკაცრიელ და უსიცოცხლო სივრცეში (ასე იყო რ. სტურუას ბრწყინვალე სპექტაკლში — „გოდოს მოლოდინში“) ან, უკეთეს შემთხვევაში, ჩაკეტილ გარემოში არიან გამომწყვდეულინი, ამ ახალ სპექტაკლში თემურ ნინუამ და რეჟისორმა შექმნეს უჩვეულოდ ლამაზი „თეთრი გარემო“, უზარმაზარი ტელევიზიანით, ტელევიზორებით (აქ მახსენდება რ. სტურუას სპექტაკლის „ვენიციელი ვაჭრის“ გარემო), თვალშეუდგამი, თეთრად მოქათქათე საწოლით, რომელიც დომინირებს მთელს სცენაზე და ხშირად მოქმედების ცენტრადაა ქცეული (ტყუილად კი არ ამბობს „შლაპიანი“ უცნობი: „საწოლი, აი, ჭეშმარიტი თეატრი... ნამდვილი სცენა-ლოგინია!“). სცენის სიღრმეში ხელუბლმართული თეთრი მანეკენები მთელი სპექტაკლის მანძილზე დგანან. საწოლთან, მაცურებლისაკენ ზურგშექცევით ზის მანეკენი, როგორც ავადმყოფის სასთუმალთან ახლოს ჩამოძვდარი მკურნალი, ხოლო საორკესტრო ნავიდან კიდევ ორ მანეკენს ამოუყვია თავი და ქვევიდან უყურებს სცენაზე გათამაშებულ ამბავს („მეფე ლირში“ მაცურებლის ეული ფიტული ზევიდან, თეატრის დეკორაციის მესამე იარუსიდან დასცქეროდა ტრაგედიას და ფინალში, კატასტროფული ნგრევის შემდეგ, ვაგლახად გამოეკიდებოდა ჰაერში). ზოგჯერ ამ სითეთრეს განუჭვრეტელი სიბნელე ფარავს, ზოგჯერ კი ლურჯი სხივების ფონზე „უფლისწულის“ ფიგურა გამოჩნდება, მოძრავ კიბეზე შემდგარ, ან გედი „გენრიეტა“ ჰაერში აიტაცებს ერთ მთავარ პერსონაჟს და სულ მალლა და მალლა მიაფრენს, რათა მოსწყვიტოს ამ მინიერ რუტინას და სამყაროს თვალუწვდენელ სივრცეში თვალის აუხილოს მრავალფეროვნების შესაცნობად. დეკორაცია ძალიან ლამაზია. ეს ჭეშმარიტად „ლამაზი ჯოჯოხეთია“, აქ უფრო თამაშია შესაძლებელი, ვიდრე ცხოვრება. აქ, ამ ქათქათა საწოლზე დააბიჯებენ რეალური თუ არარეალური პერსონაჟები, ერთ დროს

დახვრეტილი, და, როგორც ეს სტურუას სპექტაკლებში ხშირად ხდება („რიჩარდი“, „მეფე ლირი“, „სტიქსი“, „მაკბეთი“), ხელახლა გაცოცხლებული, თეთრად შესუდრული ადამიანები, რომლებიც ტყუპისცალელებით ჰგვანან ერთმანეთს გარეგნობით და მთელი სპექტაკლის მანძილზე მოგვაგონებენ, რომ ესენი ერთ დროს დახვრეტილთა სულებია, რომელთაც ამ „ჯოჯოხეთში“ თავისი ფუნქცია უპოვნიათ და რომელთაც, მთავარი გმირი, ია „ვერ ხედავს“, თუმცა ისინი ხშირად ეხებიან მას. ერთხელ, სულაც გამართული ხელებით მაღლა აიტაცებენ მის გაშეშებულ სხეულს და „ნაასვენებენ“ სამგლოვიარო-რიტუალური სვლით. როგორც ვთქვი, პირდაპირ თქმას გაურბის რეჟისორი, იგი გვიჩვენებს სიზმრისეულ ფრაგმენტებს და პერსონაჟის მესხიერების სიღრმიდან ამოტივტივებულ მოგონებებს და შენ უნდა მიხვდე თუ რას გულისხმობს რეჟისორი. თუმცა, ის კია საცნაური ამ სპექტაკლში თუ რა სუსტია ეს „მოაზროვნე ლერნამი“, რა ადვილად მონყვილადი, როგორ შეუპყრია იგი „ეგზისტენციალურ შიშებს“, როგორ აშფოთებს მას გამოუცნობი ხმები, როგორ ტანჯავს უხილავი და მოუხელთებელი არსების გამუდმებული თვალთვალი, და ბოლოს, როგორ ირღვევა მისი ფსიქიკა ისე, რომ თავს უბედურად კი არა, ბედნიერად გრძნობს თავისი ხილვების წყალობით, როგორც ჩეხოვის მოთხრობის „შავი ბერის“ გმირი. მაგრამ, ვაი რომ, ეს ბედნიერებაც ეფემერულია და ისლა დარჩენია მთელი ეს არეული დრო და ამბები, გამოცხადებანი და ხილვები, თავისი უმწეო ცხოვრება ერთ მთლიან რეალობად მიიღოს და ამით მაინც გაამართლოს თავისი არსებობა, რადგან კალდერონის პიესის („ცხოვრება სიზმარია“) მთავარი გმირის სიხისმუნდობა არ იყოს „სიკეთე სიზმარშიც სიკეთედ რჩება“.

ყველაფერი ეს, რაც ზემოთ ვთქვი, თავს იყრის, თავის გამოხატვას პოულობს ია სუხიტაშვილის თამაშში... ჩვენ ვიხილეთ უნიკალური ნიჭისა და პლასტიკის მსახიობი. ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის პერიოდიდან ვადევნებდი თვალს ამ გამხდარ, ჰაეროვან, არაჩვეულებრივად მოქნილ ქალიშვილს, რომლის ყოველი მოძრაობა მსუბუქ საბალეტო არაბესკებს მაგონებდა თავისი მეტყველი ხელებით, მშვენიერი აპლომობით და, მიუხედავად სიგამხდრისა, დიდი ფარული ძალის შემცველი სხეულით. მე იგი მინახავს „ცეკვისა და მოძრაობის“ გამოცდებზე და ერთნაირად ჩაცმულ სტუდენტ ქალიშვილებში უმაღლ გამოვარჩიე მისი ჩამოქნილი, უაღრესად მუსიკალური მოძრაობა, თვითდაჯერება, კისრისა და ლამაზი თავის აბრისში გამონათებული სიამაყე. ჩემმა მესხიერებამ მკვეთრად აღბეჭდა მისი სახე, როგორც კონსტანტინე გამსახურ-

დია იტყოდა, „გაფცქვნილ ნარიჯსავით სათუთი და მოყვითანო“. შემდეგ გამაოცა მისმა სიძლიერემ ჯულიეტას როლში, არა მხოლოდ პლასტიკით, არამედ შინაგანი, შემტვევი, ვიტყოდი, აგრესიული ძალით (ტყუილად კი არ უნოდა გოგი მარგველაშვილმა თავის სპექტაკლს „ჯულიეტა და რომეო“, რომელიც შემდგომ მიხილ თუმანიშვილის თეატრში გადაიტანეს), ხოლო ოფელიას როლში ხომ ყველა გაგვაოცა არა მხოლოდ თავისი თანდაყოლილი პლასტიკით და ჰაეროვნებით, არამედ დახვეწილი ოსტატობით, ნატიფი სცენური მომხიბვლელობით და უბედური ქალწულის სულის მიუსაფრობით, ელსინორში მოახლოვებული კატასტროფის გრძნობით. ფინალურ ეპიზოდში ოფელია საფლავიდან ამოდიოდა და სცენის სიღრმისაკენ გაემართებოდა. ამ დროს მისი სხეული მართლა კარგავდა სიმძიმეს, ერთს გაიქროლებდა და გაუჩინარდებოდა... ახალ სპექტაკლში კი თავისი როლის „მარცვალი“ ია სუხიტაშვილმა იპოვა ერთ იმ მონოლოგში, რომელსაც იგი წარმოთქვამს იდუმალის ხმით და ბავშვური მიაშიტიობით, ავანსცენის ხილვე წინ გამოსულ: „მე ახლა ერთ საიდუმლოს ვაგანდობთ, აი, თქვენ გლვიძავთ... მეც მღვიძავს, მაგრამ იქნებ მძინავს და თქვენ მესიზმრებით. აი, როგორ გითხრათ, რატომღაც მგონია, არა — დარწმუნებული ვარ. ეს ჩემი ბინა არ არის, ანუ ჩემი ბინა კი არის, მაგრამ თითქოს სხვაგან, სხვა განზომილებაში, ასე მგონია, ჩემი ბინის დეკორაციაა, მაკეტი, ასლი. სადა ვარ? ღმერთო, იქა ვარ? ჯოჯოხეთია? არ დამიმალოთ! დავიბენი. მივხვდი, ჯოჯოხეთი ადამიანებისთვის არის მოგონილი, ასეთი საშინელი, არაადამიანური ვერ იქნება“.

მართლაც, თუკი ამ მშვენიერ არსებას ვერ გაურკვევია ძილში ეზმანება ეს ყოველივე თუ ცხადში ხედავს მოჩვენებებს, სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ჩვენც შეიძლება გაგვიჩნდეს ეჭვი, იქნებ ჩვენ გვძინავს და სპექტაკლი გვესიზმრება, მთელი თავისი, მართლაც, სიზმრისეული მრავალფეროვნებით, არათანმიმდევრობით, „ნახტომებით“, ულოგიკობით, უჩვეულო სილამაზით და ტელევიზორის უზარმაზარ ეკრანზე გარბენილი კადრებით, საიდანაც გამოგვყვა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, რომ გვჯერა და არც გვჯერა იმისა, რაც სცენაზე ვიხილეთ... თუმცა, მძლავრი ემოციური და ესთეტიკური განცდა ჩვენს სულს მოუხელთებელი სიხარულით ავსებს, რაც ამკარად ნამდვილია, რეალურია... ასეთ განუსაზღვრელ, მოუხელთებელ და მოციმციმე სამყაროს ქმნის რეჟისორი და აქ მისი უპირველესი „იარაღი“ ია სუხიტაშვილი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მისი გმირი — მსახიობი ია, ერთდროულად ყველგან არის, სიზმარშიც, „ჯოჯოხეთშიც“, თავის თეატრშიც,

„მინაზეც“ (უმთავრესად ფეხშიშველად.) და „ჰაერშიც“, მთვარეულია და შეუძლია უფსკრულის თავზე გაბმულ თოკებზე გავლაც, თუკი, რასაკვირველია, მთვარე მიიზიდავს.

მთელი სპექტაკლის მანძილზე მსახიობი ცვლის პლასტიკის ფორმებს და მეტყველების ინტონაციებს, ზოგჯერ ხმის ტემბრსაც კი. ძალიან ადვილად შეუძლია განდობილი ლაპარაკი თავის მოჩვენებასთან, რომელიც მას განუწყვეტლივ „უსმენს“ და „უთვალთვალებს“, შეუძლია ავანსცენაზე გადებულ ხიდეზე „შემოცქერიალდეს“, პათეტიკურ-რომანტიკული ინტონაციებით და ამის შესაბამისი „ამაღლებული“ მოძრაობებით წარმოსთქვას ნაწყვეტი იმ როლისა, რომლის რეპეტიციებსაც გადის „თავის თეატრში“: „იმ მიგდებულ, დაბურულ პარკში, ერთი პატარა ტბა იყო...“. ეს აღსარებასავით მონოლოგი რომ მივისმინე, ვიფიქრე, რაღაც სანუკვარს, ეფემერულ, ძვირფას საიდუმლოს გვანდობს ერთდროულად ია სუბიტაშვილიც და მისი პერსონაჟიც... ყველაფერი უხდება — ფეხშიშველა სირბილიც და მაღალქუსლებიან ფეხსაცმელზე დგომაც. მეზღვაურის ზოლებიანი, გრძელი, უფორმო მაისურიც (რომელიც ვერ ფარავს მისი სხეულის სილუეტს) და საზეიმო

კაბაც და ბალერინას მოკლე, პლისირებული, ნელზე ქოლგასავით გაშლილი ე. წ. „პარკაც“. იგი თავისი წარმოსახვებისა და ფანტაზიის წამიერი ტყვეა, წამიერი კი იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ერთ წამს სჯერა, მართლა დედის საფლავთან რომ დგას („დედის საფლავი ხომ ეკლესიასავითა“), მეორე წამს უცნობ მათხოვარში ქრისტეს, მაცხოვარს შეიცნობს და ალტკინებული შეძახილით ეგებება, მერე კი ამავე კაცში ერვება საკუთარი მამა (რომელიც თეატრში მეხანძრე იყო და მილიციის კლუბში კარლ მოორის როლს თამაშობდა შილერის „ყაჩაღებში“) და გჯერა, რომ წარმოსახვის ეს მშვენიერი თამაში უფრო მშვენიერია, ვიდრე რეალობა, მაგრამ მთელი ტრაგიზმი მხოლოდ იმამია, რომ საბოლოო ჯამში, ორივე ჯოჯოხეთია.

რეჟისორის სკეპსის ვერ ფარავს ტელევიზორის ეკრანიდან გადმოღვრილი მშვენიერი მელოდია და უოლტერ დისნეის „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ „ჰეპი ენდი“, ანუ „კოცნა დიაფრაგმაში (როგორც ძველი კინომატოგრაფისტები იტყოდნენ), რადგან ჩვენს სინამდვილეში უფლისწულები მხოლოდ მეოცნებე და ამ შემთხვევაში ქალიშვილების წარმოსახვაში ცოცხლობენ...



სცენა სპექტაკლიდან. ცენტრში: ალი — ბ. ბარბაქაძე

თავის ცაბაჯელი

„ხანუშობა“ მუსიკალურ- კულტურულ ცენტრში



ერთი თბილისური ამბავი, ამბავი, რომელიც ყველა დროსა და ეპოქაში, თავისი სოციალური სახეებით, ქართული ხასიათის გამომხატველობით, როგორც კომედიური ჟანრი, შემომქედი ადამიანისთვის საინტერესოა, მით უმეტეს, თუ მას ინტერპრეტაციას აძლევ და გსურს მასურებელს იმპროვიზაციული სახით წარუდგინო. მნიშვნელობა არ აქვს ვაჭარი იქნება, თუ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი, მაჭანკალი თუ შ.პ.ს. „გარიგების“ გენერალური დირექტორი ან ინდ. მენარმე, ფირმა „ქორნილის“ მეპატრონე, კინტო თუ მენეჯერი ან თუნდაც რეფერატი, პეტერბურგიდან ჩამოსული, განათლებული, მშვენიერი სილამაზის მქონე გოგონა, თუ უბრალოდ, თეატრისა და გართობის მოყვარული ყმაწვილი ქალი, რომელიც დროებით უმუშევარ, მაგრამ პერსპექტიულ ახალგაზრდაზეა შეყვარებული. ჩამონათვალადან მკითხველს ალბათ ეცნო ზოგიერთი მათგანი. დიახ, ისინი „ქეთო და კოტეს“ პერსონაჟები არიან? სხვები? ისინიც ამავე ნაწარმოების გმირები გახლავთ, მხოლოდ დროა შეცვლილი. XXI საუკუნის „ქეთო და კოტე“, სადაც უკვე არსებობს სოციალური ქსელი facebook-ი, ვებ. გვერდი: babusi.com, რომლის მეშვეობითაც წყვილების დაკავშირება და დაოჯახება ხდება...

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს, როცა ავქესენტი ცაგარელს პიესა „ხანუშა“ გამოუქვეყნებია, იმთავითვე პოპულარობა მოუპოვებია და მას შემდეგ, არა ერთი ფილმი თუ სპექტაკლი შეიქმნა ამ ნაწარმოების მიხედვით და საკმაოდ წარმატებულადაც. ვიქტორ დოლიძის ცნობილი ოპერა „ქეთო

და კოტე“ ხომ ქართული კლასიკური ოპერის ჩინებული ნიმუშია. როცა ისტორია უკვე კლასიკად აღიარებულ ნიმუშებს გვინახავს, რთული და საპასუხისმგებლოა იგივე ნაწარმოებს მიუბრუნდე და გააცოცხლო, თუნდაც იმპროვიზირებულად.

დღეს ერთ კამერულ ნაწარმოებზე მინდა ჩემი მოკრძალებული აზრი გამოვთქვა. ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში რეჟისორ ლევან წულაძეს „ქეთო და კოტეს“ თემაზე იმპროვიზაციული თბილისური ამბავი წარუდგენია მასურებლისთვის, რომ მითხრეს, მისი ნახვის დიდი ინტერესი გამიჩნდა, რადგანაც, პირველი ასოციაცია დავით დოიაშვილისა და ნიკა მემანიშვილის (და არა მხოლოდ მათი) მიერ, ამა წლის აგვისტოს თვეში განხორციელებული, ყველასათვის ცნობილი მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ იყო, შემოდგომაზე კი იგივე თემატიკითა და იგივე ჟანრით ჩვენს წინაშე წარსდგნენ რეჟისორი ლევან წულაძე და კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე. იქნებ და, ეს ერთგვარი პროფესიული „შერკინება“ მათი მხრიდან? არადა, ბატონი ლევანი არა ერთხელ შეხებია ამ პიესას. თეატრის მოყვარულებს ალბათ, გახსოვთ მისი „ხანუშა“, რომელიც პირველად 2004 წელს ვაკის თეატრალურ სარდაფში განახორციელა. შემდგომ იგი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში აღადგინა სახეცვლილი ვარიანტით, დღეს კი მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში

„ქეთო და კოტეს“ თემებზე იმპროვიზაციული ვარიანტი წარმოგვიდგინა „ერთი თბილისური ამბავის“ სახით. ლევან წულაძისა და კომპოზიტორ ვახტანგ კახიძის ერთობლივი ნამუშევრები ქართველ მაყურებელს ბოლო წლების განმავლობაში არა ერთი უნახავს და შეუფასებია. პირველი მათი ტანდემი სწორედ რომ სარდაფის თეატრში შედგა, სპექტაკლ „ხანუმას“ სახით. ამ წარმოდგენის შესახებ თავად კომპოზიტორი წერდა: „მოვიდა ლევანი და მთხოვა თუ შეიძლება სპექტაკლში შენ რამდენიმე მუსიკას გამოვიყენებო. მასალა მივეცი, მაგრამ ისეთი რალაცეები ამოირჩია, რომ ინტერესი აღმეძრა, როგორ შეიძლებოდა ხანუმასთან დაეკავშირებინა. მაგალითად, საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც ჯანზნარევი კლასიკაა. თუმცა, უარი არ მითქვამს, ვუთხარი შენ ჩასვი, მე მოვალ და ვნახავ-მეთქი. არ დავმალავ, დიდი შიშით მივდიოდი.

არსებობს ავქსენტი ცაგარელის პიესა, ვიქტორ დოლიძის ოპერა, არაჩვეულებრივი ფილმი „ქეთო და კოტე“, რობერტ სტურუას გენიალური სპექტაკლი. ყველაფერი ეს ისეთი მთამბეჭდავია, არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს როგორც რეჟისორზე, ასევე მსახიობზე. ეროსი მანჯგალაძის, რამაზ ჩხიკვაძის, სალომე ყანჩელის მიერ შექმნილი გმირების სახეები არცთუ ადვილი თავდასაღწევია. თან გამოყენებულია გია ყანჩელის მუსიკა. ვიცოდი, რომ ლევან წულაძე ნიჭიერი კაცია...“ ვაკის სარდაფში განხორციელებული „ხანუმა“ შედგა და წარმატებითაც. დღეს კი, იგივე შემოქმედებითი ჯგუფი“ რეჟისორი - ლევან წულაძე, კომპოზიტორი - ვახტანგ კახიძე, ქორეოგრაფი - გიორგი მარლანია, იგივე თემატიკაზე წარმოგვიდგენს მუსიკალურ იმპროვიზაციულ ამბავს.

მკითხველს ვთხოვ წარმოიდგინოს მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სცენა, რომლის ძირითადი ნაწილი სიმფონიური ორკესტრისთვის არის განკუთვნილი და რომელიც ძირითადად გათვლილია სიმფონიური კონცერტებისთვისა და კლასიკური მუსიკის შემსრულებლებისთვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ინტერესი უფრო გამიღრმავდა და შემოდგომის ერთ საღამოს „ერთი თბილისური ამბავის“ სანახავად გავეშურე. წარმოდგენის დაწყებამდე ორკესტრანტებმა კუთვნილი ადგილი დაიკავეს და მანქანის ელოდნენ. დირიჟორი ვახტანგ კახიძე მარტო არ გამოსულა სცენაზე. მას დარდიმანდული მიხვრა-მოხვრით ლევან ფალავანდიშვილი (მსახიობი ზ. ხუხუა) ახლდა თან, რომელიმაც თავადის ცნობილი არია შეასრულა ოპერა-ფანტაზიიდან „ბარბალე“ (ვახტანგ კახიძემ ორმოქმედებია ოპერა „ბარბალე“ 1985-1986 წწ. განახორციელა, რომელიც ვიქტორ

დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ მიხედვითაა შექმნილი და ამ ახალ საკონცერტო ვერსიაშიც სწორედ ამ ოპერა-ფანტაზიიდანაა გამოყენებული მუსიკა). გვახსოვს, ალბათ ეს არია, როცა ფალავანდიშვილი თავისუფლებას, გიჟმაჟ ცხოვრებას ემშვიდობება და ქორწილისთვის ემზადება. მანქანა ვახტანგ კახიძე ორკესტრანტებთან ერთად რიტმული და დინამიური მელოდით „იპყრობს“ მაყურებელსა და მსმენელს. ფონად კი, სცენის სიღმეში, აივანზე, ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავე გოგონას (თინათინ წულაძე) — თავად ლევანის „მუზის, — ქართული ცეკვის ელემენტები გასდევს, რაც, სტილური თვალსაზრისით, თბილისური, ქალაქური ფოლკლორის ფრაგმენტებს წარმოადგენს და რაც მთლიანობაში საოცრად ლამაზ სურათს ქმნის. თეატრალუბისთვის ლევან წულაძის რეჟისორული ესთეტიკა ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, იგი წარმოდგენის მხატვრულ გაფორმებასა და სცენურ ეფექტებზე ამახვილებს ყურადღებას, მის სპექტაკლებში მუსიკა ხშირად გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობს ხოლმე, ხოლო მსახიობებზე ნაკლებად კეთდება აქცენტი. „თბილისურ ამბავშიც“ სწორედ ეს ხაზი განვითარდა. არტისტების მოქმედების დინამიურობას „ფარავს“ კახიძისეული მშვენიერი მუსიკის ჟღერადობა. ამგვარ წარმოდგენაში, რა სახითაც არ უნდა წარმოგვიდგინოს შემოქმედებითმა ჯგუფმა იმპროვიზაცია, მოცემული თემატიკიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, თითოეული პერსონაჟის გამოკვეთილი სახასიათო ნიღაბი უნდა იყოს გაცოცხლებული, მით უმეტეს, როცა ერთმანეთს ექიშება ორი მაჭანკალი: ბარბალე (ნ.ძიძიგური) და ბაბუსი (ნ. სტეფანავილი), სცენაზე არიან საქო - მაკარის PR მენეჯერი (ა. ოსტატიანი) და სიკო - მაკარის რეფერენტი (ა. გოგიტიანი), როცა პარტიტურა აღსავსეა სოციალური პორტრეტების მრავალფეროვნებით, აქ მონაწილეთა არტისტულობა კომიკური ეფექტებითა და გამომსახველობით უნდა იყოს სავსე, ხოლო სასცენო ელემენტი ერთიანობაზე აწყობილი და ყველა მოცემულობა ქმედითი, „თბილისურ ამბავში“ კი, მართლაც ოსტატური და საოცრად პლასტიური მანქანის დირიჟორობით მშვენიერი მელოდია ააჟღერეს ორკესტრანტებმა, რასაც მომღერალთა ახალგაზრდული ჯგუფის მიერ შესრულებული, ნიჭიერად განხორციელებული სიმღერები ერთვოდა თან, არც ლევან წულაძისეული სცენური ეფექტი მოკლებია სანახაობას, მხოლოდ არტისტები „აკლდნენ“ სცენას.

ამგვარად „ხანუმობენ“ XXI საუკუნის ქართული თეატრებისა და კულტურული ცენტრის სცენებზე.

გაგანა ქვეყნივე

„ლია შუშაბანდი“ ახმატაღლის თეატრში

დრამატურგ შადიმან შამანაძის პიესა „ლია შუშაბანდი“ დაწერისთანავე პოპულარული გახდა და საქართველოს თეატრების სცენებზე წარმატებით განხორციელდა. 28 წლის წინ დაწერილი ნაწარმოები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მისი ზოგიერთი პასაჟი დღეს განსაკუთრებული სიმწვავით გამოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების პრობლემებს დღევანდელ ყოფაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. უნებლიედ იბადება კითხვა — რა შეიცვალა არსებულ სინამდვილეში? ირკვევა, რომ პატიოსნად მშრომელ ადამიანს ყოველ ეპოქასა და სოციალ-პოლიტიკურ წყობაში ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევა უჭირს, ვინაიდან სინდისთან კომპრომისზე არ მიდის და საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად რთული ყოფითი პრობლემების წინაშე რჩება. აი, ასეთი ახალი იდეური ტრანსფორმაციით წარმოგვიდგინა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა სპექტაკლის ძირითადი სათქმელი. იგი თავის პოზიციას ასე გამოხატავს: „მაყურებელი გულგრილი არ დარჩება კაპანაძეების ოჯახში დატრიალებული ამბების მიმართ. საერთო გაჭირვების, უმძიმესი სოციალური ფონის მიუხედავად, პერსონაჟები მაქსიმალურად ცდილობენ არ დაკარგონ ადამიანური სახე და ის მთავარი ღირებულებები, რისთვისაც არსებობს ადამიანი ამქვეყნად“ (გაზ. „ახალი თაობა“. 2011. 30. 09. 232. გვ. 8)

სცენაზე ვხედავთ გაურემონტებელი ბინის ინტერიერს, რომლის ჩამოქცეულ ჭერზე ნათურა ბუბუტავს, ხოლო კედლებზე ჩამოხეული შპალერის ნაგლეჯები შემორჩენილა. სცენოგრაფი აივანგო ჭელიძე ზუსტად ასახავს ცხოვრების სიდუხჭირისგან შეჭირვებული ოჯახის გაუსაძლის ყოფას, სადაც ძველი და

იაფფასიანი ავეჯი დგას, ხოლო კუთხეში სიმბოლურად მოწყობილი სამზარეულოა განლაგებული. სცენის უკანა პლანზე არსებული ღია შუშაბანდიდან კი დაუმთავრებელი კორპუსის კარკასი ჩანს, რაც ამ ოჯახის გარეთ არსებული საერთო საზოგადოებრივი ყოფის გამომხატველია.

სპექტაკლი იწყება ოჯახის დიასახლისის, გიულის დიალოგით შვილთან. იგი შენუხებულია ყოველდღიურ პრობლემებზე ფიქრით, რასაც ამირანის უსაქმურობა და ოჯახისადმი უყურადღებობა ემატება. მსახიობი თ. ბეჟუაშვილი გადმოსცემს გმირის ფიქრს ოჯახური ყოფის გასაუმჯობესებლად. იგი ოჯახის ყოველ წევრს გატაცებით უყვება თავის მომავალ გეგმებს სახლის რემონტთან დაკავშირებით, მაგრამ პასუხად ირონიულ დამოკიდებულებას და უყურადღებო მოსმენას იღებს, რასაც სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, არც მის რჩევა-დარიგებებს იზიარებენ შვილები. გიული გატაცებულია თავისი გეგმის გაზიარებით და ვერც კი ამჩნევს ოჯახის წევრთა დამოკიდებულებას, ვინაიდან ამ ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში უკეთესი მომავლის იმედი აქვს. მეუღლის შემოსვლისას შეცბება, რადგან მის, ყოველდღიური სმისგან, შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობას განიცდის. გიული ხედავს, რომ დათიკოს ასეთი ყოფის გამო, მის დასახულ გეგმებს განხორციელება არ უნერია და ამიტომაც მეუღლის მზრუნველობის საპასუხოდ დაცინვასა და შეურაცხყოფას იღებს. ოჯახის წევრები ხედავენ რა მის მეოცნებე ბუნებას, რასაც რეალური ცვლილება არ მოჰყვება, არავის უნდა არც ასეთი არსებობა და არც მისი შემწვარი კარტოფილი. ყველას ყელში ამოივიდა მისი ფუჭი აქტიურობა, თუმცა ვერც ისინი პოულობენ გამოსავალს. მსახიობი კარგად გადმოსცემს იმ მცირე სიხარულს, რაც ახალი კაბის ყიდვითაა განპირობებული და მის ყოფაში ქალური სიხალისე შემოაქვს. აქ მსახიობი ხაზს უსვამს გიულის იმ ქალურ სანყისს, რასაც ოჯახის წევრები ვერც კი ამჩნევენ, თუმცა მასაც ყურადღება, დაფასება და თანაგრძობა სჭირდება. იგი ვერც რაიონში მცხოვრები ავადმყოფი დედისთვის იცლის და მის მდგომარეობას მხოლოდ ავისმომასწავებელი სატელეფონო ზარის მოლოდინი ახსენებს, რაც სულ სხვა მიზეზებითაა განპირობებული. ამ შემთხვევაში წინასწარ გამოვლენილი არაადეკვატური რეაქცია გმირს კომიკურ ელფერსაც სძენს. იგი უკეთესი მერმისის მიღწევას ბრძოლით კი არა (როგორც ეს პიესაშია), არამედ ოჯახის წევრებში პასუხისმგებლობის გაღვიძებისა და შეგნების გზით ცდილობს. გიულის ეს პიროვნული დრამა მსახიობს მაყურებელამდე გასაგებად მოაქვს.

ამირან ქაჩიბაიას ამირანი ამ დუხჭირ ცხოვრებაში რაიმე საქმის გამონახვას ცდილობს. დილით ეს გამამხნეველ ვარჯიშში გამოიხატება, რაც დედის „ჭკუის დარიგების“



გიული — თ. ბაჟუაშვილი, ამირანი — ა. ქაჩიბაია

მოსმენის თავიდან აცილებისა და ყურადღების გადატანის საშუალებაა. შემდგომ, დედის რემონტის გეგმას ირონიული შესტიკულაციით აფასებს და უპერსპექტივობის დამოკიდებულებას გამოხატავს. მას თავისი პრობლემები ანუხებს. თეატრში მცირე ხელფასზე მომუშავე გამოსავალს ეძებს. იგი გაბრაზებულია მამაზე, რომელიც შუამავლობას და უპატიოსნო გზით ფულის შოვნას უკრძალავს. მშობლის მიმართ ირონიულადაცაა განწყობილი, ვინაიდან ხედავს, რომ მან ცხოვრებას ალლო ვერ აულო და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამირანი სათანადო რეაქციას დედის იმ სიტყვებზეც გამოხატავს, როდესაც ცოლის მოყვანას უხსენებს. ჩაის სმის დროს, ამირანს მოულოდნელობისგან ლუკმა ყელში ეჩხირება, ვინაიდან ასეთ გარემოში ცხოვრებას წარმოუდგენლად მიიჩნევს.

ა. ქაჩიბაიას გმირი ოჯახის წევრთა მიმართ თითქოს ინდიფერენტულია, მაგრამ ვიზუალურად თავისი განცდის დასაფარად, ხან შუშაბანდში ზურგმექცევი ზის, ხან ყველაფერი ხუმრობაში გადააქვს და „არტიტობს“. დედასთან, ძველი სკამების შეკეთების საპროტესტოდ „ტორეადორობს“, ტარაკანის დაჭერისა და მოკვლის „ცერემონიალს“ ირონიულად ოჯახში შექმნილი გაუსაძლისი ყოფითი პირობების გამოსახატად ატარებს. ამ მომენტში სცენის მუქი მხოლოდ მას ანათებს და მონოლოგის წარმოთქმისას წინა პლანზე წამოიწევს მისი განცდები, რომელშიც ოჯახურ დრამას მწარე

ხუმრობით გამოხატავს. ხანაც ქურდებისთვის მეზობლის ბინის გაძარცვის „ნაკოლის“ მიცემას გაითამაშებს, რითაც მშობლების პატიოსნად ცხოვრებას დასცინის.

მამასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, ვინაიდან თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. სტუმრების წინ კი თავმოყვარეობის შელახვას ველარ უძლებს და მამას ფიზიკურად შეეხება. ამ მომენტში ამირანი სამაგიეროს უხდის მამას „ბითუროს“ გამუდმებით ძახილისა და ცხოვრებისეული შეხედულებების სხვაობისთვის, რის გამოც ამირანს თავის გემოზე ცხოვრებას უკრძალავს.

დედისა და ამირანის ბოთლების ჩასაბარებად ნასვლის შემდეგ, სცენაზე ყამარი შემოდის. გვანცა კანდელაკის გმირი პირად პრობლემებზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ოჯახში შექმნილ ვითარებაზე. მეგობართან სატელეფონო საუბრიდან ირკვევა, რომ ყოფილ შეყვარებულთან დაშორების შემდეგ, მასთან შერიგება აღარ უნდა. ეს პრობლემა მოგვიანებით ძმასთან დიალოგის დროს იჩენს თავს, როდესაც აღელვებული ყამარი სანოლზე აქვითინებული დაემხობა და მისი განცდები უფრო იკვეთება გაცრუებული იმედების გამო. ამიტომ თავისი ემოცია დედაზე გაბრაზებით გადააქვს. მისთვის მომაბეზრებელია ლობიოსა და კვერცხის მენიუ და მიხმარების ნაცვლად დედას უყვირის და დიასახლისობის სურვილიც არა აქვს. მის გეგმებსაც ინფანტილურად ისმენს, რადგან რაჭაში ექსკურსიაზე ნასვლას გეგმავს და თავისი სტიპენდიით დედას არ ეხიდება. მას გათვითცნობიერებული

აქვს ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ მშობლებისადმი ირონიული განწყობის გამო, მათ მათხოვრებსაც უწოდებს. ყამარი გულთბილ დამოკიდებულებას დედის მიერ კაბის ყიდვასთან დაკავშირებით ავლენს. უნარია სიახლის შეგრძნება და დედას კაბის ჩაცმას აიძულებს, რაშიც მისი დაფარული დამოკიდებულება ვლინდება. გ. კანდელაკი ერთმანეთს უთავსებს გმირის პირადი პრობლემისა და არსებული ყოფის განცდას, რომლის ფონზეც აირეკლება მისი დამოკიდებულება ოჯახის წევრებისადმი.

მსახიობ ნუგზარ ყურაშვილის დათიკო, მოუწყობელი ცხოვრების გამო, ერთი შეხედვით, გალოთებულია, თუმცა, არც ისე მთვრალია სინამდვილეში, როგორც ამას წარმოსახავს. ეს მისი ნილაბიცაა და გამოსავალიც. ამ ხერხით იგი შელახულ თავმოყვარეობას მალავს და პიროვნული დაუკმაყოფილებლობა ოჯახის წევრებზე გადააქვს. დათიკოს აღიზიანებს ცოლის გადაჭარბებული ყურადღება. უინტერესოდ უსმენს მისი რემონტის გეგმას, ვინაიდან უგემური საჭმლის „პრობლემა“ უფრო აღელვებს, თანაც ისეთ კერძებს მოითხოვს, რომელთა მატერიალური უზრუნველყოფა არ შეუძლია. ამიტომაც გალიზიანებულია, არ მოსწონს ცოლის მოუწესრიგებლობა, ჩაუცმელობა, ოჯახში დისკომფორტს გრძნობს და გამოსავალს სახლიდან წასვლაში ხედავს. ამავე მიზეზით მოჰყავს სახლში შემთხვევით გაცნობილი სტუმრები. მათი თანდასწრებით იწყებს ოჯახურ „გარჩევას“ — ყამარს ეფერება და მისი მომავლის იმედი აქვს, ხოლო ამირანს „ბითურს“ უწოდებს. მართალია, წყენის მიზეზს არ აკონკრეტებს, მაგრამ ქვეცნობიერად არ უნდა ვაჟმაც თავის მსგავსი უსახური ცხოვრება განვლოს. იგი გაკვირვებულია ამირანის ხელის შებრუნებით, რასაც არ მოელოდა. ამას სტუმრის შეგონება ემატება არასწორი საქციელის

გამო და შვილის სანაცვლოდ, აქამდე პატივისცემით მოპყრობილი სტუმრის მიმართ ემოციას გინებით ავლენს.

აყალმაყალის შემდეგ, მეუღლესთან მართო დარჩენილს ახსენდება მისი შვილების გამზრდელი სიღვდრი, რომლის სანახავად ჩასვლისთვის ვერ მოიცალა. მსახიობი აქამდე თავშეკავებულ ნამდვილ ემოციას ახლა ავლენს, მეუღლის პატივსაცემად ახლა სვამს მის სადღეგრძელოს, სტუმრებთან რომ ამცირებდა. ამ დროს წამოსცდება გულწრფელად ნათქვამი: „ასე სატანჯველად გამაჩინე დედოიკო?“ რაშიც მისი სულიერი დრამა ჩანს.

სპექტაკლში საინტერესოდ გამოიყურება მზია ტალიაშვილის რუსი მეზობელი, რომელიც განამებულია ამ ოჯახის დაუდევრობით, რის გამოც ახლად გარემონტებული ბინა წყლით ჩამოურეცხეს და კარგად ხვდება ამირანის მიერ გათამაშებულ ოინებს. მამუკა მახავრიშვილის პირველი სტუმარი უხერხულობას ვერ მალავს დათიკოს იძულებით ოჯახში ამოსვლის გამო. თავის აღმფოთებას ნაძალადევი ღიმილით ფარავს, როდესაც დათიკო ცოლს მის თვალწინ შეურაცხყოფს. ამიტომ ჭიქის აღებისას სათქმელს დაბნეულად ეძებს და ოჯახის გულკეთილობას უხერხულად ადღეგრძელებს. მის გმირში ჩანს, რომ ასეთ ოჯახურ ყოფას უცხო გარემოდ არ აღიქვამს, მაგრამ დროულად გაცლას ამჯობინებს. სამნუხაროდ, მეორე სტუმრის როლში ზურაბ ნიკლაურმა სცენაზე თავისი ფუნქცია ვერ იპოვნა და სტატიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

რეჟისორმა პიესისეული ფინალი შეცვალა. დათიკოს ინფარქტის სცენის ნაცვლად იგი მეუღლეს დასაძინებლად მიჰყავს. სცენაზე დაძმა რჩება, რომლებიც ჩახუტებულები იწყებენ ერთი ჯამიდან ჭამას, რითაც დრამატული ფინალი სამომავლო პერსპექტივით იცვლება.

ჟაჟა ქიკუა

„სიბნელე განთიარღია, ჯარ არშობილი...“

თავიდანვე ვიტყვი, რომ მეტად საინტერესოდ მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრი-სტუდია „მოდინახე.“ აქ მართლაც სტუდიური, ექსპერიმენტული ხასიათის ძიებები მიმდინარეობს და შედეგი თითქმის მუდამ მაღალია. სტუდენტური თეატრის დასი, ბუნებრივია, მუდმივგანახლებადია და თაობათა ცვლის ერთი შეხედვით, მტკივნეული პროცესი ამ შემთხვევაში თანამედროვე თეატრალურ მოვლენათა თავბრუდამხვევ რიტმში ბუნებრივი ადაპტაციის კანონებს ორგანულად ერწყმის. არ მიყვარს თეატრების დახარისხება — პროფესიულად, ნახევრადპროფესიულად, ახალგაზრდულად და ასე შემდეგ... თუ თეატრი გქვია, უნდა გაამართლოს ეს პასუხისმგებლობა, სათქმელი თუ არ გაგაჩნია, ნუ გამოხვალ მაყურებლის წინაშე. ბოლო პერიოდში ლამის ნაგვლეკოს უსახური თეატრებისა და სპექტაკლების ნიაღვარმა, მაგრამ, როგორც იტყვიან, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე. დრომ გამოკვეთა თეატრ-სტუდია „მოდინახე“ წარმატებათა კანონზომიერება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნუგზარ ბუცხრიკიძე აქ მოღვაწეობის რეკორდულ წლებს ითვლის, რაც ასევე სასიამოვნო იშვიათობაა და დასტური იმისა, რომ მისი რეჟისორულ-პედაგოგიური ძიებანი ფასდაუდებელია და სადღეისო თეატრალური ხელოვნების მაჯისცემის ადეკვატური!..

ამჯერად თეატრმა გადაწყვიტა მეოცე საუკუნის თვალსაჩინო ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ სტეინბეკის შემოქმედებას შეჭიდებოდა. მხატვრული ხერხების სიუხვითა და მრავალფეროვნებით

ჯონ სტეინბეკს ძნელად თუ მოეპოვება ბადალი. სტეინბეკის დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, საზოგადოებისადმი მეტწილად განსაზღვრავს მისი მწერლური მსოფლმხედველობა. ცხოვრება უნდა აისახოს ისე, როგორც არის, ყოველგვარი „შეფუთვის“ გარეშე. მან ბოლომდე შეინარჩუნა რწმენა ადამიანისა, სიცოცხლე ცხოველმყოფელობისა. სტეინბეკის შემოქმედების განსაკუთრებული ხიბლი უკავშირდება ბიბლიური თემის გამოყენებას. ჯონ სტეინბეკის შემოქმედების მკვლევარი ბეჟან სივსივაძე მართებულად მიიჩნევს, რომ „ბიბლია საუკუნუნახევრის განმავლობაში, როცა ამერიკის ეროვნულ კულტურას საფუძველი ეყრებოდა, უმრავლესობის მთავარ საკითხავ წიგნს წარმოადგენდა. მან დიდი გავლენა მოახდინა როგორც მწერლობაზე, ასევე სასაუბრო მეტყველებაზეც. ბიბლიის ზემოქმედებას განიცდის ამერიკელ მწერალთა უმრავლესობა“. სტეინბეკთან ეს განცდა მისი მოქალაქეობრივი მრწამსი, სულის ღალადისია.

ესოდენ ღრმად მოაზროვნე მწერლის შემოქმედებასთან შეხება ნუგზარ ბუცხრიკიძისთვის ერთგვარად „მაპროვოცირებელი“ გადამწყვეტილება იყო — მას სტუდენტური ძალებით მაყურებლისათვის უნდა ეჩვენებინა დიდი მწერლის უკიდევანო შესაძლებლობები. ამ თამამი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო პიესა და თანამშრომლობისთვის დრამატურგ რეზო კლდიაშვილს მიმართეს. არჩევანი ჯ. სტეინბეკის მოთხრობაზე — „ტორტილა ფლეტი“ — გაკეთდა. გამოცდილმა დრამატურგმა შექმნა დამოუკიდებელი სცენური ვერსია, სადაც დიალოგურ ფორმაში დინამიკურად, ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის წინ წამოწევიტ, სული შთაბერა სტეინბეკის ამაღლებულ მხატვრულ გარემოს. რ. კლდიაშვილისეული ვარიაციები აღიქმება, როგორც ფსიქოლოგიურ-სატირული ჟანრის დასრულებული სცენური ნაწარმოებები, სადაც შენარჩუნებულია სტეინბეკის აზროვნებისთვის ნიშნეული მისტიკური ქსოვილი, შეზავებული ნატიფ, გამკილაგ იუმორთან.

რეჟისორი ახერხებს მაყურებელთა დარბაზში შესვლისთანავე მოგვაქციოს იმ არაორდინარულ სამყაროში, სადაც რ. კლდიაშვილი — ჯ. სტეინბეკისეული პერსონაჟები ცოცხლდებიან. მთელს სცენაზე თეთრი, ჰაეროვანი, თითქოს ნისლით დაბურული ქსოვილია დაფენილი. ასეთივე ფარდა ყოფს სცენას, რომელიც ერთადერთი დეკორაციაა სპექტაკლში. ამას ემატება შავი ჯვარი ავანსცენაზე, რასაც სასაფლაოს სიმბოლოდ აღვიქვამთ. ეს არის და ეს. ასეთი მწირი საშუალებებით ნ. ბუცხრიკიძე (რომელსაც ამ წარმოდგენის სცენოგრაფიაც ეკუთვნის) აღწევს

რეჟო კლდიაშვილი
„პილონი“

(მარიაკვიციანი ჯონ სტონბერგის
 მითითებით „ტორტილა
 ფლემის“ მიხედვით)

რეჟისურა და
 სცენარება ჯონ
 სტონბერგის
 ნუმზარ
 გუცხერიძის

მინაწილები:

ლაშა პრეზერვატივი
 (თორნიკე ფულავანი)
 პანა მაკარაშვილი
 მანანა სიმონიშვილი
 მანანა პირველი
 ზურაბ ჯორჯაძე
 ანდრია ლუგაძე
 ნინო პუტინიძე
 ნათია შაპიაშვილი
 თინა ილიაძე

სოლო გიტარაზე

ნათია თანაშვილი
 ირაკლი შერვაშია

საქართველოში გახდეს პირველი
 ქართული, რომელიც დაფუძნდა
 ლეონიდასის სახეზე. მისი
 დირექტორი, მინაწილი



განზოგადებას, მაყურებელზე ზემოქმედების მუხტის გაღვივებას და სცენაზე განვითარებულ მოვლენებთან დარბაზის თანამონაწილეობას. სამოქმედო ასპარეზის მხოლოდ სასაფლაოზე გადატანა, სადაც ყველაფერს ჟამისფერი ბინდი დაჰკრავს, აძლიერებს მისტიკის საბურველით გამთლიანებულ ფილოსოფიურ ნიაღვრებს.

„პილონი“ — ასე დაასათაურა რ. კლდიაშვილმა პიესა, რითაც „ტორტილა ფლემის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი დრამატურგიული ვერსიის ცენტრალურ ფიგურად გამოკვეთა. თერთმეტწლიანი უნებლიე პაუზის შემდეგ, მექსიკელი ქურდი და ლოთი პილონი ბრუნდება კალიფორნიაში, ქალაქში, რომელითაც ბევრი ტვილ-მწარე მოგონებები აკავშირებს, ბრუნდება როგორც მანანა და ცხოვრების ამოებაზე მოფიქრალი. პილონი მაყურებელთა დარბაზიდან ამოდის სცენაზე, ავანსცენის მარჯვენა კუთხეში განათავსებს შემორჩენილ „ავლა-დიდებს“: გაშლის ფარდას, გვერდით დაიდგამს თავის განუყრელ ატრიბუტს — არყის ბოთლს, ჭრაქს, წამონვება და გარდაცვლილი ნაცნობ — მეგობრების სულთა სამფლობელოში გადაინაცვლებს.

თეთრ ლაბადანამოსხმული მიცვალებულთა სულები მოემართებიან მდორე, მწობრი ნაბიჯებით, მათ ხელში წარწერებიანი საფლავის ქვები უპყრიათ. თითოეული მათგანი მაყურებლისკენ ზურგით ჩამოჯდება საფლავის ქვაზე და რიგ-რიგობით, „აღიარებითი ჩვენებით“ მიმართავს მაყურებლის სამსჯავროს. მცირე „მონოლოგებში“

თითოეული პერსონაჟის განვლილი ცხოვრება ხელშესახებადა მოტანილი. რთული, შემჭიდროებულ სცენურ რეგლამენტში აცდენ ხასიათის სქემატურობას, მით უმეტეს, როდესაც სათანადო გამოცდილება და ოსტატობის ხარისხი ჯერ კიდევ არ გაძლევს ამოცანის ბოლომდე დაძლევის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო სპექტაკლში მონაწილე მსახიობების შემოქმედებითი მიღწევა, რაც მათი ნიჭისა და რეჟისორის შრომატევადი მუშაობის ერთობლიობის შედეგია.

ჩინებული პლასტიკა და გადამდები ემოციურობა ახლავს მანანა სიმონიშვილის მიერ მსუყე მონასმებით ჩამოქნილ საროსკიპოს მეპატრონის, დორა უილიამსის სახეს. მისი პერსონაჟი ცალსახად უარყოფითი არ არის. მართალია როსკიპია, მაგრამ ნამდვილმა სიყვარულის გრძობამ ცხოვრებაში ერთხელ მასაც აუფორიაქა სული: „ადამიანს თავისი თავის უნდა ეშინოდეს. ვინ გიმტრობს ისე, შენ რომ უმტრობ შენს თავს?“ — დიდსულოვნად გვმოძღვრავს დორა და თანაგრძობით იმსჭვალებით მის მიმართ. დორას ანტიპოლია მადლენი, ტრაგიკული ბედის მქონე, სიყვარულის მსხვერპლი, იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც ამ დიდი გრძობისთვის დამაშვრალი. სცენური შარმი გამომსახველი პლასტიკა და აზროვნების სიცხადე გვანცა ბეროშვილს საშუალებას აძლევს დაგვიხატოს ახალგაზრდა ქალის პიროვნული სევდით „შეფაკლული“ ლირიკული პორტრეტი.

პიესაში და, შესაბამისად, სპექტაკლშიც მკვეთრად კოლორიტული ფერით გამოირჩევა ჟორჟი. დრამატურგმა სავსებით სამართლიანად აარიდა თავი ზოგადი კავკასიელის ტიპაჟის შექმნას და ქუთაისური ჟარგონით აამქვეყნა თავისი პერსონაჟი. რაც მთავარია, ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური იუმორი ისე ორგანულადდაა შერწყმული წარმოდგენის ერთიან ქსოვილთან, წუთითაც კი არ გეხამუშებათ ერთი შეხედვით, უცხო ინოტაციური აქცენტის „შემოჭრა“. შესანიშნავია თორნიკე დულარიძე. შინაგანი აქტიორული თავისუფლება, ჟანრის ზუსტად შეგრძნება, საშუალებას აძლევს გამოკვეთოს სამშობლოს ნოსტალგიით დაავადებული ხელმოცარული დონ-ჟუანის, მისთვის საფიციარი წინაპრების საფლავებს დანატრებული, ამქვეყნიურ-იმქვეყნიური ცხოვრების უიღბლო მსხვერპლის, ჟორჟის შთამბეჭდავი სახე.

ვის არ შეხვდა პილონი თავისი ერთადერთი გულითადი მეგობრის, დენის საფლავის ძეხნის გზაზე; ის სერჟანტიც კი შემოეფეთა, ორი მდევრის ქურდობისათვის რომ „გასაკვანჩა“ დენისთან ერთად. არც ერთს არ გაუხარდა ერთმანეთის დანახვა, განსაკუთრებით სერჟანტს, მაგრამ იმქვეყნად მსჯავროს ხომ

ვერსად დაემალეები?!. ბექა მაჭარაშვილის სერჟანტი ხაზს უსვამს იმ გაორებულ განცდას, რაც ზღვარს ავლებს ჩადენილი დანაშაულის რეალობასა და თავის მართლების ფუყე მცდელობას შორის. პიკანტურ ნიუანსს მატებს წარმოდგენას პიხარიტოს ჩართვა. მხოლოდ მან უერთგულა პილონს, რომელმაც თავის დროზე უპატრონა ცხოვრებისგან განწირულ პიხარიტოს და ახლა მადლიერების ნიშნად აპოვნინა ძვირფასი მეგობრის, დენის საფლავი. პიხარიტოს სული ძაღლის სახით გამოეცხადება პილონს: „მე ძაღლი არა ვარ, მე ადამიანი ვარ, უბრალოდ გადაღლებულად ვცხოვრობ“ — რაოდენ მრავალსახოვანია სტეინბეკისეული ეს სენტენცია, რაც საოცარი ძალით ეხმიანება ჩვენს დღევანდლობას. ზურაბ ბარბაქაძის პიხარიტო მარტოსული არსების და ძაღლური ერთგულების სიმბოლური განსახიერებაა.

დაბოლოს, პილონი ღერძია და გამაერთიანებელი სცენაზე განვითარებული მოვლენებისა. ურთულესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა ლაშა გოგბერაშვილი. მის გმირს ლუფთპაუზის შანსიც არ დაუტოვებს სპექტაკლის ავტორებმა, წამზომი ჩართულია, დანარჩენი კი მის აქტიორულ „მარიფათზეა“ დამოკიდებული. ლ. გოგბერაშვილს ეს თვისება საკმარისზე მეტი აღმოაჩნდა, ჩვენ მოწმენი გავხდით მსახიობის თავდაუზოგავი შრომისა, პერსონაჟის „ტყავში“ შეღწევის დაუოკებელი სურვილისა. მიმაჩნია, რომ ესოდენ ვრცელი მონოლოგების მოტანა მაყურებლამდე იმდაგვარად, რომ ტემპო-რიტმი არ განელდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ოსტატობის დაუფლების გარეშე ნებისმიერ გამოუცდეღ მსახიობს გაუჭირდებოდა. ვფიქრობ, ეს მომენტი სპექტაკლის შემქმნელებს უნდა გაეთვალისწინებინათ. თუმცა, ეს შენიშვნა მცირედი დოზითაც არ ანელებს შთაბეჭდილებას, რაც ამ მწყობრი დადგმიდან გამომყვა.

რეჟისორმა სპექტაკლში რამდენიმე ახალი პერსონაჟი შეიყვანა: მონაზვნები (ნინო

ბუცხრიკიძე, ბედისა დუმბაძე), მომღერლები (ნათია ივანიშვილი, ირაკლი ურუშაძე), მოხეტიალე სული (ნათია შალიკაშვილი). თითოეულ მათგანს მკაფიოდ განუსაზღვრა ფუნქციები, რითაც ერთგვარად შეკრა და გაამთლიანა სულიერი ფასეულობებისკენ სწრაფვის მარადიულობა.

სახიერებითა და პლასტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა გიორგი ოსეფაშვილის ქორეოგრაფიული ნამუშევარი. მას დრამატულ მსახიობებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, იცის როგორ გახსნას მათი თუნდაც ფარული შესაძლებლობანი, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაშიც, ქორეოგრაფის ნამუშევარში პერსონაჟის ხასიათის, რეჟისორის კონკრეტული ამოცანის ხორცშესხმის სინთეზთან გვაქვს საქმე.

წარმოდგენის მისტიკურ-ფილოსოფიური ქსოვილის აღქმას აძლიერებს რამდენიმე რეჟისორული მეტაფორა, რასაც ნ. ბუცხრიკიძე ფანრების შუქთა ლავირებით, უზუსტესად მიკვლეული მუსიკალური პარტიტურის შერწყმით აღწევს. ეფექტურია ფინალი, როდესაც მარადიულობის გზაზე მიმავალ პილონს ოქროსფერი სამოსითა და გვირგვინით შეამკობენ: „თუ სიბნელე განთიადია, ჯერ არშობილი, მაშინ რატომ არ შეიძლება ამ ნანგრევებზე აშენდეს ღმერთის ქალაქი“ — ასეთ ოპტიმისტურ ნოტაზე აგვირგვინებს სტუდენტური თეატრი თავის ახალ ნამუშევარს, რომლის პრემიერა ახლახანს გერმანიის ქალაქ კარლსრუეს „სანდკორნ თეატრში“ გაიმართა: „მიუხედავად იმისა, რომ პიესა ქართულ ენაზე წარმოადგინეს, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, სცენოგრაფია, ქორეოგრაფია და ორიგინალური გამომსახველობითი ხერხები დისკომფორტს არ უქმნიდა უცხოელ მაყურებელს და ენობრივი ბარიერი დაძლეული იყო. წარმოდგენილმა სპექტაკლმა ორივე დღეს ანშლაგით ჩაიარა“. (გაზეთი „კარლსრუეს კურიერი“)

გაგანა ქვეყნული

თანამედროვეობის

თანხმობა

სპექტაკლები

პანტომიმის თეატრში დადგმული სპექტაკლი „ტიტუსი“ მრავალმხრივია საინტერესო. იგი საქართველოში პირველად განხორციელდა და რეჟისორმა დავით შალიკაშვილმა განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა. თუ შექსპირის „ტიტუს ანდრონიკუსში“ ასახულია რომის ისტორიის სისხლიანი ფურცლები, სპექტაკლის მთავარ ლაიტმოტივად იქცა ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას, სიყვარულსა და შურს, პოლიტიკურ კეთილსინდისიერებასა და ადამიანთა მორალურ-ეთიკურ მხარეებს შორის. ამით იკვეთება მთავარი სათქმელი, რომ უზნეო ქვეყანაში ყველაფერი განწირულია — ცხოველური ინსტინქტებით მოქმედი ადამიანები ჰუმანური პრინციპების მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ვერ შესძლებენ.

მოქმედება გამარჯვებული ტიტუსის (დ. შალიკაშვილი) რომში დაბრუნებით იწყება, რომლის წინაშეც სენატორები მუხლს იყრიან. რეჟისორი შემდგომ სცენებს ჩარჩოში ჩასმული სურათების ფორმით წარმოგვიდგენს, სადაც ტიტუსი კეისრის ვაჟს, სატურნინუსს (გ. გურგენიძე) გვირგვინს ადგამს, რომელსაც ცოლად მოჰყავს დაპყრობილი გუთების დედოფალი ტამორა (ნ. ლორთქიფანიძე). ამას კი ტიტუსის მიერ შვილის, მუციუსის მოკვლა მოჰყვება, რომელიც სატურნინუსის გამეფების წინააღმდეგია (შექსპირთან ტიტუსი თავის ქალიშვილს ახალ კეისარზე დანიშნავს, რის წინააღმდეგაც გაილაშქრებს მარციუსი თავისი დის, ლავინიას ინტერესების დასაცავად). ამ სცენებით ფოკუსირდება მოქმედების განვითარების მომდევნო ეპიზოდების ტრაგიზმი, ვინაიდან რომის კეთილდღეობისთვის მებრძოლი ტიტუსი საკუთარ შვილსაც არ ინდობს, რაც მას

სიბოროტითა და უმადურობით უბრუნდება. ამ სცენების გათამაშება თითქოს სურათის ჩარჩოში მიმდინარეობს, რაც რეჟისორს მაყურებლის ყურადღების გამახვილებისთვის სჭირდება, რათა ნათლად წარმოჩნდეს სასახლის კარზე არსებული ინტრიგების დამლუპველი გავლენა დანარჩენი გმირების ბედზე.

შემდგომ სცენაში ვხვდავთ კეისრის ძმის, ბასიანუსისა (შ. ქერაშვილი) და ტიტუსის ქალიშვილის, ლავინიას (ს. ფილიშვილი) სასიყვარულო ურთიერთობას სასახლის ბაღში, რაც მსახიობთა ჯგუფის პლასტიკური მონახაზით ეფექტურადაა გათამაშებული. შეყვარებულთა რომანტიკული განწყობის კონტრასტს, ტამორას საყვარლის, მავრ აარონის (ლ. ჩხაიძე) ბოროტი განზრახვა უპირისპირდება, რომელიც ბასიანუსის მოკვლით სასახლის კარის ინტრიგას კიდევ უფრო ძაბავს. ამასთანავე, ტამორას შვილები კირონი (ი. ბიბილური) და დემეტრიუსი (გ. ქობალია) ხელთ იგდებენ მარტო დარჩენილ ლავინიას და აწამებენ. ეს სცენა რეჟისორულად ობობას ქსელის ფორმითაა გადაწყვეტილი, რომელშიც ლავინია საბედისწეროადაა გაბმული. ობობას სახეებს კი მსახიობები ი. ბიბილური და გ. ქობალია სახიერი პლასტიკით წარმოადგენენ. ამით განზოგადებულად იქმნება ქვეყნის ბოროტების ქსელში გაბმის სურათი.

სამშობლოში დაბრუნებული ტიტუსის ძმა, მარკუსი (ბ. მუმლაძე) ნაწამებ ლავინიას დაიხსნის და მომაკვდავი მსხვერპლი ტიტუსთან ხელში აყვანილი მიჰყავს, რომელიც სასონარკვეთაში ვარდება ქალიშვილის ტრაგედიის ხილვით. ტიტუსის განცდები უფრო ღრმავდება, როცა ლავინიას სიკვდილს მის ძმებს მარციუსსა (ი. ბიბილური) და კვინტუსს (გ. ქობალია) აბრალევენ და აპატიმრებენ. დ. შალიკაშვილი საინტერესოდ გადმოსცემს გმირის შინაგან განცდებს, მის ემოციებს გამარჯვებული გმირიდან დამარცხებულ პოლიტიკოსობამდე, რომელსაც სამშობლოსადმი ერთგულება შვილების მკვლელობით „დაუფასეს“ და საბოლოოდ მორალურად განადგურებული რჩება. იგი აარონის მოთხოვნით ხელსაც იჭრის, მაგრამ პიროვნულ სიძლიერეს ინარჩუნებს. ტიტუსის ასეთი განწყობა კარგად ჩანს შურისძიების სცენაში, როდესაც ტამორასა და მის შვილებს სასახლეში დროსტარებისას კლავს. მსახიობი ნ. ლორთქიფანიძე კარგად გადმოსცემს ტამორას ბოროტ და დაუნდობელ სახეს, როდესაც იგი ტიტუსს ხან მოჩვენებითი მოკრძალებით ეპყრობა, ხანაც დასცინის და ცინიკურ დამოკიდებულებასაც აშკარად გამოხატავს.

აარონის ბოროტ სამყაროს ლ. ჩხაიძის სახიერი პლასტიკა სრულყოფილად წარმოსახავს. მავრის განზრახვა წინასწარ არის დაგეგმილი და ყოველი ნაბიჯი ისეა შენიღბული, რომ მისი მხილება მხოლოდ ფინალში ხდება შესაძლებელი. ამიტომაც, მისი სიკვდილის სცენა რობოტის

მოდრაობებზეა აგებული, სადაც თანამედროვე ცეკვის ელემენტებიცაა გამოყენებული. ამით მსახიობი ხაზს უსვამს გმირის არაბუნებრივი, მექანიკური ქმედების დამღუპველ შედეგს, რაც გმირებისა და ქვეყნისთვის სავალალოდ მთავრდება. საზოგადოება არ შეიძლება ბრმად ენდოს ბოროტებას და რეალურად არ შეაფასოს მოსალოდნელი საფრთხე. მხოლოდ ბოროტების განადგურებითაა შესაძლებელი ქვეყნის სამართლებრივი მართვა, რაც დადებით გმირთა მსხვერპლით მიიღწევა. თეატრმა შესძლო მაყურებლამდე მოეტანა შექსპირისეული სიტყვების პლასტიკურად ამეტყველება: „ახლა მივხედოთ ქვეყნის საქმეს და ისე ვმართოთ, რომ ჩვენს მიწაზე სამართალმა იხაროს მარტო“.

მეორე სპექტაკლი „STOP – AIDS!“ დ. შალიკაშვილმა ნარკომანიის თემას მიუძღვნა. მოქმედება ერთი პერსონაჟის გარშემო მიმდინარეობს, რომლის ცხოვრება მშვიდ და ბედნიერ ოჯახურ გარემოში ვითარდება, რასაც ვიოლინოს მელიოდური მუსიკაც გამოხატავს. რეჟისორმა ბედნიერი წყვილის სამყარო რინგზე განათავსა, სადაც თავიანთ პოეტურ სამყაროს ცეკვით გამოხატავენ. მათ გარშემო ნიღბოსნები დგანან, როგორც მოსალოდნელი საფრთხის მომასწავებლები. ამ წყვილს დროდადრო ნითელ-სამოსიანი ახალგაზრდა უცქერის, რომელიც ნარკოტიკის სიმბოლური გამოხატულებაა. იგი რინგზე შედის და ყმანვილს ხელს ართმევს, რითაც მის არსებაში მოურჩენელი სენის შემოჭრა ფიქსირდება და პოეტური სულიერი სამყარო ჯოჯოხეთს ემსგავსება. ამის გამოხატულებაა ნარკოტიკის მიერ, მსხვერპლისთვის ხელ-ფეხზე თოკის გამობმა. ამ დროს იგი მარიონეტის თოჯინას ემსგავსება, რომელიც წამლის ტყვეობიდან თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. ნარკოტიკის გავრცელების პლასტიკურ სახეს მსახიობთა ჯგუფი ტყის ფორმით გამოხატავს,

რომლის შუაგულშიც ამ მსხვერპლს შეაგდებენ და იგი ჩაკეტილ სამყაროში აღმოჩნდება. მიუხედავად დახმარების თხოვნისა, ამაოდ ცდილობს ნიღბოსანთა რკალის გარღვევას და ნითელ-სამოსიანი ნარკოტიკიც საბოლოოდ იხუტებს მას. ნარკოტიკის ზემოქმედება გამოხატულია ქალის სახით, რომელიც ბიჭს საკოცნელად ეძახის, ნემსს უკეთებს და ეხვევა, რითაც თავის ბადეში საბოლოოდ ახვევს. გმირის ეს სულიერი განცდა აგიზგიზებული ცეცხლის პლასტიკითაა ნაჩვენები, რომლის შუაგულშიც მოხვედრილს სული ეხუთება, მაგრამ თავის გადარჩენის იმედს არ კარგავს.

მოქმედების მთხრობელად პიერო (ა. შალიკაშვილი — უმცროსი) გვევლინება, რომელიც შექმნილ სიტუაციებს კომენტარს უკეთებს და თავის დამოკიდებულებას გადმოსცემს, რაც საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის სიმბოლოდაც აღიქმება. იგი განიცდის და უთანაგრძნობს ნარკოტიკის მსხვერპლს. კულმინაციურ მომენტში ყვირის, ახალგაზრდის გადასარჩენად ხალხისგან შევლას ითხოვს და ცდილობს რაიმე ილონოს. პიერო სიკეთისა და სიცოცხლის სიმბოლური გამოსახულებაა, რომელიც მოქმედებაში აქტიურად მონაწილეობს და გმირებს ცხოვრებისეული რთული ვითარებების დაძლევისა და სიფხიზლისკენ, ჯანსაღი ცხოვრების დაცვით, ბედნიერებისკენ მოუწოდებს.

სპექტაკლში გმირები დაკონკრეტებულნი არ არიან, რითაც რეჟისორი პრობლემის განზოგადებულ სახეს წარმოგვიდგენს და საზოგადოებას ერთიანობისკენ, თანადგომისკენ მოუწოდებს, რომ გასაჭირში ჩავარდნილი პიროვნება სხვების დახმარებით გამოსავალს ყოველთვის მოძებნის. სპექტაკლი თავისი ფორმით, გამომსახველობითი საშუალებებით განსხვავდება თეატრის სხვა დადგმებისგან, რაც ახალ, საინტერესო შემოქმედებით ძიებებზე მიგვანიშნებს.



სცენა სპექტაკლიდან „ტიტუსი“

ღაჯა ჩხაჩუიანი

ბაქოს თოჯინების თეატრის პირველი საერთაშორისო ფესტივალი

ნოემბრის პირველ დეკადაში აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო თოჯინების თეატრების პირველ საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობდა. აღნიშნული ფესტივალი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ პროექტის, რომელიც შარშან აზერბაიჯანის რესპუბლიკამ დაიწყო.

ეს გახლავთ „კულტურის განვითარების ათ-წლეული“. ფესტივალის ორგანიზატორებმა და უშუალოდ აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრომ მოახერხა პირველივე ფესტივალის ფართო მასშტაბებში ჩატარება. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ თეატრალურ ფორუმში ევროპისა და აზიის თოთხმეტზე მეტი ქვეყნის თეატრი ჩავიდა, ფესტივალის ორგანიზატორებმა მოახერხეს მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო თეატრალური ორგანიზაციების პირველი პირების შეკრება ბაქოში. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი თოჯინების თეატრებისადმი, რომელშიც ადგილობრივი სპეციალისტების გარდა ფესტივალის 5-6 სტუმარი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ 1-ს გენერალური მდივანი ჟაკ ტრუდო, ASSITEJ-ს პრეზიდენტი ივეტა ჰარდი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი მიშელ ვაისი, თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური მდივანი ფრანკო ბიანკინი და ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ლევან ხეთაგური.

კონფერენცია, რომელიც ერთ დღეს გაგრძელდა, მიმოხილვითი ხასიათის იყო და ის ასახავდა თანამედროვე მსოფლიოს თოჯინების თეატრებში მიმდინარე შემოქმედებით პროცე-



ბაქოს თოჯინების სახელმწიფო თეატრის საფესტივალო ფორი

სებს. „პრაქტიკულად თანამედროვე მსოფლიოში ძალიან პოპულარული ხდება თოჯინების თეატრი და ის აღარ მოიაზრება მხოლოდ ბავშვებისთვის განკუთვნილ თეატრალურ ფორმად – გვიტხრა კონფერენციის მონაწილემ ლევან ხეთაგურმა – უნდა ითქვას, რომ ტენდენცია – თოჯინების თეატრი მხოლოდ საბავშვო თეატრალური ფორმაა – არ დაწყებულია საბჭოთა კავშირიდან, ეს ტენდენცია 20-იანი წლების ევროპიდან იღებს სათავეს. კერძოდ, საფრანგეთიდან, როცა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ თეატრი უნდა ჩადგეს პედაგოგიკის სამსახურში, როცა პირველად შეიქმნა მოზარდ მაყურებელთა თეატრები. უბრალოდ საბჭოთა კავშირში დღემდე გრძელდება ეს ტენდენცია. თუკი ევროპაში პარალელურად არსებობდა სხვადასხვა ტიპის თოჯინების თეატრები სპექტაკლები განკუთვნილი ბავშვებისთვის და ჩვეულებრივი მაყურებლისთვის, საბჭოთა კავშირში ამ მიმართულებით სპექტაკლები მხოლოდ იდგმებოდა ბავშვებისა და მოზარდებისთვის. თუმცა, საქართველო გამოჩაჩიხა იყო, რადგან რეზო გაბრიაძის თეატრი შეიქმნა და ეს იყო პროგრესული მოვლენა. დღეს თითქმის ნაშლილია ზღვარი თოჯინებისა და დრამატულ თეატრის შორის, აკადემიურ თეატრში პოპულარული გახდა შერეული ფორმა: მსახიობის და თოჯინის ერთდროული გამოყენება. ეს ის ტენდენციაა, რომელიც მთელ მსოფლიოში ვითარდება. სხვადასხვა თეატრალური ფორმები ერთმანეთს უახლოვდება. ამას აღნიშნავდა სწორედ კონფერენციაზე ფრანკო ბიანკინი თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური მდივანი, რომ მსოფლიო თეატრში დღეს ცეკვასაც აღარ განიხილავენ, როგორც ცალკე მდგომ თეატრალურ ფორმას. ის მოქცეულია ზოგადად თეატრში, ანდა როცა მსახიობზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ დრამატული თეატრის მსახიობს, მომღერალს და მოცეკვავს ერთად.

კონფერენციაზე იმაზეც იყო საუბარი, თურა ადგილს დაიკავებს თოჯინების თეატრი მსოფლიო თეატრალურ ტენდენციებში. ჩემს მოხსენებაში კი შევეხე საქართველოში არსებულ სიტუაციას და აღვნიშნე, რომ ჩვენთან დიდი ხანია არსებობს მარიონეტების თეატრი ფართო მაყურებლისათვის, რომელიც რეზო გაბრიაძემ შექმნა, ასევე თითების და ჩრდილების თეატრი და ძალიან კარგი მაგალითი ლევან ნულაძის „ფაუსტი“, როცა დრამატულ თეატრში თოჯინების თეატრი შეიჭრა და მოხდა საინტერესო კომბინაცია თოჯინის და მსახიობის ურთიერთდამოკიდებულების სცენაზე“ – აღნიშნა ლევან ხეთაგურმა.

ცოტა რამ ბაქოს პირველი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის შესახებ

პირველ საერთაშორისო თოჯინების ფესტივალში, რომელიც 1-6 ნოემბერს ბაქოში ჩატ-

არდა, ევროპისა და აზიის 14-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის, მულტიმედიური, ჩრდილების, თოჯინების, საბავშვო და საყმანვილო თეატრალურმა დასებმა დიდი ბრიტანეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, რუმინეთიან, ირანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, იორდანიიდან, ესტონეთიდან, ავსტრიიდან, ყაზახეთიდან, ეგვიპტიდან და აზერბაიჯანიდან. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები, რომლებიც ჩაატარეს ექსპერტებმა დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან და თურქეთიდან. აღნიშნულ მასტერკლასებზე დასწრება შეუზღუდავი იყო და მასში მონაწილეობის უფლება ფესტივალის ყველა მონაწილეს და სტუმარს შეეძლო.

ბაქოს პირველმა თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალმა გააერთიანა ჩრდილების, საგნების, თოჯინების, მარიონეტების, ტრადიციული თურქული თოჯინების, რუსული „პეტრუშკის“ და სხვა ტიპის თეატრალური ფორმები, რომელიც გამოვლენილი იყო არაერთ სპექტაკლში. ერთმანეთის პარალელურად სპექტაკლები ბაქოს თოჯინების სახელმწიფო, მოზარდ მაყურებელთა, რუსულ დრამატულ და პანტომიმის თეატრების სცენებზე მიმდინარეობდა. საფესტივალო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო როგორც თემატურად, ისე თეატრალური ფორმის თვალსაზრისით. განსაკუთრებული შთაბეჭდილება საფესტივალო პროგრამიდან მხოლოდ რამდენიმე სპექტაკლმა დატოვა. მათ შორის, აზერბაიჯანის სახელმწიფო თოჯინების თეატრის სპექტაკლმა დატოვა, რომელმაც წარმოადგინა ნიზამი განჯელის „სიკეთე და ბოროტება“, ასევე ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ესპანური თითების და საგნების თეატრი სპექტაკლით „თავები ღრუბლებში“, რომელშიც მხოლოდ ერთი მსახიობი ერკვ დე სარია მონაწილეობს. ამ სპექტაკლის იდეის ავტორი ხავიერ ბოტესია, ორიგინალური მუსიკა კი ჯულია კარბონარემ დაწერა. საინტერესო ჩანაფიქრი ჰქონდა ავსტრიულ მულტიმედიურ-ვიზუალურ თეატრს. სპექტაკლში ჩვენს წინ წარსდგნენ მარიონეტები, რომლებიც უკრავდნენ პიანინოზე, ხატავდნენ, ცეკვავდნენ... საინტერესო იყო ასტრახანის სახელმწიფო თოჯინების თეატრის სპექტაკლი „თოთხმეტი წერილი ღმერთს“, რომელიც ერკვ ემანუელ შმიტის ნაწარმოების მიხედვით იყო დადგმული. მასში სულ ორი მსახიობი მონაწილეობს. მთავარი გმირი მაყურებლის წინაშე პარალელური ორი სახით ჩნდება. მსახიობი „ცოცხალ პლანშიც“ გვევლინება და თოჯინის სახითაც. ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ გამოვლინდა რუსული თეატრის ღირსება – მეტყველების კულტურის და მსახიობის ტექნიკის ფლოზა.

საქართველო ფესტივალზე

საქართველოდან ბაქოს პირველი საერთა-

შორისო ფესტივალისთვის სხვადასხვა ქართული თეატრიდან ხუთი განაცხადი შევიდა, თუმცა ფესტივალის ორგანიზატორებმა არჩევანი მხოლოდ ორ ქართულ თეატრზე გააკეთეს: ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა გაგრა“ და მულტი-პულტის სამყაროს თეატრი. ცნობილია, რომ ნებისმიერი ფესტივალის მასში მონაწილეობის მსურველთა კანდიდატებიდან სპექტაკლების სრულ ვიდეო-ჩანაწერს ითხოვს, მაგრამ ორივე ქართული თეატრი ფესტივალმა ვიდეო-ჩანაწერის გარეშე შეარჩია. როგორც ფესტივალის დირექტორმა შაიკ საფაროვმა გვითხრა: „ჩვენ კარგად ვიცით რა არის ომი და გვინახავს თეატრი, რომელიც ლტოლვილის სტატუსს ატარებს საკუთარ ქვეყანაში, ჩრდილების თეატრი სწორედ ამ პრინციპით შეირჩა, თუმცა თავად თეატრიც თავისი არსით ორიგინალური და გამორჩეულია სხვა თეატრებისაგან. რაც შეეხება მულტი-პულტის თეატრს – ჩვენ სტიმული მივეცით ახლადჩამოყალიბებულ თეატრს, რადგან გვესმის რაოდენ ძნელია საკუთარ ქვეყანაში ადგილის დამკვიდრება და ავტორიტეტის მოპოვება, ჩავთვალეთ, რომ ამ თეატრისთვის უნდა მიგვეცა შანსი საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის. სასიხარულია, რომ რისკმა გაამართლა–ფესტივალის მაცურებელი ძალიან კმაყოფილი დარჩა“.

ჩრდილების თეატრმა „ბუდრუგანა გაგრა“ ფესტივალზე „ეს არ არის ლამაზი დღე“ წარმოადგინა. სპექტაკლი ნაჩვენები იყო ბაქოს მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრის სცენაზე. 400-ადგილიანი დარბაზი სავსე იყო მაცურებლით. საერთოდ, ამ ფესტივალზე ქარ-

თული თეატრების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი იყო არა მხოლოდ მაცურებლის მხრიდან, არამედ რუსული ტელევიზიებისა და აზერბაიჯანული პრესიდანაც. „ჩრდილების თეატრს“ კარგად იცნობს ქართველი მაცურებელი და მკითხველი, ამიტომ ამ სპექტაკლზე არაფერს მოგიყვებით, რასაც ვერ ვიტყვი მულტი-პულტის თეატრზე და მის სპექტაკლზე „ნიქარა“, რომელიც ერთი წელიც არ არის, რაც შეიქმნა.

მულტი-პულტის თეატრის დასი რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა, რომელშიც გაერთიანებულია პროფესიონალი მსახიობები სხვადასხვა თეატრებიდან. ამ მოკლე დროის მანძილზე დასმა რამდენიმე სპექტაკლი მოამზადა, მსოფლიო კლასიკური და ტრადიციული ქართული რეპერტუარიდან. მათ შორის, ცნობილი ქართული ზღაპრის „ნიქარას“ სცენური ინტერპრეტაცია, რომელიც აქამდე ქართულ სცენაზე არ განხორციელებულა.

სპექტაკლის პრემიერა თბილისში არ გამართულა. „ნიქარა“ სწორედ რომ საფესტივალოდ მომზადდა და ახალგაზრდა რეჟისორმა გოჩა ხვიჩიამ იმთავითვე გაითვალისწინა საფესტივალო აუდიტორია. მიზანსცენები სიუჟეტის პარალელურად ააგო ქართული ფერწერის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის გაცნობაზე უცხოელთათვის. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება მთლიანად ქართულ უნიკალურ მუსიკალურ ფოლკლორს, ზაქარია ფალიაშვილის და სულხან ცინცაძის ორიგინალურ თემებს ეფუძნება. ახალგაზრდა რეჟისორმა გოჩა ხვიჩიამ სამსახიობო ფაკულტეტი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში დაამთავრა გიზო



სცენა ბაქოს მუნიციპალური თეატრის სპექტაკლიდან „ალი და ნინო“

ჟორდანია სელმძღვანელობით. 2004-2010 წლებში იყო ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი. სტაჟირება გაიარა რობერტ სტურუასთან და მონანილეობდა მის სპექტაკლებში, როგორც მსახიობი. შესრულებული აქვს ათამდე როლი. 2010 წლიდან არის სამემსრულებლო ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის მაგისტრანტი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. მონანილეობდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში „ზღვები X“ და მიღებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატები, ხოლო 2010 წლიდან მულტი-პულტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. სპექტაკლის დამდგმელი მხატვარიც ახალგაზრდა შემოქმედია, მას დამთავრებული აქვს ტექსტილის დიზაინის და თეატრის მხატვრის ფაკულტეტები. არის სამხატვრო აკადემიის მაგისტრი სცენოგრაფიის მიმართულებით. თითების თეატრის დაარსების დღიდან 2011 წლამდე იყო ამავე თეატრის მსახიობი და მხატვარ-დეკორატორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მხატვრად ბათუმის, ზუგდიდის და თბილისის თავისუფალ თეატრებში.

გორა ხვიჩის სპექტაკლი „ნიქარა“ ფესტივალის დახურვის დღეს წარმოადგინეს აზერბაიჯანის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე. ამ თეატრის დარბაზი 450-მდე მაყურებელს იტევს, რომელიც გაივსო არა მხოლოდ პატარა მაყურებლით, არამედ ფესტივალის სტუმრებითა და მონანილეებით. კიდევ ერთი დეტალი, რაც შესამჩნევი იყო და ქართველებს არ აწყენდა მისი რეალობაში დანერგვა. თითოეული ბავშვი თეატრში შესვლამდე ყვავილების თაიგულს ყიდულობს და მისთვის სასურველ მსახიობს, პერსონაჟს, გმირს სპექტაკლის შემდეგ გადასცემს. რუსული დრამატული თეატრის სცენა გაცილებით დიდია, ვიდრე მულტი-პულტის სცენა თბილისში. ამიტომ სპექტაკლის მხატვარმა მარიკა კვაჭაძემ თავიდანვე დაიჭირა თადარიგი გაცილებით მასშტაბურ სცენაზე დეკორაციის გადასატანად და სრულიად ახალი დეკორაციები შექმნა, მსახიობებმა თათია ბაქრაძემ, ცირა შარიამ, სოფო ვარდიძემ, ბექუ ქაფიანიძემ, გენა შონიამ და ნანიკო კვარაცხელიამ მარტივად მოახერხეს ახალ სცენასთან ადაპტაცია და სრული მობილიზაცია. ეპიზოდები და მიზანსცენები, რომლებიც ქართულ ქორეოგრაფიულ-მუსიკალურ ფოლკლორს ეფუძნებოდა, მაყურებლის აპლოდისმენტებით ჩაიარა. რეჟისორის ზუსტად გათვლილმა ხერხებმა რუსულ სცენაზე აზერბაიჯანელ მაყურებელში ეფექტი მოახდინეს. ფესტივალის მონანილეები დაინტერესდნენ ქართული მუსიკით, ქორეოგრაფიით და, რაც მთავარია, ქართული თეატრით.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ სცენაზე ავიდნენ აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი ლუდმი-

ლა დუხოვნაია და მულტი-პულტის სამყაროს თეატრის საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი ნატალია საგინაშვილი. ქალბატონმა ლუდმილამ თეატრის წარმომადგენლებს ფესტივალის საპატიო დიპლომი, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს სპეციალური პრიზი და ფესტივალის სიმბოლო „ჯირსტანი“ (აზერბაიჯანული ზღაპრების და მულტიპლიკაციური ფილმების ნაციონალური გმირი) გადასცა და მაყურებელს განუცხადა: „დრამატული თეატრის და კინოს მსახიობი ვარ და ძალიან კარგად მესმის რამდენი სირთულის გადალახვა უნევთ მსახიობებს, რომლებიც თოჯინებს ათამაშებენ. ისინი დამალულები არიან და ჩვენამდე სათქმელი მოაქვთ თოჯინით. თუ კარგად გააცოცხლა თოჯინა-მსახიობმა — ეს მისი ხელის პლასტიკის, ხმის და ზუსტი ინტონაციის დამსახურებაა. ასე მუშაობა კი გაცილებით რთულია და შესაბამისად, უფრო დასაფასებელიც. ეს ტაში, რაც ქართველმა მსახიობებმა ასე გულმხურვალდ მიიღო დამსახურებულია და გულწრფელი. თქვენი მსახიობები არაჩვეულებრივად სუფთად მღერაინ უნიკალურ და რთულად შესასრულებელ ქართულ მრავალხმიან სიმღერებს. მინდა ჩემი განსაკუთრებული პატივისცემა დავაფიქსირო ახალგაზრდა მსახიობის თათია ბაქრაძის მიმართ“. ნატალია საგინაშვილმა კი იმ სიურპრიზის შესახებ ამცნო მაყურებელს, რომელსაც ქართული თეატრი შეკრებილ მაყურებელს სპექტაკლის დაწყებამდე დაპირდა: „ძალიან ვეცადეთ თქვენი გულები გაგვეხარებინა არა მხოლოდ სპექტაკლით, არამედ განსაკუთრებული საჩუქრითაც. როცა გადავწყვიტეთ ბაქოში წამოსვლა ჩვენს ერთგულ მაყურებელს საქართველოში შევთავაზეთ თქვენთვის წამოგველო სიყვარული. თქვენმა ქართველმა თანატოლებმა შეგიგროვეს თავიანთი ნახატები და გამოგვაცანეს თქვენთან, როგორც სიყვარულის და ჩვენი მეგობრობის სიმბოლო“. მულტი-პულტის თეატრის წარმომადგენლებმა ფესტივალის ორგანიზატორებს ასევე სპეციალურად ფესტივალისთვის დაბეჭდილი ბანერი გადასცეს, რომელზეც ასახულია ბაქოს თოჯინების თეატრის ფესტივალი ასი წლის შემდეგ.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ საშუალება გვქონდა გავსაუბრებოდით მაყურებელს და მათი შთაბეჭდილებებიც ჩაგვეწერა.

ნარბილია გარიბოვა, აზერბაიჯანის პანტომიმის თეატრის მსახიობი: როცა თქვენს სპექტაკლს ვუყურებდი, დავბრუნდი ულამაზეს ბავშვობაში, „მულტი-პულტის სამყაროს“ მსახიობებმა შეძლეს ზრდასრული ადამიანების მოგზაურობა შორეულ და ლამაზ ბავშვობაში. ყველაფერი იყო დახვეწილი, სევდიანი და, რაც მთავარია, ყველაფერი სცენაზე ეროვნული მუხტით იყო დამუხტული.

ილმან რეზიევი, მსახიობი, აზერბაიჯანის

პანტომიმის თეატრის დირექტორი: ფესტივალზე სულ ორი სპექტაკლი ვნახე, რომელმაც განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. ერთი უფის თეატრია და მეორე ახალბედა თეატრი საქართველოდან. სპექტაკლის ცქერი-სას თითქოს მეც გადავიქეცი ბავშვად, ძალიან მომეწონა თავად ქართული ხალხური ზღაპარი, მისი თემატიკა, რომელიც ასევე კარგად იყო გადმოცემული რეჟისორისა და მსახიობების მიერ. სასურველია ეს თეატრი უფრო მეტმა მაყურებელმა გაიცნოს საზღვარგარეთ.

სუენლი ნარმიროვა, თეატრის მარკეტოლოგი: ძალიან ნათელი სპექტაკლია, ბევრი რეჟისორული ხერხით, არაჩვეულებრივი ქართული ცეკვით, ტემპერამენტით და შესანიშნავი ქართული მუსიკით. განსაკუთრებით მომეწონა თითებში შესრულებული ქართული ცეკვა.

ოლია ნარმიონაშვილი, აზერბაიჯანის თეატრალური ინსტიტუტის მასწავლებელი: მომეწონა ქართველი მსახიობების თამაში, დადგმაც საკმაოდ ორიგინალურია. მე ვიცნობ ქართულ დრამატულ თეატრს, პირველად ვნახე თოჯინების თეატრი საქართველოდან, გილოცავთ ამ ნარმატებას და ვისურვებდი, რომ ხშირად ჩამოიტანათ ასეთი სპექტაკლები ჩვენი მეგობარი საქართველოდან.

თეაზურ ემილიანოვი, საქართველოს საელჩოს თანამშრომელი აზერბაიჯანში: კარგა ხანია ასეთი მხიარული სპექტაკლი არ მინახავს, სიცოცხლით სავსე ნარმოდგენაა, რიტმული და დახვეწილი. როცა სპექტაკლს ვუყურებდი საქართველოში მეგონა თავი. მასში დავინახე საქართველოს პატარა ნაწილი. დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. სასიხარულოა, რომ კარგი განწყობა შემოიტანეთ ბაქოს თეატრალურ სამყაროში.

მასსუფ ააზიმოვი, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს თეატრების სამმართველოს სპეციალისტი: მინდა მივულოცო ქართულ დასს ეს ნარმატება, ასეთ წვიმიან ამინდში, რომ ამდენი პატარა მაყურებელი მოვიდა. ეს ნიშნავს რომ სპექტაკლს საქართველოდან სულმოუთქმელად ელოდნენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მულტი-პულტის თეატრმა სპექტაკლი ჩამოიტანა მეგობრობის თემაზე, რაშიც კიდევ უფრო გამოვლინდა ქართველი ერის ჰუმანურობა და დამოკიდებულება აზერბაიჯანისადმი. ეს უკვე დიდი საჩუქარია ჩვენთვის, ეს მეგობრობა ამ ორ ერს შორის კი უნდა იყოს მარადიული. მაღლობა თქვენს ხელმძღვანელობას, რომ საშუალება მოგცათ მიგვლოთ მონაწილეობა ამ ფესტივალში.

„ნიქარას“ ქართული პრემიერა თბილისში მიმდინარე წლის დეკემბრის თვეშია დაგეგმილი. იმედია ქართველი მაყურებელი და კრიტიკაც ისევე თბილად მიიღებს უძველესი ქართული ზღაპრის ახალ სცენურ ინტერპრეტაციას, როგორც ის უცხოელმა მაყურებელმა მიიღო.

თანამედროვე აზერბაიჯანული თეატრალური ცხოვრების ერთი ფურცელი

ბაქოში ერთმანეთის პარალელურად რამდენიმე დრამატული თეატრი მოღვაწეობს. ხშირად იმართება პრემიერები, სახელმწიფო უზარმაზარ თანხებს ხარჯავს თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის, მაყურებელიც, როგორც ჩანს, არ აკლია ბაქოს თეატრებს, მაგრამ თეატრალური ცხოვრება მაინც არ არის სასურველ მხატვრულ დონეზე. ამის მიუხედავად აზერბაიჯანული თეატრის მესვეურები ცდილობენ არ ჩამორჩნენ დროს და ფეხი აუწყონ ევროპაში მიმდინარე თეატრალურ პროცესებს. ბევრია ენთუზიასტი მსახიობი და რეჟისორი, რომელიც თეატრალური ხელოვნების სიყვარულით მზად არის დღეში სამი სპექტაკლიც ითამაშოს და ოჯახსაც მოაკლოს ყურადღება, რაც, ერთი შეხედვით, ნამდვილი შემოქმედისთვის ჩვეულებრივი მომენტია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აზერბაიჯანი ისლამური ქვეყანა და რელიგიური კანონები იქ ყველაზე მაღლა დგას, ამის მიუხედავად აზერბაიჯანული თეატრალური დასები სავსეა ახალგაზრდა და ხანდაზმული მსახიობი ქალებით, რომლებიც სადღესასწაულო დღეებშიც კი მთელ დღეს თეატრებში ატარებენ.

ქალბატონი ამალია ხანუმი, იგივე ამალია პანახოვა აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, მრავალი პრემიის ლაურეატი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აზერბაიჯანში. მის სახელს უკავშირდება აზერბაიჯანული თეატრის არაერთი გამარჯვება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბაქოს ერთადერთი მუნიციპალური თეატრის დაარსება-ჩამოყალიბება. 1992 წლიდან, ანუ ბაქოს მუნიციპალური დრამატული თეატრის დაარსების დღიდან ამალია ხანუმი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. თავად, ოცდაათ წელზე მეტი აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სცენაზე იმოდგანა, როგორც მსახიობმა. ამ ხნის განმავლობაში მას შესრულებული აქვს ორასამდე მთავარი როლი, როგორც მსოფლიო კლასიკურ, ისე ნაციონალურ აზერბაიჯანულ რეპერტუარში. ამალია პანახოვა არც თანამედროვე ევროპულ პიესებში მონაწილეობას გაურბოდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ისე როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, აზერბაიჯანშიც ქაოსი დაიწყო. აზერბაიჯანმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რომლის პარალელურად დაიხურა თეატრები, მუზეუმები, კინოთეატრები, მეცნიერებათა აკადემიები. ამ პროცესების დაერთო ომი რუსეთთან და ომი სომხეთის რესპუბლიკასთან. აზერბაიჯანელი მსახიობების უმრავლესობა უმუშევარი და უპოვარი დარჩა. რთული პერიოდი აზერბაიჯანის მთავარ ეროვნულ აკადემიურ თეატრსაც დაუდგა. იგი



ამალია პანახვა

ხელისუფლებამ თითქოს რემონტის გამო დახურა, სინამდვილეში კი სახელმწიფოს აღარ შეეძლო დასის შენახვა. სწორედ ამ დროს, მსახიობმა ქალმა, რომელსაც იცნობდა მთელი აზერბაიჯანი სცენიდან, ფილმებიდან და სატელევიზიო ეკრანებიდან საკუთარ თავზე აიღო ახალი თეატრის ჩამოყალიბება, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა ნიჭიერი, მაგრამ თეატრს მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისაგან. „მე რომ თეატრის გარეშე არ შემეძლო, ეგ არაფერი – მითხრა ქალბატონმა ამალიამ – უფრო მეტად მოქალაქეობრივი მრწამსი არ მაძლევდა სამუალებას უმოქმედოდ დავრჩენილიყავი. ვთვლიდი, რომ სახელმწიფოს როცა უჭირდა მაშინ უნდა გაგვემხნევებინა ჩვენი მოქალაქეები. მით უმეტეს, ქვეყანაში ომი იყო. მეზობლი ახალგაზრდებისთვის უნდა გვეთქვა სცენიდან გამამხნევებელი სიტყვები, რადგან თეატრს დიდი ძალა აქვს, უნდა გაგვეღვიძებინა თითოეულ მეზობელში პატრიოტული სული. წარმოიდგინეთ, ბაქოში რუსული ტანკები დაქრიან, საზღვრის პირას კი სომხები ყოველდღე ხოცავენ აზერბაიჯანელ ქალებს და ბავშვებს, ვინაიდან მე იარაღით ბრძოლა არ შემეძლო, სამშობლოს დაცვის პროცესში ჩემი ენერგიით, გამოცდილებით და ავტორიტეტით ჩავები. ჩემი მთავარი ამოცანა მეზობლების და უბრალო ხალხის გამხნევება და რწმენის დაბრუნება იყო. ამ საქმეში გვერდით დამიდგა ხელისუფლება. მუნიციპალური თეატრი — ასეთი ცნება საერთოდ არ არსებობდა, მომისმინებ სახელმწიფოს მეთაურებმა და

ბრძანებაც გასცეს ახალი თეატრის დაარსების თაობაზე 10 ნოემბერს, 25 დეკემბერს კი პირველი სპექტაკლიც ვითამაშეთ, იანვარში კი უკვე ფრონტზე ვიყავით ჩვენს თანამებრძოლებთან ერთად, სადაც ვითამაშობდით ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან, ვკითხულობდით პატრიოტული თემატიკის ლექსებს, ვახსენებდით ყველას, რომ უნდა დაგვეცვა ჩვენი მინა და ერის დამოუკიდებლობა. აზერბაიჯანელ ხალხს გმირ სჭირდებდა, ჩვენი თეატრის რეპერტუარიც გმირობაზე, პატრიოტიზმზე, ერთგულებაზე და მეგობრობაზე დადგმული სპექტაკლებისგან შედგებოდა...“

ბაქოს ახალმა თეატრმა მალე მოიპოვა ავტორიტეტი და პოპულარობა აზერბაიჯანში, გაიცნეს დასი და დაიწყო საგასტროლო ტურნეები მეზობელ ქვეყნებში, თურქეთსა და ირანში. „პირველი საერთაშორისო გასტროლი თურქეთში გვეკონდა — მითხრა ამალია ხანუმმა — რამდენიმე ქალაქი მოვიარეთ, გზადაგზა ვჩერდებოდით და ვაჩვენებდით ჩვენს სპექტაკლებს, ენობრივი ბარიერი მოხსნილი იყო, რადგან აზერბაიჯანული ენა ძალიან ჰგავს თურქულს, ამიტომაც ჩვენი ტკივილი, რაზეც სცენიდან ვუყვებოდით აზერბაიჯანელ მაყურებელს, თურქი მაყურებლისთვისაც გასაგები და ახლობელიც იყო. თურქეთის ათამდე ქალაქში ვითამაშეთ სპექტაკლები მეგობრობაზე ერებს შორის. შემდეგ იყო ირანის გასტროლები, რომელმაც ასევე დიდი წარმატებით ჩაიარა... შემდეგ იყო ფესტივალები თეირანში და ტრაპიზონში, ორივე ფესტივალზე ოქროს მედლით დაჯილდოვდით, ტრაპიზონში კი ქალაქის საპატიო მოქალაქის ნოდება მოგვანიჭეს. თეატრის ათი წლის იუბილეზე აზერბაიჯანის ხელისუფლებამ თეატრის ოცდასამი მსახიობი სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვა.“

მომავალ წელს ბაქოს მუნიციპალურ თეატრს დაარსებიდან 20 წელი უსრულდება. აზერბაიჯანის მთავრობამ თეატრს ახალი შენობა გამოუყო სამოღვაწეოდ, რომელშიც ახლა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ამჟამად თეატრის რეპერტუარში ოცამდე სპექტაკლია, ხოლო დასში სამივე თაობის მსახიობებს შეხვდებით. სპექტაკლებს აზერბაიჯანის (იგივე სახელმწიფო აკადემიური დრამა) სცენაზე თამაშობენ. ამ სცენაზე დაიდგა სწორედ ყურბან საიდის „ალი და ნინო“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა აზერბაიჯანში. „როცა გავიგეთ, რომ საქართველოში ძეგლიც კი დაუდგეს ჩვენი საყვარელი მწერლის პერსონაჟებს, ძალიან ბედნიერები ვიყავით, ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩვენთვის, თითოეული აზერბაიჯანელისათვის — მითხრა თეატრის ხელმძღვანელმა ამალია პანახვამ. შარშან ბაქოში უზარმაზარი სიმპოზიუმი ჩატარდა თეატრმცოდნეების, მსოფლიოს ორმოცამდე ქვეყნიდან სამოცდაათზე მეტი თეატრმცოდნე ესწრებოდა მას. სიმ-



სცენა ირანის თოჯინაზის თეატრის სპექტაკლიდან

პოზიუმის შემდეგ სტუმრები ჩვენს სპექტაკლზე „ალი და ნინო“ მივიწვიეთ, ისინი ძალიან კმაყოფილები დარჩნენ, ყველას მოეწონა. არც ვიცოდი ეს რომანი ასეთი პოპულარული თუ იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაში. ძალიან გვინდა საქართველოში ამ სპექტაკლის ჩამოტანა და მისი ფართო ქართველი მაყურებლისთვის ჩვენება. ჩვენ ძალიან გვანტერესებს ქართველი მაყურებლის აზრი და დამოკიდებულება კონკრეტულად ამ სპექტაკლისადმი.“

ამალია ხანუმის აზრით, საქართველოში სპექტაკლის წარმოდგენა ისეთივე საპასუხისმგებლოა, როგორც პარიზის, ან ბერლინის დიდ დრამატულ სცენებზე. მას მიაჩნია, რომ საქართველო უდიდესი თეატრალური ტრადიციების ქვეყანაა. თუმცა ბედნიერია, რომ თავად არაერთხელ წარმატებით გამოსულა ქართულ სცენაზე. „გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გასტროლები გვქონდა მარჯანიშვილის თეატრში. წარმოვადგინეთ სპექტაკლი „მედეა“, მედეას როლს მე ვასრულებდი. როცა გავიგე, რომ ამ სცენაზე ეს როლი შესრულებული ჰქონდა უდიდეს მსახიობს ვერიკო ანჯაფარიძეს შიშისგან დიდხანს ვერ დავშვიდდი სცენაზე რომ გავსულიყავი. როცა სპექტაკლი დავამთავრე ჩემს საგრიმოროში ქალბატონი ვერიკო და სოფიკო შემოვიდნენ, მომილოცეს წარმატება. ეს დიდი ბედნიერება და პატივი იყო ჩემთვის, მათი სიტყვები ჩემს მიმართ თქმული კი ძალიან ძვირფასი.“

ბაქოს მუნიციპალური თეატრის ხელმძღ-

ვანელმა ქალბატონმა ამალიამ ფესტივალის რამდენიმე სტუმარი საგანგებოდ მათთვის დანიშნულ სპექტაკლების ჩვენებაზე მიიწვია. ჩვენ საშუალება გვქონდა გვენახა ორი სპექტაკლი, ერთი აზერბაიჯანულ ფოლკლორულ მოტივებზე და მეორე ასევე აზერბაიჯანული იგავის „ღმერთის გაკვეთილები“ მიხედვით. ორივე სპექტაკლში ოცამდე მსახიობი მონაწილეობს, მსახიობთა თამაშის მწირი გამომსახველობითი საშუალებების მიუხედავად, დასში რამდენიმე ლიდერიცაა, რომელთა შორის გამორჩეულები არიან როფშან არმულადრი, ზულფიე მამედოვა, ასივ რაგინოვი, ტურალ აგაევი... ეს მსახიობები ქმნიდნენ ტიპაჟებს და მხატვრულ სახეებს სპექტაკლში. ისინი ავლენენ მაღალ პროფესიონალიზმს და გარდასახვის უნარს.

ფესტივალის ფარგლებში უცხოელმა სტუმრებმა ბაქოს სხვადასხვა თეატრებში რამდენიმე სპექტაკლი ნახეს, თუმცა მათი გამოყოფა რაიმე განსაკუთრებული ნიშნით ძნელია, რადგან აზერბაიჯანული თეატრი ახლა გადის იმ პერიოდს, რომელიც ევროპულმა თეატრმა დიდი ხანია გაიარა. რაოდენ სამწუხაროა, რომ პრიმიტიული ხერხებით, ილუსტრაციულობით გამორჩეულს და რეჟისორთა მწირი გამომგონებლობით დადგმულ სპექტაკლებს თანამედროვე ქართული თეატრის რეპერტუარშიც კი ვხვდებით. ასე, რომ აზერბაიჯანის იმ დიდი თეატრალური ოჯახის ნაწილია, რასაც ევროპული თეატრალური კულტურა ჰქვია.

ნიმე მეჭაჭაჩიანი

რუსთავის თეატრის კრემიერები და ახალი სახეები

რუსთავის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი შეიცვალა — რეჟისორ გოჩა კაპანაძის მოულოდნელმა წასვლამ და რამდენიმე წლის წინათ შექმნილი ახალგაზრდული თეატრის, „ბრავოს“ რეჟისორის — ლაშა ნოზაძის დანიშვნამ ქალაქის თეატრალურ წრეებში გარკვეული მღელვარება გამოიწვია. ახალგაზრდა ხელმძღვანელმა პრესაში საკმაოდ ორიგინალური განცხადებები გააკეთა მომავალი მუშაობის შესახებ და ამდენად, პირველი შეგონება, რაც თეატრის ახალგაზრდა რეჟისორს უნდა ვაუწყოთ, ეს უნდა იყოს — თუკი ბედი გავიღივებს და დიდებული რეჟისორის ჯგუფში მოხვდება (საუბარია რობერტ სტურუას სამაგისტრო კურსის შესახებ-ნ.მ.) ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან ტოლოზის ნიშანი გაავლო და თავს ასეთი ინტერვიუს მიცემის უფლება მისცე: „რაც შეეხება რობიკოს, ყველამ იცის, რომ ის არის „მაესტრო“.

ამ კაცის (ხაზი ჩემია - ნ.მ.) და ჩემი ინტერესები ყოველთვის ემთხვევა იმაში, რომ მარტო საქმე გვინტერესებს. მასაც, ალბათ, იმიტომ ვუყვარვარ, რომ მე ჩემი გეზი მაქვს აღებული და სხვა ქალაქში ვარ. „რუსთაველის თეატრში“ რომ ვიყო (ბრჭყალები მისია — ნ-მ), არ ვეყვარებოდი. იქ შემცვლელად რომ მოგიაზრონ, დისტანციას გივლებენ. მე ჩემს ქალაქში ვარ და ამიტომ ძალიან დიდ პატივს მცემს... როდესაც ნიუ-იორკში მივდიოდი, მითხრა: „არ მომატყუო, ნახე, მე ვასწრებ თუ ამერიკაში გვისწრებენ რეჟისურაშიო“. რომ ჩამოვედი, ვუთხარი, რომ 20 წლით წინ არიან-თქო და გამებუტა, ტელეფონზეც აღარ მპასუხობდა. მართლა მაგრები არიან. მე გეზი იქით მაქვს აღებული. თუ ოდესმე დიდ სცენას გავაკეთებ, აუცილებლად ამერიკულად გავაკეთებ ანუ შოუს და არა რაღაც ტვინის ჭყლეტას“ (გაზ.

„რუსთავი“ 1. 10. 2010. მარიკა ვარდოშვილი „რეგიონი ელოდება სიყვარულს, „ბრავო“ ელოდება გაფართოებას“). კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა მოვიშველიო ფრაზები ამავე ინტერვიუდან. აქ ჩამოთვლილია რეჟისორ ლაშა ნოზაძის მიერ დადგმული 6 სპექტაკლი (საერთოდ, როგორც თავად აღნიშნავს, 16 წარმოდგენა აქვს დადგმული), რომელშიც ჩართული იყო თეატრ „ბრავოს“ დასი და სკოლის მოსწავლეები და ასევე, „რობიკოს მოცემული პიესა“ „კონვერტი“. აქვე მინდა ვახსენო ასევე გაზ. „რუსთავისთვის“ მიცემული ინტერვიუს სათაურიც — „რუსთავის თეატრი კოსმოსური სიჩქარით უნდა წავიდეს“ (8-15. 02. 2011). ცხადია, რომ არსებობს დიდი ამბიციაც — დიდი საქმის კეთების სურვილი და ეს მისწრაფება ნამდვილად არ არის დასაძრახი. სითამამე და გაბედულება ნებისმიერ ნამონყებას უხდება, მით უფრო შემოქმედებითს, მაგრამ სითამამე და არა სხვა რამ. გამონათქვამი „ვინც არ უნდა მოვიდეს რუსთავში, პირდაპირ ვამბობ, რომ ჩემზე კარგად ვერავინ დადგამს სპექტაკლს იმიტომ, რომ რუსთაველი ვარ“ (გაზ. „რუსთავი“ 19-29.01.2010) ნამდვილად შორდება პროფესიული ეთიკის ფარგლებს. აქ, ალბათ, ბოდიშიც უნდა მოვუხადოთ რუსთაველ კოლეგას, რომ მისი თეატრი თბილისელებმა დააარსეს.

ჩემი მეორე შეგონება ასეთი იქნება — თეატრი მხოლოდ შოუ არ არის. ის აუცილებლად დაირთავს ე.წ. „ტვინის ჭყლეტას“ ანუ მრავალპლასტიანია და მრავალფუნქციური დატვირთვა გააჩნია. ამდენად, თუკი ლიტერატურული ნაწარმოებების გაცენურების პრეტენზია გვაქვს, მით უფრო, თუკი ავტორებად ვაჟა-ფშაველას და გრიგოლ რობაქიძეს მოვიაზრებთ, მათ, ალბათ, მეტი სცენური დრო უნდა დაეთმოს. სხვა საკითხია, როგორ შეძლებს რეჟისორი თუნდაც ნებისმიერ სცენურ დროში იმ სათქმელის მხატვრული სახიერებით მოტანას, რაც ამ ორი გენიოსი ავტორის თითოეულ ნაწარმოებშია, მაგრამ ფაქტია, რუსთავის თეატრმა თავისი ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა — მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ლაშა ნოზაძემ ორი პრემიერა შესთავაზა თავის მასურებელს.

„გველისმჭამელი“

როდესაც დგამ იმ სპექტაკლს, რომელიც დიდი მაესტროს მიერ იყო დადგმული რუსთაველის თეატრში უმშვენიერესი სამსახიობო დუეტის — ნინო კასრაძისა და ზაზა პაპიაშვილის შესრულებით, მას „გველისმჭამელი“ არ უნდა დაარქვას. წარმოდგენის პირველ სცენებში ვაჟას პოემის ერთი, ამბად მოთხრობილი ეპიზოდი თამაშდება — სცენაზე დანთებული ცეცხლი პანია კარდალას ადულებს,

„თეატრი და სპორტები“ №6

რომელში მოხარშულ პატარა გველებს ფეხებზე ბორკილებდადებული მინდია (მსახ. დავით ხახიძე) ხელით იღებს, მიირთმევს, ძირს ეცემა და თავადაც სიმწრით იკლაკნება. გველი კიდევ ერთხელ გამოჩნდება ამ სპექტაკლში — ის თავისი უზარმაზარი ტანით დიაგონალზე გადაკვეთს სცენას და ნითლად გავარვარებულ ხვრელში ჩაძვრება. ფეხზე წამომდგარ მინდიას ბალახისფერი მწვანე ფერი ეფინება სხეულზე და ვაჟას ლექსებით იწყებს საუბარს, მაგრამ რატომღაც აჩქარებული ტემპით. ეს სიჩქარე არ უხდება არც ვაჟას ლექსს და არც სცენაზე ზოლად შემოჭრილი თეთრშუქიანი ქაჯების მოძრაობას. მეორე სურათში რეჟისორი და მხატვარი შატილის შორი ხედითა და ხვესურთა მკისა და ერთმანეთში გასაუბრების სცენით ასრულებენ ვაჟას თემას და ამ სცენური პასაჟების შემდეგ ეს წარმოდგენა გ. რობაქიძის „ლამარას“ სცენურ ვერსიას გვთავაზობს.

„ვაჟა-ფშაველას ჩემი გაპიარება არ სჭირდება. არც ხალხის დამოძღვრას ვაპირებ სცენიდან. არ მწამს თეატრის, რომელიც ზუსტად იმას ყვება, რაც წიგნშია. ჩვენ ვიღებთ ტრადიციულ პოემას და ვამატებთ ამერიკულ ეფექტებს. თუ პოემამია, რომ გაფრინდა, სცენაზე მსახიობი უნდა გაფრინდეს. თუ წერია, რომ დაინვა, უნდა დაი-

წვას. ამ ამბავს ხალხს კი არ მოვასმენინებ, ვაყურებიან.“ (გაზ. „რუსთავი“. 8-15. 02. 2011). უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე მწამს თეატრის, რომელიც „ზუსტად იმას ყვება, რაც წიგნშია“ და იმიტომ არსებობს პირობითი თეატრალური ეფექტები, რომ მსახიობმა და რეჟისორმა ისინი დამაჯერებელი მხატვრული ხერხებით წარმოგვიდგინონ. შეიძლება გაფრინდე, დაინვა, მაგრამ შოუსაგან განსხვავებით, თეატრში ეს ქმედებები გამართლებული უნდა იყოს და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ნოზაძე ისეთ სანახაობას პირდებოდა თავის მაცურებელს, რომ მათ მეორედ ენახათ სპექტაკლი, რათა გაეშიფრათ, როგორ შეძლეს მსახიობებმა შოუს ილეთების შესრულება. საბედნიეროდ, მასში მსგავსი არაფერი მომხდარა.

მხატვარი ლომგულ მურუსიძე მოძრავი თეთრი მთების საშუალებით სურათების შეცვლის შესანიშნავ ეფექტს ქმნის. ყოველ სურათში ისინი სხვადასხვაგვარად არიან განლაგებულნი — ხან ერთიანად, სცენის სიღრმეში მდებარე შვიდი მწვერვალის წინ იშლება მოქმედება, ხანაც აქეთ-იქით არიან განთავსებულნი სამი-ოთხზე და ა.შ. ანუ გვეჩვენება, რომ უძრავად კი არ ვსხედვართ, არამედ სცენა თითქოს ტრიალებს და სხვადასხვა რაკურსით ვუყურებთ წარმოდგენას. ექსპოზიციაში



სცენა სპექტაკლიდან

ამ მთებიდან დიდი ნისლი ჩამონვება და ავან-სცენას ეფინება. მოძრავი მართკუთხედის ფორმის მაღალი, გამჭვირვალე შირმები ასეთივე გამჭვირვალე მთებიდან მოწყვეტილი ნატეხების ასოციაციას ბადებენ და ამდენად, სცენური პერსონაჟებისათვის, რომლებიც ხან ეფარებიან მას, ხან გვერდს უვლიან, ერთგვარ მოძრავ, ხილულ წინააღმდეგობას განასახიერებენ.

სცენაზე ხევსური ბიჭები ცეკვავენ. შემოდის მინდია. „ჩიტის ბუდე ვინ მანგროს? ჩიტის სული ბავშვისაა, თოთო, სათუთი... მე გველ მიყვარს, გველსაც ვუყვარვარ...“ მსახიობი დ. ხახიძე დახვეწილი სასცენო მეტყველებითა და ფაქიზი სცენური პლასტიკით ახასიათებს თავის გმირს.

როგორც ხევსური ბიჭების ცეკვის, ასევე სამი ხევსური გოგონას სიმსუბუქით, ჰაეროვნებითა და ქალური სინაზით შესრულებული სარეცხის რეცხვისა და ცეკვის ეპიზოდები (ლამარა — მსახ. ნათია არბოლიშვილი, მზიულა — მსახ. ანა შარვაძე, მაია — მსახიობები: ლიკა ოყროშიძე, ნათია გელაშვილი) ხელს უწყობენ მათი სცენური სახეების დახასიათებას (ქორეოგრაფი მიხეილ მალაქელიძე).

ლამარას ჩიტების ჭიკჭიკი ჩაესმის და მინდია ეცხადება. მინდიას ხელის ყოველ გაქნევაზე ზარი რეკს.

„ — ლამარა, მინდა ჩემ იყო!

— თუ მომიტაცებ, კი“ — ამ ეპიზოდში არ ჟღერს სიყვარულის რობაქიძისეული, პოეტური მეტაფორები, რაც ქალს მინდიას პოეტური სულის აღქმის მეტ საშუალებას მისცემდა. ის ძალზე ლაკონურად არის მოწოდებული — სულ ერთი ფრაზით. მცირე ტექსტუალური მასალის გამო ნ. არბოლიშვილმა ვერ შეძლო უკეთ დაეხასიათებინა თავისი გმირი, მაგრამ მისი დრამატული მონაცემები მოტაცების, ხატთან წასვლის ეპიზოდებში მაინც გამოიკვეთა. ლამარა არც წითელთმიანია და არც ხვლიკისფერი თვალებით იყურება. აქ ისევ მახსენდება რეჟისორის სიტყვები: „თუ პოემაშია, რომ გაფრინდა, სცენაზე მსახიობი უნდა გაფრინდეს. თუ წერია, რომ დაინვა, უნდა დაინვას.“ შესაძლოა, შავთმიანი ლამარაც გარეგნულად მისაღები იყოს, მაგრამ მისი სილამაზე მაინც უფრო გამორჩეული და თვალშისაცემი უნდა იყოს, მას მეტი სცენური ეფექტურობა და ფერები დამშვენებოდა (კოსტიუმების მხატვარი თამარ მაჭარაშვილი). მით უფრო, რომ ნ. არბოლიშვილის ლამაზი სცენური გარეგნობა ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას.

მინდიას ტყუპისცალის, თორღვის უხეში და სისხლისმსმელი ბუნების დახასიათება ძმასთან ლამარას გამო შებრძოლების სცენით იწყება. თორღვაი მზადდა ხანჯლით განგმიროს ძმა. სოსო ელიზბარაშვილის თორ-

ღვაი თავისი აგრესიულობით, სიფიცხითა და უგნური ქცევებით მინდიას სრულ ანტიპოდს წარმოადგენს. „ჩემი გონი ჩემი სისხლია“ — მსახიობმა შეძლო თავისი გმირის შესაფერი მხატვრული ფერებით ამეტყველება.

— გყვანდეს, არ მინდოდეს ლამარა, სისხლ არ დაღვარო — დ. ხახიძის მინდიას ძმისმკვლელი ძმის სულიერება აშფოთებს. ამ სცენაში ამკარად იკვეთება ძმების შინაგანი ბუნების სრული კონტრასტი.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე, ღამით მონადირე მურთაზის (მსახ. ზაზა თაგოშვილი) სილუეტი იკვეთება. ის ქავთართან სტუმრად მოდის. მინდიას დალაპარაკებაზე თუ ზარი რეკს, მურთაზის მოძრაობაზე ხანჯლების შეჯახების ხმა გაისმის. მურთაზიც აგრესიულია, თუმცა მას ამის მიზეზს აძლევენ კიდეც, მაგრამ ლამარა, მოტყუებული და უარყოფილი მინდიას მიერ, მოტაცების წუთიდანვე რომ შეიგრძნობს სიძულვილს თორღვის მიმართ, ძმის ტრაგედიას თავისზე მეტად განიცდის. ს. ელიზბარაშვილის თორღვაი, რომლის ალერსსაც ლამარა პირს არიდებს, უხეშად ანარცხებს ძირს ქალს და ღრეობაში მიდის. ლამარა-ნ. არბოლიშვილი სრულყოფილად ფლობს სხეულს და ამ ეპიზოდშიც ახერხებს თავისი გრძნობების სახიერად გადმოცემას.

მინდიას სიყვარულის დაკარგვისა და შინაგანი ბოღმის გამო, ბალახების ენა აღარ ესმის. წარმოდგენაში ნათლად არ იკვეთება მინდიას მისწერი ნიჭის დაკარგვით გამოწვეული ძლიერი განცდა, სამშობლოს ბედის გაურკვევლობით აღძრული ტრაგიკული განწყობა. ეს უფრო გარკვევით უნდა გაცხადდეს სპექტაკლში. ამდენად, მისი გადანყვეტილება, მივიდეს მურთაზის მამასთან და თავი მოაკვლევინოს, რომ აიცილოს ძმათა სისხლისმღვრელი ომი, გაურკვეველია და მხოლოდ მისი კაცთმოყვარე ბუნებით თუ შეიძლება აიხსნას. არადა, ამ სცენას ბევრად მეტი დატვირთვა აქვს.

მურთაზს თეთრ სუდარაში ახვევენ. მამა, იჩო (მსახ. ნუკრი არჩვაძე) თავზე აფარებს სუდარის ნაჭერს და მიცვალებულს ვერტიკალურად უშვებენ საფლავში. ეს ტრაგიკული სცენა მხატვრული სახიერებით დახასიათდა სპექტაკლში.

იჩოსთან მისვლის სცენაში მინდია-დ.ხახიძე წყნარი საუბრით და სულიერი განწონასწორებულობით აბნევს მგლოვიარე მამას. ნ.არჩვაძე-იჩოს ტანჯვა მინდია-თორღვის გამოჩენაზე უფრო მძაფრდება.

— იჩო! შენ სისხლი განუხებს. ლამარა მოიტაცეს, მურთაზი მოკლეს — მოხუც ინვალიდ ჰიდდირს (მსახ. ლეონტი შიომვილი) მისი დაწყნარება სურს.

— ალლაჰ! — ღრიალებს ნ. არჩვაძის იჩო. მას სისხლის აღება სწყურია — ბორგავს,

ბოზოქრობს, მორჩილად თავდახრილ მინდიას უღერებს ხმალს და, მისი შინაგანი ძლიერებითა და ვაჟკაცობით მოხიბლული, საბოლოოდ, შვილად აღიარებს. მსახიობმა შეძლო ამ სახის მხატვრული სისავსით დახასიათება. საფინალო სცენაში რეჟისორმა ის თავად დასვა ჰიდდირის ინვალიდის სავარძელში და ასე დაასრულებინა თავისი ტანჯვა.

ფინალში უკეთ იკვეთება მისნობის უნარდაბრუნებული მინდიას სულიერება — ის ცდილობს ხევსურთა და ქისტთა შერიგებას, უღამაზესი ლამარას გადარჩენას, რომელიც, მისი სამკურნალო ბალახის მსგავსად, 1000 წელიწადში მხოლოდ ერთხელ ევლინება ქვეყნიერებას, მაგრამ გვიანია — იქუხა კლდემ, გაშეშდნენ ქისტები და ხევსურები. იჩომ თავში ხელები იტაცა და კანკალით გაემართა საფლავისაკენ, საიდანაც თეთრი კაბის ნაჭერი ამოვიდა და ცისკენ ამაღლდა...

ნიაზ დიასამიძის მუსიკალური კომპოზიციები, რომლებიც წარმოდგენას პოეტურ ელფერს სძენს, ლირიკულად ჟღერს ფინალურ სცენაში...

მინდია ავანსცენიდან გვიყურებს...

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ „გველისმჭამელმა“ სათანადო მხატვრული ფერებით ვერ დაახასიათა მინდიასა და ლამარას სცენური გმირები. მაყურებელი ცნობილი ავტორების ნაწარმოებების დადგმას უფრო მეტი პრეტენზიულობით უდგება. მათ სცენურ

ხორცშესხმას კი დიდი გამოცდილება და მეტი პროფესიონალიზმი სჭირდება.

„კრიტი“

ახალგაზრდა მწერალმა, მარიამ აბაიშვილმა დაწერა ნოველა, რომელიც ახლადშექმნილმა თეატრმა „ბრაგომ“ დადგა. ის მოგვითხრობდა ახალგაზრდა ბიჭის შესახებ, რომელიც მღვდელს თხოვდა ზიარებას და მერე თვითმკვლელობას აპირებდა. მღვდელი ვერ ახერხებდა მის გადარწმუნებას და თავად კლავდა მას, რომ აერიდებინა მისთვის თვითმკვლელობის უმძიმესი ცოდვა. სპექტაკლმა ეს ამბავი დიმიტრი მალიაგინის ბერი არსენის ამბავთან გააერთიანა, რეჟისორმა ლაშა ნოზაძემ დაარქვა „კრიტი“ — ასე დაიბადა ეს სპექტაკლი. მასში სულ ხუთი მსახიობი მონაწილეობს. პიესა ქმედითა და სცენური დინამიკით გამოირჩევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წარმოდგენა რეჟისორმა 2009 წელს კლუბური თეატრის, „ბრაგოს“ მცირე სცენაზე დადგა. დიდმა სცენამ როგორც ტექნიკურად, ასევე შემოქმედებითად სხვაგვარი მუშაობა მოითხოვა. სპექტაკლი ერთმოქმედებიანია. მას ამჯერად უკმარისობის გრძნობა ამ მხრივ არ დაუტოვებია.

მაყურებელთა ჩაბნელებულ დარბაზში ქოლგიანი კაცი ლურჯი სინათლით ნათდება. ის სცენაზე ადის, რკინის გასაღებების აცმას საკმეღივით ატრიალებს. სცენა კვამლით



ვოლანდი — ლ. შიოშვილი, არსანი — მ. ბუშიძე

ივსება. კვამლი მაყურებელთა დარბაზშიც გადმოდის... და ეს საკმეველი არაა...

სცენის სიღრმეში, კედელზე წმინდანთა გამოსახულებები მოჩანს. მოქალაქე (მსახ. დ.ხახიძე) თვითმკვლევლობას აპირებს და სასწრაფოდ ითხოვს ზიარებას არსენისგან. პირველი სურათი სწორედ მათ კამათს წარმოგვიდგენს. ზიარებამდე მარხვით, ლოცვითა და აღსარებით უნდა მიხვიდე — არწმუნებს ბერი ცოდვილს, რომელიც ცხვირწინ რევოლვერს უტრიალებს, ხმას უმაღლებს და ბოლოს, თავგანწირვით უყვირის. ნაკლებ დღეში არც არსენია. მათი ხმაურიანი დავა წყდება. სცენა კვლავ ბნელდება და ისე მთავრდება პირველი სურათი, რომ გაუგებარი რჩება, რა მოხდა.

მხოლოდ მეორე მოქმედებაში ვარკვევთ, რომ ბერი თავად მოსულა პატიმრად ციხეში და უღიარებია დანაშაული. თითქოს ყველაფერი გარკვეულია — სასულიერო პირმა ჭაბუკი, რომელიც ისეც მოიკლავდა თავს, თვითმკვლევლობის საშინელი ცოდვისგან იხსნა, მაგრამ ციხეში მას უფრო დიდი ცოდვილი დახვდა. ამჯერად მოქმედების ძარღვი სცენურ პერსონაჟთა ორ წყვილს — არსენ-ვოლანდსა და არსენ-კუბოს უჭირავთ.

მხატვარი ლ. მურუსიძე მეორე სურათში სცენას ორ სართულად ყოფს. ზედა საკანში თეთრებში ჩაცმული პერსონაჟი (როგორც შემდეგ დავინახავთ, ეშმაკი ვოლანდი) ჯვარს ეზიდება! ყველას თავისი ჯვარი აქვს საზიდი — ვოლანდი-ლ. შიოშვილიც მთელი მოქმედების მანძილზე „მუშაობს“. ქვედა სართულში მისგან შეშინებული ბერი არსენი (მსახ. მალხაზ ბეშიძე) „მამაო ჩვენოს“ კითხულობს, ვოლანდი-ლ. შიოშვილი ჩამოდის და თავად აგრძელებს მის კითხვას(!). ცინიზმით აღსავსე უწმინდური ათას გასართობს იგონებს — აირწინაღს იკეთებს და „გაზი დამრჩა ანთებულიო“ გვამცნობს, გახარებული დახტის, საცეკვაო ილეთებს ასრულებს, სცენის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულ ხვრელებში დაძვრება — ხან ამოდის, ხან შიგნით ხტება და ასე გაუთავებლად მოძრაობს. ხან სკამით ამობრძანდება ქვესკნელიდან და ხანაც თოკით ხელში ეცხადება არსენს. ის თავის თანამემწე კუბოსთან ერთად ცდილობს სულიერი წონასწორობა დააკარგვინოს ბერს. მსახიობს მოჭარბებული ეგზალტაციით, დინამიურად და სწრაფი ტემპით მიჰყავს ეს სცენები და ბერთან კამათსაც იგივე სცენურ ტემპს უზამებს.

კუბო (მსახ. ს. ელიზბარაშვილი) თავდაჯერებით ებმება ბერთან სულიერ ორთაბრძოლაში. ეტრაბახება კიდევ, რომ თვრამეტი კაცი მიიყვანა თვითმკვლევლობამდე. შემდეგ კი ირკვევა, რომ თუ 24 საათში არ დაარწმუნებს ბერს, რომ სიცოცხლე არ ღირს,

მამინ მას მოკლავენ. „შენ ხომ არ გინდა, შენი მიზეზით კაცი მოკლან?“

— ბარაბა აირჩია ბრბომ და ქრისტე ეწამა მათთვის, ვინც ის სანამებლად გაიმეტა! ქრისტე ამალდა, ადამიანში კი მისი გამეტების სინანული დარჩა!

— მერე შენ გგონია, ეგ გამეორდება? არსენ, შენ მოკვდები და აღარასდროს აღდგები!

— მთავარი ის კი არ არის, როდის და როგორ მოკვდები, მთავარია, რისთვის კვდები!

მ. ბეშიძის არსენის მიერ წარმოთქმული ბოლო ფრაზა არის ამ წარმოდგენის დედააზრი. მინისქვეშა ხვრელები ლურჯ და წითლად მოგიზგიზე კოცონებად ენთებიან სცენაზე. წმინდა ბერი ლოცვით, შეგონებით, დიდი ჯვრით, ასეთივე რწმენითა და ძალისხმევით ახერხებს კუბოს ქრისტიანად მოქცევას და მის მონათვლას. ეს უხმაურო, სცენოგრაფიული ხერხებით სახიერად მოწვდილი ბრძოლა უწმინდურებასთან არსენის გამარჯვებით მთავრდება. ეშმაკი განდევნილია. დაღლილი ბერი საწოლზე წვება.

დილაუთენია კუბო — ელიზბარაშვილი ასევე განათებული სახით, თავისი ნებით კითხულობს „მამაო ჩვენოს“ და „არსენ, ცოცხლები ვართო“ — ბერს ახარებს, მაგრამ ის ცოცხალთა შორის აღარ არის. არსენის სული ზურგჩანთამოკიდებული მიეშურება დიდი სინათლისაკენ...

პიესამ უდიდესი ცოდვების ჩადენით კაცთმოყვარეობა და ქრისტეს სიყვარული იქადაგა, მასში მკვლევლობა და თვითმკვლევობა ცოდვად კი არა, ღმერთთან მიახლოების უმოკლეს გზად იქნა მოაზრებული. მისთვის ბრძოლა კი, როგორც რეჟისორმა უწოდა ამ სცენურ ნაწარმოებს, დახურულ სივრცეში გაიმართა, ანუ იქ, სადაც ცოდვილი ისჯება და საიდანაც „ცოდვილი“ ბერი სამოთხის გზას გაუდგა... ამ გზას კი მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით დაადგები...

მეორე სპექტაკლში რეჟისორმა უკეთ დაძლია დრამატურგიული მასალა. მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც მის მიღმა დარჩა — ვისაც თავისი თეატრის ისტორია არ ახსოვს, მას არც ანმყო-მომავლის პერსპექტივაზე აქვს წარმოდგენა. დიდმა კოტე მარჯანიშვილმა თავის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“ თეატრის სამი თაობა დააყენა ერთად სცენაზე. ისევე, როგორც ნამდვილ ოჯახს, თეატრსაც ყველა თაობის მსახიობი სჭირდება — გამოცდილი პროფესიონალები, ვისგანაც ახალგაზრდამ უნდა ისწავლოს, რადგან ეს ყველაზე უკეთესი სკოლაა მისთვის.

ჩემი ბოლო შეგონება ასეთი იქნება — ბნოლაშა, გაუფრთხილდით რუსთავის თეატრს, რომელიც ყოველთვის იწონებდა თავს თავისი შესანიშნავი სამსახიობო კოლექტივით.

განაწილებული

წამყვანი სკოლა (თბილისური სკოლა-სამსახური)

„ძმები“ — თავისუფალი თეატრი,
რეჟისორი — ავთო ვარსიანიშვილი,
მხატვარი — აივინგო ჭელიძე

მაშინ, როდესაც ეს სპექტაკლი ერთხელ კიდევ ვნახე, ნიკო გომელაური ავად იყო... არ იმჩნევდა, გულმხურვალედ ემსახურებოდა თეატრს და, ვფიქრობ, გულგრილად ეკიდებოდა საკუთარ თავსაც და, მით უმეტეს, იმ სენს, მისი სხეული რომ შეეპყრო. სპექტაკლის დასასრულს, საგრიმიოროს კარი შევადე, დაღლილ-დაქანცულ ბიჭებს თვალი შევავლე და ვიკითხე, — ცოცხლები ხართ?... — ჯერ-ჯერობით კი! — მიპასუხა ნიკომ და გაიცინა... ყველას მივესალმე. დიდი ხანი არ მენახა და სპექტაკლი კიდევ ერთხელ მივულოცე. მერე თეატრიდან ერთად გამოვედი: ევა ხუტუნაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მე და ჩემი მეგობარი, საოცარი თეატრალი მანანა ნოდია. მოვდიოდით ზამთრის ცივ საღამოს, მაგრამ არა გვციოდა, ვსაუბრობდით თეატრზე, სპექტაკლზე, რომელიც ეს-ესაა ვნახეთ და რომელსაც მაყურებლის აღტაცება პრემიერის შემდეგ არ განელებია...

სცენის უკანა კედელი ცისფრად მოხატული მთლიანი პანოა, მოშავო-მოყავისფრო-მოთეთრო ლაქებით. პანოს ცალ მხარეს მწვანედ შეღებილი კარი აქვს დატანებული.

— სცენის წინამონეულ მოედანზე მარცხენა მხარეს — წყლით სავსე პატარა აუზია, იქვე სვეტი. მარჯვნივ — ოთხი ნაქცეული სკამი და ნაგვის ურნა. უკანა კედელთან მიწყობილი რაღაც ბარგი — ჩემოდნები, თავმოკრული კალათა, ტანსაცმელი... მარჯვნივ, სიღრმეში — აღმართული კვლავ სვეტი. განათების ქვეშ — ბიჭების ფოტოსურათი, ძმების.

მხატვარმა ზუსტი გარემო შექმნა მოქმედებისათვის — დარბეული, გაუხეშებული...

მაყურებელი თითქმის მთლიანად ახალგაზრდობაა, აქა-იქ უფროსებიც სხედან, თუმცა ეს თეატრი მაინც ახალგაზრდებისაა. უმეტესობა ზის, დგანან კიდევ. ბევრნი არიან.

თამაშობენ: ევა ხუტუნაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, თიკო კორძაძე, სლავა ნათენაძე, ნიკო გომელაური, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, მამუკა მუმლაძე...

ქალაქში მცხოვრებ შვილთან და ძმასთან სოფლიდან ჩამოსული დედისა და ძმების ამბავი.

თბილისში უსაგზოდ და უსამველოდ ჩამოხეტულთა ცხოვრების ისტორია.

თანდათან მატულობს სპექტაკლის რიტმი, თანდათან მატულობს დამოკიდებულებების გრადუსი მათ მიმართ.

სპექტაკლი ნეორეალისტური სურნელითაა გაჟღერებული და გმირებიც ამ ნეორეალისტურ ცხოვრებას მიუყვებიან. აქ სიმბოლური არაფერია, რადგან ამ ცხოვრებას სიმბოლო არ სჭირდება, აქ ყველაფერი თვალნათელია...

იატაკი რბილია, ფეხი ეფლობათ...

ერთი ძმა მღვდელი ხდება, მეორე — პოლიტიკოსობს... მესამე ფოტოგრაფია, მეოთხე — მხატვარი... დედა მენწერილმანეობს. ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ და რაღაც გაურკვეველ გზაზე გაურკვეველ სვლას აგრძელებენ. მაყურებელი ყოველ მათგანს თანაუგრძნობს. მაყურებელს უყვარს მელოდრამა — ორი ძმის სიყვარული ერთი ქალი-სადმი.

ანი და ლევანი... ამ დუეტის შესახებ მთელი რომანი შეიძლება დაინეროს — ქალისა და მამაკაცის „ტრფობა წამებულის“ თბილისური ვერსია... მათი მართალი და სევდიანი გრძნობა! აუზის სცენის სტილიზებული რომანტიკა აღაფრთოვანებს დარბაზს, მუსიკალური გაფორმება ხელს უწყობს და აძლიერებს ამ განწყობილებას.

ნიკო გომელაურის ლევანი, დღეს, თანამედროვე ქართულ თეატრში საუკეთესოდ... შესრულებული დრამატული როლია.

შესანიშნავი ბუბა გოგორიშვილი...

უნიჭიერესი ევა ხუტუნაშვილი, რომელიც ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოდის თბილისში ამ სპექტაკლში დედის როლის სათამაშოდ.

მაღალ დონეზე შესრულებული აქტიორული სახეები და ხასიათები.

რეჟისორის ბედნიერებაა, როდესაც მისი შემოქმედება არტისტებში სრულდება!...

ძალიან კარგია ანისა და ოჯახის გაცნობის სცენა, ხოლო მკვლევლობის, ზეციდან ნაკადულის წამოსვლის და ლევანის განბანვის სცენა — უძლიერესი.

საერთოდაც, ყველა სცენა მომწონს!..

...და ფინალი — ნიკო გომელაურის სიგიჟემდე მისული ტკივილი, მისი განწირული ფორთხვა სცენის იატაკზე...

დაგებული ნაჭერი სველდება, ნაგვიანდება...

ჩემ გვერდით მჯდომი გოგონა ქვითინებს,

ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის მეც.

— არ უნდა წამოვსულიყავით სოფლიდან!
— ამბობს ევას გმირი.

და მართლაც, რომ დატყულებულყვენ იმ თავიანთ მიწა-წყალზე, იქნებ ასე არ დაბნეულიყვენ ქალაქის მტვრიან ქუჩებში?... ასე არ გაუბედურებულყვენ?...
— მე ვცხოვრობ არაჩვეულებრივი ცხოვრებით — ამბობს სლავა ნათენაძის გმირი. იგი ამერიკაში წასულ შვილს, ირაკლის ელოდება და თავის დანერგულ სახელმძღვანელოებს ქუჩაში ყიდის, მათხვრობს.

რამდენჯერ დამთავრდა სპექტაკლი, არ ვიცი...
— მამათქვენს გაუმარჯოს, ახლა შუა ეზოში გაშლიდა სუფრას!.. — დანანებით ამბობს დედა. მაგრამ სად არის ეზო და სოფელი, ან მათი ქვეყანა?... ნაქირავები ბინის ატალახებულ იატაკზე დააბოჯებენ მხოლოდ.

შეგონებები შეგონებებად რჩება...
ნიკო გომელაური კი არ ემშვიდობებოდა, ეთხოვებოდა სცენას!..
იგი არტისტი იყო ამ სიტყვის აღმატებული მნიშვნელობით...
...სხვა თეატრი!

შეგონებები შეგონებებად რჩება...

ნიკო გომელაური კი არ ემშვიდობებოდა, ეთხოვებოდა სცენას!..
იგი არტისტი იყო ამ სიტყვის აღმატებული მნიშვნელობით...
...სხვა თეატრი!

...სხვა თეატრი!

Нико Гомелаури

Выпью, выпью море, обкурюсь туманом
Я со всеми в споре, я дружу с вулканом
Окунаюсь в лаву, вынырну не скоро
Высоту и славу уступаю горам
А когда обмою в лаве свои кости,
Двери всем открою, приходите в гости
Огненные строки раздарю на память
Позабудем склоки, в счастье будем плавать

Солнце будет радо, тьма же будет в горе
Но сначала надо... надо выпить море.

„დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“ —

თეატრი ათონელზე.

რეჟისორი — ქეთი დოლიძე

მხატვარი — შოთა გლურჯიძე

ქართულ სცენაზე პირველად არ იდგმება მტკივნეული, სადღეისო პრობლემებით დატვირთული სპექტაკლი. შესანიშნავ ქართველ მსახიობთა თამაშიც პირველად არ ათრთოლებს მაყურებლის გულს. „პატარა ადამიანის“ ცხოვრებისეული დრამა ჩვეული ამბავი შეიქნა ქართული ყოფა-ცხოვრებისთვის, ხოლო სცენაზე გაჟღერებული განცდები ამ დრამას კიდევ უფრო ხელშესახებდა ააქტიურებს. ტყეობა, მაყურებელსაც მოენატრა ადამიანურ გრძნობათა სინრფელე და სისადავე.

თეატრს გამუდმებით ესაჭიროება ახა-

ლი, თანამედროვე პიესები, თანამედროვე ავტორთა შემოქმედება. ამიტომაც მიმართა ქეთი დოლიძემ ინგა გარუჩავასა და პეტრე ხოტიანოვსკის დრამატურგიას, თუმცა „თეატრში ათონელზე“ დადგმული სპექტაკლის — „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“ წარმატების დიდი ნილი ქართველ მწერალსა და დრამატურგს თამარ ბართაიას ეკუთვნის, რუსულ ენაზე დანერგული პიესა სწორედ მან თარგმნა და გააქართულა ასე შესანიშნავად. რეჟისორმა თეატრის ნიშანთა სისტემას — ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, კოსტუმებს, განათებას მუსიკალური ეფექტიც შეურწყა, უბრალო დეკორაცია კი (შოთა გლურჯიძის მხატვრობა), თავიდან რომ თითქოს არაფერზე მიგვანიშნებდა, პიესის მონანილე გმირთა საარსებო გარემოდ თანდათან ჩამოაყალიბა.

სპექტაკლში მოთხრობილ ამბის მსგავსათა სმენას ისე შევეგუეთ, თითქმის წინასწარ ვიცით, რის შემდეგ რა მოხდება: ახალგაზრდა ელიკოს თბილისში დაუტოვებია ქმარ-შვილი, სამსახური, გამზადებული დისერტაცია და სამოვარზე ამერიკაში წასულა.

მახსენდება ნესტან ნენე კვინიკაძის „ამერიკა“, აკა მორჩილაძის „ტერცო მონდო“; მახსენდება იმავე „ათონელზე“ დადგმული „ემიგრანტები“; რუსთაველის თეატრის „ვანილის ტკბილი, სევდიანი სურნელი“... ამ თემისადმი ქართული თეატრისა და ლიტერატურა-დრამატურგიის ინტერესი გააქტიურებულია, რადგან სამშობლოდან გადახვენილ ქართველთა ტკივილიანი ცხოვრება სამშობლოში დარჩენილთათვისაც ტკივილია...

მახსენდება ჩემი თანაკლასელი ქალი, დიდი ხნის შემდეგ შარშან, რომ ვნახე ამერიკული ვოიაჟიდან ჩამოსული და მისი ამერიკული ცხოვრების უცნაურზე უცნაური ამბები შევიტყვე.

მახსენდება ის კურორტულ-ანექდოტური ამბავიც, ამერიკაში ავადმყოფის მოსავლელად გადახვენილ ქართველ ქალს რომ შეემთხვა, ნამდვილი ქართული პანაშვიდი რომ გაუმართა დედის თუ მამის დასაფლავებაზე მისულ შვილებს, გაოგნებულ ამერიკელებს...

სპექტაკლის დასაწყისშივე „ცისფერი ტრიოს“ მიერ გულშინვარებით შესრულებული „ცისა ფერს...“ გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ თვალწინ ქართული თემატიკა უნდა გადაიშალოს და... სრულიად მოულოდნელად, ამერიკაში ვხვდებით. ქართველი ელიკო უვლის ასაკოვან მილიონერ მერის, რომელიც ავტოკატასტროფაში მოხვედრილა და, ელიკოს თქმით, „ქინძად“ ქცეულა... მიუხედავად იმისა, რომ მევიოლინე ბენიცი და მასაჟისტი ტედიც მას მშვენივრად უვლიან, მერი ტირის... რაზე?... არავინ იცის!.. ალბათ, თავის ერთადერთ დაკარგულ შვილზე, განვლილ

ცხოვრებაზე, საკუთარ უმწეობაზე... ერთადერთი სიხარულია დარჩენია, ნეტარებით შესცქერის თავის მხსნელსა და გადამრჩენ ელიკოს, პატარა ბავშვივით რომ აჭმევს, ასმევს, აქეთ-იქეთ ატარებს და... ქართულად ელაპარაკება.

მერი, მართლაც, მაგონებს მოხუცს, რომელიც ამერიკული ფილმიდან; რა სასწაულებრივი მოძრაობებით დადის იგი, კი არ დადის, არამედ გადაადგილდება. რა შემადრწუნებელი სერიოზულობით ყლაპავს ელიკოს მომზადებულ ფაფას, კი არ ყლაპავს, ტურჩებზე ჩამოედვრება, რა სასწაულებრივად ილიმის — არაფრისმთქმელი, გამჭვირვალე ღიმილით და რა საშინლად ღმუის — უკანასკნელი ძალისმოკრებით!.. ტირის — თვალბრახისხლიანებული, ისეთი განწირულებით, თითქოს უნდა მოკვდესო... არაფრის თავი აღარა აქვს მერის, ნამდვილი „ღვთის ანგელოზია“!..

ეს ყველაფერი ნანა ფაჩუაშვილის მისამართითაა ნათქვამი, რადგან სწორედ იგი ასახიერებს მერის...

მახსოვს ნანა ფაჩუაშვილის მიერ შესანიშნავად ხორცშესხმული გმირი ქალები, თუნდაც ბოლო წლებში, ახმეტელის თეატრში შესრულებული კლარა ცახანასიანი. ვერც დათო ანდლულადის ნათქვამს ვივინყებ, — ჩემს სპექტაკლში ნამდვილ ვარსკვლავს ვაკავებო!.. კლარას როლში არაჩვეულებრივად გამოჩნდა ამ მსახიობი ქალის ექსპერიმენტატორული, მაძიებელი ბუნება.

„ათონელის თეატრის“ მერიც ერთგვარი ექსპერიმენტია ნანა ფაჩუაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

...ანდა როგორ ილიმის, იცინის მერი, როცა ფარულად, ჩუმად სვამს ყავას... როცა სიცოცხლეს ანოზ-ნელა უბრუნდება მისი გამოფიჭული ნერვულება... როცა შამპანურის ბოთლს აცარიელებს და მოულოდნელად „ჩვეულებრივი სასწაულიც“ ხდება: რა საშინელი სიძულვილით უყვირის უცხო ადამიანებს — გაეთრიეთ, გაეთრიეთ აქედან!..

ოი, საოცრებავ, ეს ამერიკელი მერი ქართულად ალაპარაკდა, რადგან „ქინძობის“ ჟამს მხოლოდ ქართული სიტყვა ესმოდა, რადგან თურმე მის ქვეცნობიერში მისმა ქართველმა ბებია გაიღვიძა... და გაქართველდა ჩვენი მერი, თანაც არა მხოლოდ ის, გაქართველდნენ ამერიკელი მოქალაქენი — მევიოლინე ბენი, ისედაც რომ თითქმის ქართველი იყო, რადგან 12 წლის ებრაელმა ბიჭმა ბათუმში დატოვა აული, ბავშვობა და იქაური მინის სურნელი ახლაც ენატრება... ზედმეტი ასდოლარიანის მიღების მოლოდინში ქართულს სწავლობს მასაჟისტი ტედი...

— სიცოცხლე მშვენიერია, მერი! — ეუბნება ელიკო და მის მკერდში პატარა ბავშვივით თავჩარგულ მოხუცს აწყნარებს.

უდარდელად მღერის ამერიკელი მომღერალი. მორთულ-მოკაზმული, მოხატულ-გამშვენიერებული მერი ახალგაზრდული შემართებით ცეკვავს ტედთან... მერე რა, რომ ინგლისური აღარ იცის მერიმ, ქართულად ხომ ლაპარაკობს... მერე რა, რომ თავის გაუცხოებულ შვილს ქართულად ელაპარაკება, სამაგიეროდ რა სიყვარულია მის სიტყვებში, გამოხედვაში... როგორი სიამოვნებით მიირთმევს ერბო-კვერცხს, აყოლებს წვეწვს და გვიყვება საკუთარი ქალიშვილის თავგადასავალს... რა შიშით შესცქერის ფარდის უკან ტელეფონით მოსაუბრე ელიკოს, ხვდება, რომ ამ უკანასკნელი ერთგული ადამიანის საქართველოში გამგზავრებამდე რამდენიმე დღეაა დარჩენილი... მოულოდნელად კი, რომელიცაა მტაცებელი არსება ცოცხლდება მერის სახით, ყველას ციხით ეშუქება, საშველად პოლიციას უხმობს, გააკვივის და სულ ერთი წუთის შემდეგ სიხარულით ეხვევა და კოცნის ელიკოსა და ბენის... რამდენი ნამიერი ცვლილებაა არტისტის ქცევაში, ემოციაში, გრძნობებში — აღმოფთება, ბრაზი, სინაზი, სითბო... მის თვალებში „წარსულში ბედნიერი ბავშვის“ დაბნეულობა ცოცხლობს, უეცარი სატანჯველის წინაშე მდგარი თავის ტკივილებსაც ვერ აცნობიერებს, სახეზე კითხვის ნიშანი და ბავშვურად გაკვირებული გამომეტყველება შეყინვია. მსახიობს ყველა სცენაში უწევს სხვადასხვა გრძნობის გადმოცემა, რასაც შინაგანი სამსახიობო თავისუფლებითა და ქცევის ბუნებრივობით აღწევს. ჩვენს წინაშე არა პირობითი წარმოდგენაა, არამედ ადამიანის ცოცხალი სულის მოძრაობა. ეს როლი, ისევე, როგორც ყველა სხვა, უეჭველი და გაბედული ნაბიჯია ნანა ფაჩუაშვილის სამსახიობო ოსტატობის სიმალღებებისაკენ სავალ გრძელ გზაზე.

მართლაც, რამდენი არაერთგვაროვანი ხასიათის შესრულება უხდებია მსახიობ ქალს სცენაზე?.. რამდენად რთული გრძნობების გამოვლენა?.. ქალური მშვენიერების გამჟღავნება, ცხოვრებისეული და შემოქმედებითი სირთულეების გადალახვა. მან ხომ სცენაზე მომხდარის რეალობაში უნდა დააჯეროს მაყურებელი, დაარწმუნოს სცენაზე განცდილ ემოციათა სიმართლეში... რამდენი როლით უნდა დაამტკიცოს თავისი გმირი ქალების არსებობის აუცილებლობა?.. საკუთარი თავის პოვნა ნებისმიერი ადამიანისთვის ბედნიერებაა და ორმაგად, ათმაგად ბედნიერია მსახიობი ქალი, როდესაც როლის თამაშისას არა მხოლოდ საკუთარი თვისებებით აჯილდოვებს გმირს, არამედ რეჟისორის მიერ შეთხზულ კონკრეტულ თვისებებსაც პოულობს. ისე შედის როლში, რომ პიესაში ასახული სამყარო უფრო რეალურად ჩანს, ვიდრე ნამდვილი ცხოვრება. მაგრამ თეატრალ-

ური მშვენიერება მხოლოდ მაყურებელთა დარბაზისთვის არსებობს, სცენაზე კი შრომაა საჭირო, ხასიათის პოვნა...

წლების მანძილზე რეჟისორებმა ნანა ფაჩუაშვილში არა მხოლოდ ნიჭიერი მსახიობი დაინახეს, რომელსაც მთელი რიგი პროფესიული თვისებები ჰქონდა, არამედ მის აზროვნებაში, ქცევაში თანამედროვე თაობის დამახასიათებელი თვისებები აღმოაჩინეს. ასე გვიხსნა მისი შემოქმედების მთავარი თემა — ნაზი, გრაციოზული ფიგურა, მშვიდი, ყურადღებებიანი, კითხვით სავსე თვალები, ქალური პლასტიკა და დიდი შრომისუნარიანობა იმედისმომცემ, აუცილებელ ფაქტორად იქცა რეჟისორთა წარმატებისთვის. ნანა ფაჩუაშვილის გმირი ყოველთვის ილიმის და ბოლომდე ოპტიმისტი რჩება, ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი უკეთესის იმედი აქვს. საერთოდაც, მსახიობი გამუდმებით ცდილობს არ იცხოვროს უარყოფითით; რა სირთულესაც არ უნდა შეეჯახოს, რა თქმა უნდა, განიცდის, მაგრამ შემდეგ ყველაფერს უარყოფითს იშორებს და მხოლოდ კარგით განაგრძობს ცხოვრებას.

სანაქებოა ნანა ფაჩუაშვილის შრომისმოყვარეობა. იგი წლების მანძილზე უძლებდა სცენაზე დიდ დატვირთვას, ყოველთვის თამაშობდა და არც არასოდეს უჭირვეულია. ამიტომაც შეასხა ხორცი ქალთა ასეთ რთულ ხასიათებს, ამიტომაც დაამახსოვრდა იგი ყველას თავისი როლებით — მკვეთრი და ლამაზი. თავის გმირებსაც, ასე თუ ისე, საკუთარი თვისებებით აჯილდოვებდა — ისინი ჭკვიანი, ძლიერი, მგრძნობიარე ქალები იყვნენ, რომელთაც რაღაც მდგომარეობების გადალახვის ძალა შესწევდათ; მაყურებელთან ურთიერთობის სიხარული ხომ ყოველნამიერია. ადამიანს კი, რომელსაც შეუძლია მაყურებელთა დარბაზის დიდი ყურადღება მიიპყროს, საკუთარი აზრები, გრძნობები გაუზიაროს, აანთოს იგი, ალბათ ქადაგების უნარი გააჩნია. სცენაზე ყოველი გამოსვლისას დარბაზი ნანა ფაჩუაშვილთან ერთად ტიროდა, იცინოდა, ირინდებოდა. მაგრამ ესეცაა, რომ ასაკთან ერთად მოსული გამოცდილება დარდს გვმატებს... ხოლო მსახიობის ასაკს, ჩვეულებრივ, წლებით კი არ ითვლიან, შესრულებული როლებით.

ნანა ფაჩუაშვილის დამოკიდებულება სცენისადმი ყოველთვის მთრთოლვარე და სათუთია. სცენა ის ადგილია, სადაც ბევრი განცდისაგან შეიძლება განკურნება; რასაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანი თვეებს, ზოგჯერ კი წლებსაც ანდომებს, მსახიობს შესაძლოა ერთ რეპეტიციასზე ან ერთ სპექტაკლზე გაუმკლავდეს. სცენაზე იგი ბევრი რამისგანაა დაცული და ამავე დროს, აბსოლუტურად გახსნილი ნებისმიერისათვის.

მსახიობი უძვირფასესზე ელაპარაკება მაყურებელს — საკუთარ სულს უხსნის, მაგრამ ამ სამყაროში ბევრი ჭუჭყი და სიბინძურეა და როგორღაც უნდა შეძლოს ნიჭის, განათლების, რკინის ჯანმრთელობის, ყველაფრის ატანისა და კრიტიკულ წუთებში არდანებების უნარით გმირთან მსგავსების აღმოჩენა, სულიერი თანხვედომა. ამ ყველაფერს კვლავ და კვლავ ნანა ფაჩუაშვილის მისამართით ვწერ, რადგან მის მიერ შესრულებული მერი იმ ყველაფრის ხორცშესხმაა, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

„თეატრი ათონელზე“ სპექტაკლით — „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“ — მიცოცხლებს მიხეილ თუმანიშვილის სკოლას — ადამიანური გრძნობებით, განცდებით სავსეს, სისადავით გამორჩეულს, რის გამოცაა მაყურებელი ასე თანამგრძნობი და თანამლმობი. სპექტაკლი, რომელშიც სრულადაა წარმოდგენილი მსახიობის ოსტატობა; სპექტაკლი, რომლის მონაწილე სამი არტისტი ბატონი მიხეილ თუმანიშვილის სკოლაგამოვლილია და ამიტომ არც არის გასაკვირი მათი თამაშის არაჩვეულებრივი სისადავე, რეჟისურის სიადვილე, რაც სინამდვილეში რთულად მისაღწევია და სანატრელია ყველა რანგისა და ასაკის მსახიობისა თუ რეჟისორისათვის, რაც სწორედ თუმანიშვილის სკოლის მთავარი მახასიათებელია, რაც ათეული წლების მანძილზე ხიბლავდა ქართული სცენის მოტრფიალე საზოგადოებას.

ჩემ თვალწინ გაიზარდნენ და დაოსტატდნენ ნინელი ჭანკვეტაძე და რამაზ იოსელიანი, თითქოს შეუმჩნეველად მოემატათ ასაკი, სახე ეცვალათ. ამ ხნის მანძილზე მათ საკუთარი სათქმელის თქმაც შეძლეს, საკუთარი როლების თამაშიც — პერსონაჟები ხომ მსახიობთა სხეულიდან იზადებიან... ხდება, რომ არტისტები გარეგნული ხერხებით თამაშობენ და ძალიან კარგადაც თამაშობენ, მაგრამ ნინელის და რამაზს ამგვარი სკოლა არ გაუვლიათ. მათთვის როლი მასკარადი არ არის, რომ კოსტუმები გამოიცვალონ. მათ შემოქმედებით ბიოგრაფიაში იყო სპექტაკლები, სადაც ნამდვილად იგრძნეს შემოქმედების „ბედნიერება“, როდესაც სპექტაკლი არა უბრალო დროსტარება იყო, არამედ სულის მანიერი საზრდო. სახეზე მუშაობისას მათთვის მთავარი ამოცანა მაყურებელამდე აზრის შეუნიღბავად მიტანა იყო, ღრმა და ნამდვილი სიყვარულის განცდის ის ფაზა, რომელსაც მოთმინებისა და სათნოების გრძნობა მოაქვს. ამგვარი სპექტაკლები აღსარებას ნააგავს, რადგან მაყურებლის სულში შეაქვს ცვლილები; ეს სპექტაკლები კარგად ახსოვს ქართველ მაყურებელს.

და კვლავ მსახიობი ქალის შესახებ მიხედება წერა, რადგან ნინელი ჭანკვეტაძეა ელიკო

— მერის მომვლელი ქალი, ნანა ფაჩუაშვილის პარტნიორი.

იყო ნამდვილი მსახიობი ქალი, საინტერესო ტერმინი და დიაგნოზი, და საერთოდ, რთული ასახსნელია, რას ნიშნავს ეს სიტყვები?.. ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იყო ქალი — გახსნილი, მიაბიტი, მოსიყვარულე, ნათელი სულით. ნინელის შეუძლია ფიქრი; როგორც ადამიანი და როგორც მსახიობი, ძალიან მოძრავია და კარგად ფლობს თავის ნიჭს; შემოქმედებაში მას სიყვარული ეხმარება, რაც ყოველი ჩვენთაგანისათვის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ ვფიქრობ, ნამდვილ მსახიობ ქალს საკუთარი არსებობის საკუთარი ახლობლებისთვის შენარჩუნება უნდა შეეძლოს. სად უნდა მოიძიოს მსახიობმა ქალმა შთაგონება თუ არა საკუთარ ოჯახსა და შვილებში? განა შეიძლება მთელი ქვეყნიერების საგანძურში გაიცვალოს ოჯახი, სახლი, სადაც ყოველთვის გელიან, სადაც ბავშვების სიცილი ისმის, რომელთაც დიდი ხანია უკვე უნდა ეძინოთ?.. ნამდვილი მსახიობი ქალი სწორედაც რომ ქალური და მომხიბვლელია. ამგვარი თვისებები უფრო ძველი თაობის მსახიობ ქალებს გამოარჩევდათ, მაგრამ მე მიანც მიმაჩნია, რომ მსახიობი ქალი მისაბაძი უნდა იყოს ყოველ დროს და მით უმეტეს, დღეს — მაგალითი თანამედროვე ქალთათვის.

ნინელის არაჩვეულებრივი თვალეები აქვს, საერთოდაც, არაჩვეულებრივი არსებაა, მაგრამ კარგად უნდა ჩააკვირდე და ისე დაინახო ეს არაჩვეულებრიობა, საკმაოდ მკვეთრია, მაგრამ მასში ბევრია ხორცშეხსნელი, არარეალიზებული, სამსახიობო თვალსაზრისით. მე მგონია, რომ ყველა ნიჭიერ ადამიანს ზეგარდმო ნიჭი დროის რალაც მონაკვეთით მიეცემა მხოლოდ. პერსონაჟის ხასიათი, რომელიც მისი პიროვნებისა და პირადი ცხოვრებისაგან განსხვავდება, ნინელის ბევრად უფრო მეტად აღლევებს. ელიკოს სახეც თავისებური გამონევევა გახდა მისთვის, უნებლიედ თამამი და მოულოდნელი სვლა, რაც მის მომნიფებულ, მისგან ასე დაშორებულ „სხვა სამყაროს“ შესაფერ მოთხოვნებს შეესაბამება. დროთა განმავლობაში ნინელი ჭანკვეტაძეს ალბათ გაუჩნდება ცხოვრებისაგან სხვა უფრო დიდი გამოწვევების მიღების შესაძლებლობა; ვიცი, რომ იგი ყველა გამონევევას გაუმკლავდება.

ნინელი ჭანკვეტაძის გმირებში მაყურებელს ხიბლავდა ბუნებრივი გრაციოზულობა, ყმანვილქალობა, ხმის მოდულაციები, შინაგანი მოძრაობა და მიზანმიმართულება, რითაც სახის გარეგნულ ნახაზს ქმნიდა. ელიკოს როლში კი იგი გაიძულეთ შეეგუოთ მის ახალ მოძრაობებს, სახის ახლებურ გამომეტყველებას. აი, მაგიდასთან ზის და პასიან-

სს შლის ქალი, რომელიც დაბნეული ეძებს გამოსავალს; გულიანად კი იცინის, მაგრამ მომთხოვნია, თავისთავადი; ათასგვარად იცვლის ტონს, სადღაც ინფანტილურიც კია. მისი მიაბიტი სიხარული იმდენად დაუცველი და მგრძობიარეა, რომ ნათლად ვკითხულობთ ამ გმირის სულიერი მოძრაობის ყოველ შტრისს.

ელიკოსა და ბენის მოკრძალებული, მეგობრულ-სასიყვარულო ურთიერთობა, ამერიკაში გადახვენილი ადამიანების ურთიერთობა, უპატრონო ძაღლებივით რომ ყმუიან ღამ-ღამობით... მათი ცეკვის სასიამოვნო და სევდიანი ეპიზოდი — ეტიუდი სპექტაკლში... კი არ ცეკვავენ, არამედ ცხოვრობენ, თამაშობენ. ისინი დრამატული მსახიობები არიან, ეს მათი პროფესიაა. ნებისმიერი დრამატული მსახიობი ფლობს პლასტიკას, მოძრაობას, მაგრამ მხოლოდ შავ სამუშაოს შეუძლია სცენაზე შემოქმედების ამგვარად მოხმობა.

მერის სახლში ყველას თავისი ისტორია აქვს საამბობი. დღე დღეს ენაცვლება, კედელზე იხევა კალენდრის ფურცლები; ელიკო ითვისის საქართველოში წასვლამდე დარჩენილ დღეებს, ბენი კი — ელიკოს სიახლოვეს გასატარებელ დღეებს... სიყვარული შეპარვია ბენის გულს...

და კვლავ ახალი სვლა სპექტაკლში — ელიკო ქმარმა მიატოვა, ნანვალე-დაზოგილი ფულიც მიითვისა; ელიკოს წინაშე მდგარი პრობლემა, დაბრუნდეს თბილისში და მოლაღატე ქმარს „საქმე გაურჩიოს“, სულ ადვილად წყდება: იგი მასზე შეყვარებულ ბენის მიჰყვება ცოლად, ვიზა უგრძელდება და ამერიკაში რჩება. ბედნიერია ბენიც, რადგან ებრაულ ქორწილს გადაიხდის და დედას გაახარებს, მაგრამ ყველაზე ბედნიერი ალბათ მერია, მის გვერდით ხომ მისი ელიკოა!..

(და კვლავ ჩემი თანაკლასელი ქალი მახსენდება, რომელმაც თბილისში ქმარ-შვილი დატოვა, მათ სარჩენად ამერიკაში წასული გათხოვდა, მშვენიერ სახლ-კარს დაეპატრონა... რომ ვკითხე, მერე იმ კაცის გვერდით თუ წევხარ-მეთქი?.. მეტი საქმე არ მაქვსო, მიპასუხა; იმას თავისი საწოლი აქვს და მე ჩემიო... — სადილს თუ უმზადებ-მეთქი? — რატომ?.. გამზადებული მოაქვს თავისი ჰამბურგერები და იმას მიირთმევსო!.. არ ვიცი, არ ვიცი!..)

მსახიობ ქალს და საერთოდ, მსახიობს, ყოველი ახალი როლი ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში ეხმარება. როლთან პირველი შეხვედრისასვე უამრავი კითხვა იბადება, უცხო სულს უნდა გაეცნო, შეიყვარო, გაუგო. ეს რთული ამოცანაა, რა თქმა უნდა, ზოგჯერ სრულდება, ზოგჯერ — ვერა, თუკი მაყურებელი გულგრილი დარჩება მისი ნამუშევრის მიმართ, მაშინ რა აზრი აქვს მის შემოქმედებას? მსახიობისთვის არაფე-

„თეატრი და სხივნება“ №6

რია იმაზე უარესი, როცა მასზე არ ლაპარაკობენ. სხვა ადამიანების აზრი ხომ თავისებური მამოძრავებელი ძალაა, სტიმული მუშაობისათვის. ცხოვრებაში სიყვარულით ცხოვრება და ამ გრძნობის მაყურებლისთვის გაზიარება მთავარი, ამ ცოცხალი გრძნობით მაყურებლის დარწმუნება. ყოველ ადამიანში იმდენი რამაა დაფარული, რომელსაც ღრმად უნდა ჩანვდე, თუმცა შეიძლება არც ისე სასიამოვნო თვისებები აღმოაჩინო.

ასე ამგვარად, ჩვენი ელიკო ამერიკაში თხოვდება, ბენის ცოლი ხდება და ერთი წლის შემდეგ სამივენი — ელიკო, ბენი და მერი საოცნებო და საყვარელ საქართველოში, ნანატრ საქართველოში ერთად ბრუნდებიან!

— ღმერთო ჩემო, ასეთ ქვეყანაში მხოლოდ გიჟები ბრუნდებიან!.. ამბობს მერი და მაინც მოდის ამ ქვეყანაში, რადგან მხოლოდ საქართველო დარჩენია იმედად და თავშესაფრად, რადგან აქ ცხოვრება ურჩევნია ამერიკულ გაპრიანებულ თავშესაფარს მოხუცთათვის, ქალიშვილმა რომ გაუმზადა და გაუმწესა...

...და ჩემი შვილი, 21 წლის გოგონა ცხარე ცრემლით ატირდა; — თავი შეიკავე-მეთქი, რომ გადავულაპარაკე, მერეღა შევამჩნიე, რამდენი იცრემლებოდა მასსავით.

სპექტაკლის დასასრულს მხოლოდ ერთის შიში მქონდა — თვითმფრინავი ჰაერში არ აფეთქებულიყო. მაგრამ არა, საამისოდ არავინ გაიმეტა ეს ადამიანები, არც ღმერთმა, არც რეჟისორმა, არც არტისტებმა და არც ქართულმა სიმღერამ!..

მღერის „ცისფერი ტრიო“, მღერის საქართველოზე და მიხარია, რომ ქართველი ვარ და ვცხოვრობ აქ, ჩემს საქართველოში... ვიცისაც არ უნდა, ის, რა თქმა უნდა, ნავა; მის ნაცვლად კი ჩამოვა ამერიკელი ტედი, ბენი (თუმცა იმ ებრაელებსაც ვიცნობ, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნიდან დიდი ხნის წინ გადასახლდნენ „ალთქმულ მინაზე“, წელიწადში ერთხელ მაინც რომ არ ჩამოვიდნენ აქ, ისე ვერ ძლებენ), ფრანგი ზანგი მასიმო და კიდევ ვინ მოთვლის ვინ?..

გაოგნებული მაყურებელი ზის, იცინის, ტაშს უკრავს, ბრავოს შეძახილებით ამხნევენს მსახიობებს, შესანიშნავად გრძნობს სიტუაციასაც და ამბავსაც... ყველა ინტერესით ადევნებს თვალს მოქმედებას, ყველას აინტერესებს, მერე რა მოხდება? გრძნობებით აღსავსე სპექტაკლი ჩვენს სამწუხარო ცხოვრებისეულ რეალობაზე მოგვითხრობს; ჩემს გოგონას ეგონა, რომ მხიარული ამბავის ნახვა მოუწევდა, თვალცრემლიანი კი ტოვებს თეატრს.

როგორც მონაწილენი ამბობენ, სპექტაკლი ძალიან სწრაფად, სამ კვირაში დაიდგა, ერთი ამოსუნთქვით. უპირველეს ყოვლისა, იგი ყურადღებას იპყრობს მსახიობთა უნარით, შეასრულონ ყველაფერი, რასაც რეჟისორი

ითხოვს და გმირთა ხასიათისა და მოტივაციის მკაფიოდ გადმოცემისას არ დაკარგონ საკუთარი ინდივიდუალობა. მაგრამ რეჟისორის მთავარი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მას მინდობილ არტისტებს, მიუხედავად მათი დიდი გამოცდილებისა და უმთავრესად კი ნიჭისა და უნარისა, არ დაუკარგოს ეს ინდივიდუალობა და იმგვარად ააგოს მიზანსცენათა ჯაჭვი, შინაგანი ცხოვრების ლოგიკა, ადამიანური განცდები ისე გააცოცხლოს, თითქოს თეატრიც არ იყოს!.. ერთ წამს ისიც კი ვიფიქრე, სხვა დროს რა მშვენიერ ფილმს გადაიღებდა-მეთქი ქეთი ამ პიესისგან?..

ძირითადად მსახიობი ქალებისა და მათი როლების შესახებ ვილაპარაკე, მაგრამ არ მინყენს რამაზ იოსელიანი, თუ ქალმა ქალეზზე გადავიტანე ყურადღება. მის მიერ შესრულებული ბენი ნამდვილად არის ის კაცი, რომელსაც ელიკო ალბათ დაუფიქრებლად გაყვებოდა ცოლად იქ ამერიკაშიც და აქ — საქართველოშიც!..

ჩემთვის სრულიად ახალ ამპლუაში ვიხილე ბატონი ნუგზარ რუხაძე, რომლის ბუნებრივმა არტისტიზმმა სპექტაკლში მშვენივრად იჩინა თავი (თურმე ადრეც უთამაშია სცენაზე, სამწუხაროდ, არ მინახავს). ამერიკელი მასაჟისტის, ტედის როლში მან ისეთი შესაშური პარტნიორობა გაუნია გამოცდილ მსახიობებს, სრულიად არ დაიბნა სცენის რამპის წინ, რომ მაყურებლის სიცილი და სიმპათია დაიმსახურა. ქართველთათვის ცნობილი „რწყილისა და ჭიანჭველას“ ამბავი, მის მიერ „გაჭირვებით“, „მტვრევით“ მოთხრობილი, სპექტაკლის ერთი სახალისო მომენტია. ვერაფრით იგებს ტედი, თუ რატომ, რანაირად იმეტებს კრუხი — დედა თავის შვილს — ნინილას ყვავის შესაჭმელად?.. ეს კითხვა გამუდმებით მანვალდება და მატირდება ბავშვობაში და დარწმუნებული ვარ არა მარტო მე... ეტყობა ქეთისაც ძალიან დიდი ხნის წინ აეკვიატა ეს კითხვა და ვერ გაიგო ქართულ ცნობიერებაში დაშვებული ამგვარი წამი, როდესაც შეიძლება საკუთარი შვილი სხვის შესაჭმელად გაიმეტო...

წერილს კი ამგვარად დავასრულებ: „მინიერი ცხოვრების ნახევარზე მეტი განვვლიეთ და „უსიერ ტყეში“ აღმოჩენილებმა ამ ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით“. აკუთავავე რიუნოსკე.

კლასიკური პროზის ინტერპრეტაციის საკითხისათვის

ლელა ნიფურია

მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმული დავით კლდიაშვილის მოთხრობის, „ბაკუ-ლას ღორების“ პრემიერა კინომსახიობთა თეატრში 1978 წლის 17 ნოემბერს შედგა. თუმცა ეს თეატრის პრემიერის თარიღია. „ბაკუ-ლას ღორების“ დადგმა თავდაპირველად თეატრალურ ინსტიტუტში განხორციელდა. მიხეილ თუმანიშვილმა თავის ერთგულ მოწაფეებთან იმგვარი წარმოდგენა შეთხზა, რომელიც 33 წელია თეატრის რეპერტუარის მშვენიერებაა. თავად რეჟისორმა „ბაკუ-ლას ღორები“ თავის საუკეთესო დადგმათა სიაში შეიტანა. თუმანიშვილისთვის სტუდენტებთან დადგმული სპექტაკლები არასოდეს ყოფილა მხოლოდ სასწავლო წარმოდგენები. აკი, სწორედ თეატრალური ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ჯგუფთან დიდი რეჟისორის სწავლების პროცესის შედეგად აღმოცენდა კინომსახიობთა თეატრი. ჯგუფში, რომელსაც მიხეილ თუმანიშვილი სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში უძღვებოდა, ქართული თეატრის არაერთი ცნობილი მსახიობი აღიზარდა. სპექტაკლი კი ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებს აქტუალობას და კვლავაც ხიბლავს მაყურებელს ფორმისა და შინაარსის ერთობლიობით. კინომსახიობთა თეატრში გადატანილ წარმოდგენაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები იყო შეტანილი. გასული საუკუნის მეორე ნახევრის თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ჯგუფებში, ანუ შემოქმედებით სახელოსნოებში შექმნილი წარმოდგენები არაერთი ახალი

ქართული თეატრის დაბადების საფუძველი იყო. რაც შეეხება მიხეილ თუმანიშვილის ექსპერიმენტულ ჯგუფებს — ეს ჯგუფები ყოველთვის იყო პედაგოგის თანამოაზრეთა ჯგუფები, სადაც დიდი რეჟისორი უაღრესად საინტერესო წარმოდგენებს თხზავდა და ეს წარმოდგენები სამართლიანად იყო თეატრალური ინსტიტუტის ყველაზე საამაყო სპექტაკლები.

მიხეილ თუმანიშვილის ნიგნებში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, რომლებიც ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტაციას ეხება. პრაქტიკოსი რეჟისორის თეორიული ნაშრომები ღრმა ანალიტიკოსის მიერ შექმნილი ნააზრევია, ხოლო სცენაზე გადატანილი კლასიკური პროზა კი ანალიტიკოსისა და შემოქმედის მოღვაწეობის ერთიანი შედეგი.

სტატიის მიზანია მიხეილ თუმანიშვილის თეორიული მოსაზრებების და კლასიკადექსეული სპექტაკლის შედარებითი ანალიზი, დადგენა იმისა, თუ როგორ ახორციელებდა დიდი რეჟისორი პრაქტიკულად თავის თეორიულ მოსაზრებებს.

„რეჟისორის მთავარი ამოცანაა აღმოაჩინოს უცნობი ნაცნობ პიესაში და თავისებურად (თავისი დამოკიდებულებით) გადმოსცეს, განახორციელოს იგი.“ „ბაკუ-ლას ღორები“ საქართველოში მართლაც ყველასთვის ნაცნობი ლიტერატურული ნაწარმოებია. ცხადია, „პიესაზე“ გამოთქმული მოსაზრება ყველა ლიტერატურულ თხზულებაზე ვრცელდება (ლ.წ.). დავით კლდიაშვილის ეს მოთხრობა სასკოლო პროგრამის ნაწილია და მას ქართველი ბავშვები ადრეულ ასაკში ეცნობიან. მარტივი, კომიკური სიუჟეტი რეჟისორის ინტერპრეტაციით უაღრესად აქტუალურ სპექტაკლად წარმოისახა. თეატრმცოდნე ნათელა არველაძე ამგვარ შეფასებას აძლევს მიხეილ თუმანიშვილისეულ ინტერპრეტაციას: „მიხეილ თუმანიშვილმა კლდიაშვილში მეტად სერიოზული მწერალი შენიშნა, სცენისთვის აღმოაცენა ყველაზე სასაცილო, ანეკდოტური სიუჟეტები და მათ სასცენო ქმედების დინამიურობა მიანიჭა.“ „ბაკუ-ლას ღორების“ ფარული სილადე და კომიკური სიტუაცია კიდევ უფრო დრამატული ელემენტებით შეაზავა, ამ „შეუსაბამობაში“ აღმოაჩინა კონფლიქტის საწყისი და მასზე ააგო პერსონაჟთა ურთიერთდაპირისპირების, სასცენო „ორთაბრძოლების“ პროცესები, საგანგებოდ გამოკვეთა ადამიანური ტრაგიკომედიის, ბედის ტრიალის უჩვეულო „კატაკლიზმები“, გამოკვეთა სასცენო ქმედების მრქეფაზე დინება და მასში ცამჭვირვალად ჩააქსოვა ადამიანთა შინაგანი სამყაროს „თვალთ უხილავ მოძრაობათა“ (გუნია) მთლიანი სპექტრი, მოვლენათა უსწრაფესი მონაცვლეობით კი სოციუმის დეფორმირებული ყოფის განწირულობა აღმო-

აჩინა, კონფლიქტური სიტუაციის დაძაბული რიტმით ადამიანთა ურთიერთქმედების ამოცანა გაამძაფრა, ხოლო სასცენო მიწინებებმა და არქექტიპული სამყაროს სიმბოლიკამ სანახაობას, მახვილგონიერებასთან ერთად, ასოციაციური ნაკადის სიზუსტეც შეჰმატა.

გასული საუკუნის დასაწყისში შექმნილი მოთხრობის შესახებ მიხეილ თუმანიშვილი წერდა: „როგორღა ვცხოვრობთ? გვეკითხება დავით კლდიაშვილი. როგორ იარსებოს ადამიანმა ამ გადაგვარებული სოციალური ურთიერთობების პირობებში, თანამდებობის პირთა განუკითხავი თარეშის გარემოცვაში, სადაც ყველაფერი იყიდება, სადაც ხელი ხელს ბანს და წესიერებისა და სიმართლის აღარავის სჯერა. რა დარჩენია საწყალ კაცს? მეზობელი მეზობლად არ ვარგა, ძმა ძმად და შვილი შვილად — გაფუჭდა ხალხი, გაღორდა, სასაცილოდაც არ ყოფნით ისეთი ცნებები, როგორცაა პატიოსნება, ყურადღება, ერთმანეთისათვის ზრუნვა, სიკეთე. შექმნილმა პირობებმა ადამიანებში უიმედობა, დაბნეულობა შვა. ვიღაც უიმედოდ ცდილობს იემპაკოს, ვიღაც მოთმინებისკენ მოუწოდებს, ვიღაც კი, რაც ძალი და ღონე აქვს, გამოუვალ წყვდიადისგან თავის დაღწევას ცდილობს“. რეჟისორი ამგვარად აღიქვამდა მოთხრობის სიუჟეტს და ტრაგიკომიკული სპექტაკლის ფაბულას დგამდა. მაშინ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასასრული იყო. ახლა, ოცდამეერთე საუკუნეშიც, სამართლიანად

გეუფლება განცდა, რომ მიხეილ თუმანიშვილის ანალიზი კლდიაშვილის მოთხრობისა, ვითარება, რომელსაც დიდი რეჟისორი კლასიკოსი მწერლის მოთხრობის შესახებ წერს, დღევანდელი სათქმელი და სატკივარია. შესაძლოა აღწერილი პრობლემების მოუგვარებლობამაც განაპირობა ის ვითარება, რომ სპექტაკლმა, სამწუხაროდ, დღესაც არ დაკარგა აქტუალობა. იქნებ, სულაც ჩვენი საზოგადოება მუდმივად ამგვარი არსებობისთვისაა განწირული, რადგან პიროვნული ღირსების და თავისუფალი აზროვნების დეფიციტი მარადიულ პრობლემად იქცა ჩვენში? ან იქნებ მუდმივად უცხოელი მშველელის იმედად მყოფებს გვემართება ეს მუდმივად? საკუთარი ხომ ჩვენში დიდად არაფერი ფასობს, არც საკუთარი თავის იმედი აქვს და არც არაფერს აკეთებს ერთი ციდა საკუთარი მინის დასაცავად. როდესაც ადამიანები მხოლოდ უცხოთა ხელის შემყურენი არიან, საკუთარი უმოქმედობის გამოც ნებაყოფლობით ირჩევენ ფსიქოლოგიური მონობის მდგომარეობას, სადაც გაღორებული მძლავრი მისთვის ბუნებრივად იქცევა, ის უბრალოდ ასეთი იყო, არის და კვლავაც ასეთი იქნება. ადამიანური ღირსების ამგვარი დაკნინების, ამგვარი სოციუმის ფონზე „ბაკულას ღორებს“ ალბათ კიდევ დიდხანს უნერია აქტუალურ სპექტაკლთა შორის არსებობა.

განსაკუთრებული, და ალბათ ყველაზე მართებული დამოკიდებულება ჰქონდა რე-





სცენა სპექტაკლიდან „ბაკულას ღორები“

ჟისორს ავტორის ერთგულებასთან: „რეჟისორი, უპირველეს ყოვლისა, პიესის განმარტებელია და ხელოვანი, რომელიც იგონებს ლიტერატურის ადეკვატურ, სპექტაკლის სცენურ გადანყვეტას“. მიხეილ თუმანიშვილი თავის წიგნში „ახლა კი ფარდა“ არაერთგზის უბრუნდება ავტორისა და რეჟისორის თემას. „როდესაც ავტორის მიმართ ერთგულებაზეა საუბარი, ასოთა მიღევნება კი არ იგულისხმება, არამედ ავტორის სულის მიმართ ერთგულება“. თუმცა, რეჟისორი იქვე აზუსტებს, რომ „როდესაც ავტორის მიმართ ერთგულებაზე ვსაუბრობთ, მაღალი რანგის ლიტერატურას ვგულისხმობ“. მიხეილ თუმანიშვილის „ბაკულას ღორები“ ავტორისადმი ერთგულების მართლაც საუკეთესო მაგალითია. ინსცენირების ავტორი ცოტნე ნაკაშიძეა, პროფესიით თავად რეჟისორი და მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე. მიხეილ თუმანიშვილის შეთხზულ ყოველ ეპიზოდში, კლდიაშვილის იმერეთის სევდანარევი იუმორი იგრძნობა. დაბეჩავებული, დაკნინებული საზოგადოება, რომელსაც სპექტაკლში მიხეილ თუმანიშვილი წარმოსახავს, კუდაბზიკა იმერლების ანეკდოტური ამბავი, უფრო რეჟისორის თანაგრძნობისა და ტკივილის ობიექტია, ვიდრე გაკიცხვის. გაკიცხული სპექტაკლში მხოლოდ ვალორებული მძლავრები არიან. შემოფოთებულნი შესცქერიან სცენის პორტალზე ოთხზე მდგარ ჩინოვნიკებს, მართლაც რომ აღარაფრით განსხვავდებიან ბაკულას ღორ-

ებისაგან. მიხეილ თუმანიშვილი თავის თეორიულ ნაშრომებში ავტორის სულის შენარჩუნებაზე წერს. მოთხრობის სცენიურ დადგმაში კი პრაქტიკულად ახორციელებს მისივე სიტყვებს: „რეჟისორმა უნდა მოძებნოს დრამატურგის სტილის თავისებურება (გრძნობათა ბუნება) და თეატრალური ხელოვნების ყველა კომპონენტი მას დაუქვემდებაროს“.

„ყველა კომპონენტში“ უპირველეს ყოვლისა, სიტყვა იგულისხმება, უფრო ზუსტად კი სიტყვის დაბადების პროცესი. „სიტყვა იგივეა, რაც მელოდია მუსიკაში და ფერი ფერწერაში. იგი სიზუსტესა და აზრობრივ დატვირთვას მოითხოვს... სიტყვა მსახიობის შემოქმედებაში ოსტატურად გამოძერწილი და გაცოცხლებული უნდა იყოს. სიტყვა ბუნებრივად უნდა დაიბადოს და ყალბ დეკლამაციაში არ გადაიზარდოს. სიტყვის ძალა ხომ განუსაზღვრელია. ჩემს თაობას ახსოვს მსახიობთა ყველა შემადგენლობა, რომელიც ამ სპექტაკლში იყო და არის დაკავებული. უნდა ითქვას, რომ სიტყვის დაბადების პროცესი, რომელსაც ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა რეჟისორი, ყველა თაობის შემსრულებლებისთვის კვლავ უმთავრესია. ეს სიტყვები — ტკივილიანიც, აგრესიულიც, მოჩვენებით დამაქრულიც, ჭორიკნულიც — მართლაც ბუნებრივად იბადება და მთელი სპექტაკლის მანძილზე მართლაც არაჩვეულებრივი სახეების უპირველეს გამომსახველ საშუალებად იქცევა სცენაზე, სადაც პატარა ეპიზოდიც

კი დასრულებული სახეა. თუნდაც სრულიად არაჩვეულებრივი პერსონაჟები, რომელთაც სპექტაკლში მოკრძალებულად, პირველი და მეორე ჭორიკნები ჰქვიათ და რომელთაც ნინელი ჭანკვეტაძე და რუსუდან ბოლქვაძე სტუდენტობის დროიდან ასრულებენ. სპექტაკლში სხვადასხვა დროს თამაშობდნენ ლევან უჩანიშვილი, გიორგი პიპინაშვილი, ზურაბ ყიფშიძე, რამაზ იოსელიანი, გაა რონიშვილი... ყველას ჩამოთვლა მართლაც რთულია. ცალკე აღნიშვნის ღირსია მათი შესრულებული სიმღერები (სიმღერები დაამუშავა გიული დარახველიძემ). გიტარის აკომპანიმენტით შესრულებული ეს ტკბილი, იმერული ჰანგები ერთგვარად სოფლელთა ყოფის შესაღამაზებლად თუ სტუმართა გასართობად რომ ჟღერს, წარმოდგენას იმ სრულიად განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს, რომელიც სხვა გამომსახველობით საშუალებებთან ერთად მსახიობთა თამაშს არტისტულ ფეიერვერკად აქცევს.

კიდევ ერთი მარტივი და ამავედროულად შესანიშნავი გადანყვება — სპექტაკლის დეკორაცია. რეჟისორისა და მხატვარ გივი ცერაძის შექმნილი სცენიური გარემო გადაშლილი წიგნია, სადაც დავით კლდიაშვილის მოთხრობის ტექსტია განთავსებული. წიგნის გვერდები სცენაზე პერსპექტივას ქმნიან. ტექსტს ილუსტრაციებიც ახლავს — იმერული ორლობის, კიბემიყუდებული ნალიის, აყეფებული ძაღლისა და ღორის ჯგუფური პორტრეტით. ამ, ერთი შეხედვით, სადა და უპრეტენზიო დეკორაციაში ავტორთა კონცეფცია იკითხება. აქ მაქმანებითა და ბაფთებით საგანგებოდ გაპრანჭული ადამიანები ღორებისგან დაცვას სხვა ჯიშის ღორებისგან ითხოვენ და საკუთარ ღირსებას ფეხქვეშ უგებენ. უკანა ფონზე ძაღლი ისევ უყეფს ღორს. და ასოციაციურად მხოლოდ ერთი შეგონება ჩნდება გონებაში: ნუ მიუყრით მარგალიტებს



ლორებს, ნურცა სინმინდეთა ძაღლებს...

სცენოგრაფიაშიც თითქოს ავტორის ტექსტის თაყვანისცემა კიდევ ერთხელ განსხეულდება. მინდა დავასრულო მიხეილ თუმანიშვილის სიტყვებით: „აბა ვის მოუვა თავში დ.კლდიაშვილის ტექსტის გადაკეთება? მის ყოველ სიტყვაში მრავალწერტილსა თუ მძიმეში, სიტყვათა განლაგებაშიც კი უამრავი შესაძლებლობა იქმნება, რომ ძველი მასალა ახლებურად ამოიკითხო. ამაში არაფერია განსაკუთრებული. მით უმეტეს, თუ ეს ყველაფერი ავტორთან არის შეთანხმებული“.

კუჩაჯ მუხრანელი

„აქალონილი“ ლევან წულაძის ფიგარო თბილისში

ახმეტელის თეატრის საიუბილეო კვირეულზე მაკედონიის ნაციონალურმა თეატრმა ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“ წარმოადგინა. სპექტაკლი განახორციელა მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან წულაძემ. რეჟისორმა პიესის სოციალ-პოლიტიკური ფონიდან მთავარი ყურადღება სიყვარულის თემაზე გადაიტანა და წინა პლანზე გმირთა შორის პიროვნული ურთიერთდამოკიდებულებები წამოსწია. თავიდანვე იკვეთებიან წყვილები — ფიგარო და სიუზანა, გრაფი და მისი მეუღლე, ქერუბინო კი სასიყვარულო გარემოს ესთეტიკურად ამალღებულს ხდის და სიხალისეს მატებს. ლევან წულაძე ინარჩუნებს პიესისეულ საზიემო, სიცოცხლით სავსე გარემოს და ფინალშიც მსახიობები მაყურებელს ერთმანეთისადმი სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემისკენ მოუწოდებენ. მართალია, გმირები ერთმანეთისადმი ირონიულად და იუმორით არიან განწყობილნი, მაგრამ ისინი პიროვნულად, შინაგანი მრწამსით პატიოსანი ადამიანები არიან.

რეჟისორმა მოქმედება უფრო ქმედითი გახადა და 16 პერსონაჟისგან მხოლოდ 9 მთავარი გმირი დატოვა. მისი გადაწყვეტით მოქმედება ორ მოძრავ ფიქარნაგზე მიმდინარეობს (სცენოგრაფი ვ. სვეტოზარევი), რაც შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს გრაფის სასახლე წყალზე დგას და ჩაძირვის საშიშროება ელის. გმირებიც გადასარჩენად ერთმანეთის ხელს უწყვიან და ისე ეძებენ თავშესაფარს.

მსახიობ ს. კოჩევის ფიგარო სიცოცხლით სავსე, ტემპერამენტისანი და პლასტიკური სახეა, რომელიც სიტუაციებისამებრ იცვლის მეტყველების რიტმს, რითაც მოვლენების გადმოცემით გარშემომყოფებს აზნებს და გაურკვეველ სიტუაციებს ქმნის ამბის კომე-

დიური განვითარებისთვის. მსახიობი კარგად გადმოსცემს სიუზანასადმი თავიდანვე გამოვლენილი ეჭვის სასიყვარულო განწყობით შეცვლას და გრაფისადმი ირონიულ დამოკიდებულებას ინარჩუნებს. იგი შინაგანად თავისუფალი ადამიანია, რომელიც ცდილობს ენერგიული მოქმედებით გრაფი თავის სიმართლეში დაარწმუნოს, რათა მან არსებულ გარემო რეალურად შეაფასოს.

გრაფი ნ. ლევის შესრულებით სულაც არ არის მკაცრი არისტოკრატი, იგი რბილი ხასიათის, სასიყვარულო მისწრაფებების ადამიანია, რომელიც სხვა გმირებთან უპირატესობის გამოვლენის ნაცვლად, მეგობრულ განწყობას ავლენს და სურს გაერკვეს შექმნილ გარემოებებში, რაც ცოლისადმი მსუბუქ ეჭვიანობაში გამოიხატება. ამასთანავე, სიუზანასადმი თავის ძალაუფლებას კი არ იყენებს, არამედ თავისი პიროვნებით სურს მოხიბლოს იგი. ამიტომ იგი არ ბრაზდება, როდესაც შეყვარებულის ნაცვლად, საკუთარ ცოლს ამოიცნობს. პირიქით, შეიგნებს რა თავის გატაცების არამიზანშენონილებას, მეუღლისადმი უფრო მეტ პატივისცემას, სიყვარულს გამოხატავს და ერთგულების აუცილებლობაში რწმუნდება.

სიუზანა ს. დიმიტროვსკას შესრულებით მხიარული, გონებადამხვილი ქალია და გრაფის მისდამი ჩაფიქრებული განზრახვის შესახებ თავის ქალბატონსა და საქმროს ატყობინებს, რითაც ცდილობს ერთმანეთისადმი ნდობა და პატივისცემა შეინარჩუნოს, ამავე დროს, საკუთარი პატივმოყვარეობა და ქალური ღირსება დაიცვას. ამიტომაც არის გრაფისთვის დაგებული მახე იუმორითა და კეთილგანწყობით აღსავსე.

მსახიობ ს. კაჯევსკის ქერუბინო სასახლეში ყველასთვის საყვარელი პაჟია. იგი დიდი ბავშვის განსახიერებაა, რომელსაც გრაფის ცოლი საკუთარი მიზნებისთვის იყენებს, ქალის კაბას გადააცმევს, რაც ქერუბინოს არ წყინს. იგი ამ თამაშში აზარტულად ერთვება და ხალისით მონაწილეობს. თავისი ემოციური ბუნებიდან გამომდინარე, ყველაფერს მგრძნობიარედ აღიქვამს და თავისი საქციელით არავის უხერხულ მდგომარეობაში არ აყენებს. მსახიობი ხაზს უსვამს ქერუბინოს გულუბრყვილო, მიმდობ ბუნებას, რბილ და მეგობრულ ხასიათს, რაც მის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ პიროვნულ თვისებებზე მიუთითებს და რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედება არ შეუძლია.

მარსელინა მ. ნოვაკის შესრულებით სიყვარულისთვის თავდაუზოგავად მებრძოლი ქალია, რომელიც არაფერზე უკან არ იხევს, მაგრამ ფიგაროში საკუთარი შვილის ამოცნობისას სირცხვილის გრძნობა ეუფლება ახალგაზრდობაში ჩადენილი შეცდომისა და



სცენა სპექტაკლიდან „ფიზაროს ქორწინება“

ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, რასაც ფარავს შვილის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული. მსახიობი კარგად გადმოსცემს შინაგანი განწყობის ამ კონტრასტულ ფერისცვალებას და ფინალში საერთო მხიარულებას უერთდება.

ბარტოლო მსახიობ ტ. ვიტანოვის შესრულებით შექმნილი სიტუაციით დაბნეულია. არ იცის რა ქნას — შეირთოს თუ არა ცოლად მარსელინა და აღიაროს თუ არა შვილად ფი-

გარო. ამიტომაც მისი შინაგანი მერყეობა თავადვე აგდებს კომიკურ სიტუაციაში.

ფინალში რეჟისორის პოზიცია ნათელია — ადამიანები რომელ სოციალურ ფენასაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ, უნდა ცხოვრობდნენ კეთილშობილური მიზნებით, სიკეთე თესონ და სხვას დაუმსახურებელი ტკივილი არ მიაყენონ, რითაც საზოგადოებრივ პატივისცემას მოიპოვებენ.

ქეთი ცხაკაია:

მსახიობთა მეტი ხეობი ცხოვრება

მარიამ პოლქვაძე

მან საკუთარი სამსახიობო ოსტატობით ბევრი მოხიბლა — ხალხმა უკვე შეიყვარა, თუმცა, როგორც ირკვევა, ქეთი ცხაკაიას ბავშვობაში სულაც არ სურდა არტისტობა. ფიზიკოსისა (მამა) და ფილოლოგის (დედა) ოჯახში დაბადებულ არტისტს მუსიკა ხიბლავდა.

ქეთი: ჩემს ოჯახში ერთადერთი პიროვნება, რომელიც თეატრალურ სფეროში მოღვაწეობდა, გახლდათ ბაბუა, მსახიობი დავით ცხაკაია. ის ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა, მე არ მინახავს სცენაზე, მაგრამ მასზე ამბობენ, რომ ძალზე ნიჭიერი არტისტი იყო. ბაბუა ასევე ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. უკრავდა პიანინოზე, ემზადებოდა კონსერვატორიაში ჩასაბარებლად, თუმცა, გამოცდებამდე ოჯახს განუცხადა, რომ სამსახიობოზე სურდა ჩაბარება.

ქეთი ცხაკაია თეატრალურ ინსტიტუტში, გიზო ჟორდანიას ჯგუფში ჩაირიცხა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოჯახი არ გამოირჩეოდა თეატრის სიყვარულით, მე მაინც ჩემს მეგობრებთან ერთად ხშირად დავდიოდი თეატრში. ახალგაზრდობაში ვნახე ისეთი შესანიშნავი დადგმები, როგორიცაა: „კავკასიური ცარცის წრე“, „ანა ფრანკის დღიური“, „ამალამ მგონი, იქნება ქარი“. ვთვლი, რომ სწორედ ამ სპექტაკლებმა შემდგომში პროფესიის არჩევისას დიდი გავლენა მოახდინეს.

უდიდესი სიყვარული მუსიკისადმი დღესაც შემორჩა და თვლის, რომ მიღებული ცოდნა, დღესაც ეხმარება როგორც პროფესიაში, ასევე პირად ცხოვრებაში.

მუსიკასთან მცირეოდენი შეხება თუ გქონია ოდესმე, ის აუცილებლად მოახდენს შენზე დიდ გავლენას. ბავშვობაში ძალიან ბევრ ოპერას ვისმენდით და მხატვრულ სახეებს ვარჩევდით. მე მგონია, რომ სწორედ იმ დროს განვითარდა ჩემში ასეთი დოზით ფანტაზია. მე ეს ცოდნა დღეს როლის აწყობაშიც მეხმარება და ხასიათების შექმნაშიც.

მისი შესრულებული როლების ნუსხაში ისეთი დრამატურგების ნაწარმოებთა გმირე-

ბი არიან, როგორიცაა: უილიამ შექსპირი, აექსენტი ცაგარელი, ედუარდო დე ფილიპო, მაქს ფრიში და სხვანი.

ხშირად არტისტები პატარა როლებსაც ვერ ართმევენ თავს. გამოცდილმა მსახიობმა კი სცენაზე არა მხოლოდ ერთი პერსონაჟი განასახიერა, არამედ მთელი სპექტაკლი თავად „ნაიყვანა“. ბესო კუპრეიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ჩემი ჰამლეტი“, მსახიობი თითების თეატრთან ერთად, მოგვითხრობს დანიელი პრინცის ტრაგიკულ ბედზე. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მცირე სცენაზე გათამაშებული დანიელი პრინცის ცნობილი ისტორია მაყურებელს მალე ჩაითრევს გრძნობების მორევში.

ქეთი ცხაკაია თავდაპირველად დამლაგებლად გვევლინება. გმირს, რომელსაც არტისტი ასრულებს, მსახიობობა სურდა. მართალია, პერსონაჟმა ვერ აისრულა სანუკვარი ოცნება, მაგრამ ვერც სცენისადმი სიყვარულის გადაღახვა შესძლო, ამიტომ ისევ თეატრს შეეკედლა და იქ დამლაგებლად დაიწყო მუშაობა. საკუთარი მოვალეობის შესრულებისას, საგრძნობოროში მოხვედრილი, მალე იძირება თეატრის ჯადოსნურ სამყაროში.

დამლაგებელი მრავალჯერ გაგონილი ისტორიის გულშემატკივარი, განმსჯელი და უბრალოდ, თანამონაწილე გახდება. ნელ-ნელა დადგმა შეფერადდება, შეიძენს სურნელს და დაძაბულობას. ერთი მსახიობის მიერ ჰამლეტი, ლაერტი, ჰერტრუდა, კლავდიუსი, როზენკრანცი, ოფელია თუ სხვანი ცოცხლდებიან, თუმცაღა სრულიად სხვა პლასტიკა და სულის გამოძახილით. თითების თეატრის მსახიობები (მეთოჯინეები: ვახტანგ ქორიძე, მაია სულხანიშვილი, ნინო ნამიჭიშვილი, ელენე ფირცხალავა, ზაალ კაკაბაძე, გიორგი მებაღიშვილი და თეონა მალალაშვილი) თოჯინათა თითოეულ მოძრაობას მრავალ დატვირთვას ანიჭებენ. პატარა გათამაშებაც საკმარისია და თქვენ მიხვდებით, თუ რას გრძნობს „ხისგან“ შექმნილი არსება. ამ ქმნილების რეალურობასა და სულიერებაში კი

მალე დარწმუნდებით. თითოეულ პერსონაჟს მსახიობმა საკუთარი „ხმის ტემბრი მიანიჭა“, რითაც ყოველ გმირს ხასიათი და ტიპაჟი შესძინა.

ქეთი საუბრისას თვალეში შესცქერის ყოველ იმ თოჯინას, რომლის მონოლოგსა თუ სიტყვასაც კითხულობს. ხის „მსახიობებს“, არტისტის დაჟინებული მზერისას თითქოსდა, გული უცოცხლდებათ და თანდათან უფრო სწრაფად უწყებთ ფეთქვას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არტისტი მათ სულში არსებულ ბოზოქარ ქარიშხალს ნათლად ხედავს. ისინი კი, ყოველივე ამას გრძნობენ და ცხაკაიას აღსარებას აბარებენ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მსახიობმა ქალმა შესანიშნავად შეასრულა მამაკაცის როლები. მიუხედავად ამისა, არტისტის ამოცანა, სრულიად არ ყოფილა მათი მიბაძვა. ცხაკაიამ თითქოს დააკარგვინა სქესი პიესის მთავარ გმირს და ჰამლეტი კაცობრიობის სიმბოლოდ წარმოგვიდგინა. ის, არც კაცია, არც ქალი, ადამიანია, რომელიც ეძებს სიყვარულსა და მშვიდობას.

შთაბეჭდავია სცენა, როდესაც მსახიობი კითხულობს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონოლოგს და მას ხელში თავის ქალა უჭირავს. ბოლოს კი, არტისტი მთელი გულწრფელობით ამბობს ნამდვილ მსახიობებზე — „მე იმათთან რა მოსატანი ვარ“. მაყურებელი ნელ-ნელა ფხიზლდება სიზმრიდან და იმ სინამდვილის, რეალობის წინაშე დგება, რომელიც დამლაგებელის გარემოცვაში ტრიალებს.

ქეთი — რეჟისორ ლევან წულაძის მიერ დადგმულ თოჯინების სპექტაკლში „ფაუსტი“ ქალის ყველა როლს მე ვახმოვანებდი. სწორედ იქ მუშაობის დროს გამოიკვეთა ბევრი რამ. მე მაშინ მივხვდი, რომ მიყვარს ხასიათების მოძებნა ხმით, რადგან, შენს გმირს რაიმე დამახასიათებელს თუ ვერ უპოვი, ის უინტერესო გახდება. ტელევიზიაშიც ვახმოვანებდი ფილმებს. იქ სრულიად სხვა ესთეტიკას წავანყდი. ჩემთვის უცხო იყო მექანიკური საუბარი. შემდგომ მივხვდი, რომ აუცილებელია სიღრმეების აღმოჩენა. თითქოსდა, ერთი შეხედვით, არ არის ძნელი გახმოვანება, შინ ძალიან დაღლილი მივდიოდი, მთელ ენერგიას ვხარჯავდი. შემდგომ კი „ჰამლეტი“ გადავინაცვლე, სადაც უკვე მქონდა დაგროვილი თოჯინებთან მუშაობისა და გახმოვანების გამოცდილება. ვთვლი, რომ ამჯერად უდიდეს ფუფუნებაში აღმოვჩნდი. მე ვთამაშობ „ჰამლეტში“ როგორც ქალის, ასევე მამაკაცის როლებს. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მუშაობის პროცესი. სულ მინდა ამ სპექტაკლში თამაში, რადგან ეს თემა ამოუწურავია. ეს დრამატურგია ყოველთვის გთავაზობს ახალ-ახალ მინიშნებებს.



შეუძლებელია ასეთი ნაწარმოების წყალობით, სპექტაკლი ჩავივარდეს. შეიძლება იმ დღეს ვერ ითამაშო გადასარევედ, თუმცა ნაწარმოები მაინც იტყვის თავის სათქმელს.

თითქმის ყველა მსახიობ ქალს სურს ჰერტრუდას როლის შესრულება, არც მე ვარ გამონაკლისი. ყველაზე მეტად ამ პერსონაჟმა დამაფიქრა. ის მართალია, დედოფალია, მაგრამ ძალიან სუსტი არსება აღმოჩნდა. ხან ჰერტრუდა ვიყავი, მერე უცბად მიწვედა ჰამლეტზე გადასვლა, სუსტიდან — ძლიერზე, რაც თავიდან გამიჭირდა, მაგრამ შემდგომ, როდესაც ყოველივე გავიაზრე, ყველაფერი დალაგდა.

ჩვენი ჰამლეტი არის ჰიპი, რომელიც ებრძვის დოგმებს. ახალი არაფერია, ხდება მკვლევლობაც, სიცრუეც, ბილწობაც, მაგრამ სპექტაკლში ჰამლეტს სურს, წერტილი დაესვას ყოველივე უარყოფითს. ჰამლეტი იმდენაც არის მოცული სიყვარულის გრძნობით, რომ საგანთანაც კი ეს გრძნობა აკავშირებს და სწორედ ეს დადებითი ემოციები ეხმარება გამარჯვებაში, ყოველივე უარყოფითის ნგრევაში.

ქეთი ცხაკაია არტურ შნიცლერის პიესა „ფერხულში“ საკუთარი პროფესიის გმირს — მსახიობს განასახიერებს. სპექტაკლში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები ერთ წრეში ერთიანდებიან. სულიერი, თუ ფიზიკური მოთხოვნილებები, ცხოვრებისეული პრობლემები და ყოველდღიური ყოფა აერთიანებთ პერსონაჟებს. თითოეული მოქ-

მედება ერთმანეთს უკავშირდება და ბოლოს ერთ მთლიანობას ქმნის. თითქოს ეს წრე დიაგრამასაც წააგავს. სოციალური სტატუსი ნელ-ნელა იზრდება, შემდგომ რალაც ეტაპზე მისი უკუსვლა იწყება, ბოლოს კი სანყის წერტილს უერთდება. ქეთი ცხაკაია ამაყ, თავდაჯერებულ ქალბატონს ანსახიერებს. მართალია, მისი გმირი სამსახიობო კარიერაში წარმატებებს აღწევს, თუმცა, ცხოვრების დინებას მაინც ვერ უწყობს ფეხს და სიცოცხლეს სუიციდით ასრულებს.

— **ძალიან ძლიერი და საინტერესო ნაწარმოებია „ფერხული“.** პიესაში ჩემი გმირი არ იკლავს თავს, თუმცა სპექტაკლში ის ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ რა ტიპის ადამიანია. არც ისეთი ძლიერია, რადგან სუსტ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ამავე დროს სიამაყით სავსეა. ჩემი პერსონაჟის შინაგანი სამყაროს შესახებ დღესაც ვფიქრობ. ვცდილობ, უფრო ზუსტად გამოვხატო, თუ რა ტიპის ადამიანია.

ქეთი ცხაკაია დიდი სიფრთხილით ეკიდება თითოეულ როლს. იგი მუდამ ეძებს ახალ პლასტებს და უღრმავდება პერსონაჟის სულიერებას. სწორედ ამიტომ, სცენაზე მისი გმირები მუდმივად განიცდიან ზრდას.

— **მე გამიმართლა, ძალიან კარგ რეჟისორებთან მომიწია მუშაობა.** როდესაც რეჟისორი შექმნის ატმოსფეროს, მერე მსახიობს, თუ გინდა კარგი რამ გააკეთო, ხელფები გახსნილი გაქვს. სწორედ აქედან იწყება სწრაფვა როლის გამდიდრებისაკენ.

ქეთი ცხაკაიამ მიიღო „დურუჯის“ ჯილდო (ნომინაცია — „საუკეთესო მსახიობი ქალი“, 2011წ.). მიუხედავად დიდი სიხარულისა, მსახიობისათვის აღიარება, პირველ რიგში, შრომასა და დიდ პასუხისმგებლობასთან ასოცირდება.

— **უდიდესი პასუხისმგებლობაა, როდესაც შენთან ერთად არიან წარდგენილი ნიჭიერი მსახიობები და ჯილდოს მაინც შენ გარგუნებენ, შენ თავს უსვამ კითხვას — რატომ მე?! ხანდახან ვფიქრობ, არ ჯობდა, ეთქვათ ჩემთვის — არა — და გამეგრძელებინა გზა (იცი-ნის), ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა.**

ხშირად უთამაშია სცენაზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან ერთად. თვლის, რომ ძალიან მიზანმიმართული და ნიჭიერი მსახიობები იზრდებიან.

ჩვენ ძალიან ემოციურები ვიყავით. დღეს კი სხვანაირად ვთამაშობ — უფრო დაკვირვებულად და გააზრებულად. ახლანდელი თაობა კი ძალზე მიზანმიმართულია. მიხდა, რომ უბრალოდ მათ უყვარდეთ ჯერ თეატრი და მერე თავისი თავი თეატრში. რასაკვირველია, ყველა მსახიობი ეგოისტია, მათ შორიც მეც, თუმცა, არ უნდა იყო მოცული მხოლოდ შენი თავით. ამ შემთხვევაში ძალიან იფანტები.

სჯობს, გიყვარდეს ჯერ საქმე და ის საქმე, მერე ისე ჩაგითრევს, რომ ერთი მთლიანობა გახდები. მე მითამაშია სტუდენტებთანაც. ძალიან მიყვარს მათთან ერთად გამოსვლა სცენაზე. ხშირად ვაძლევ რჩევებს. უფრო კი იმ შემთხვევაში, როდესაც ვგრძნობ, რომ მაქვს ამის უფლება.

ქეთის ჰყავს შესანიშნავი ოჯახი — ქმარი ზურა გაგლოშვილი და 14 წლის ვაჟი ნიკოლოზი. მეუღლე მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობს, სპექტაკლებს აფორმებს მუსიკალურად. როგორც გაირკვა ხელოვანების ოჯახში დაბადებულ ყმანვილს სურს გააგრძელოს მშობლების არჩეული გზა და მომავალში კინორეჟისორი გამოვიდეს.

— თეატრალური სარდაფის დაბადებასთან ერთად ნიკოლოზიც გაჩნდა. მე ვიყავი ფეხმძიმედ, თან ვთამაშობდი თეატრში და თან ვენმარებოდი თეატრის შექმნაში. ფეხმძიმობის 9 თვის ბოლო წუთამდე ვიდექი სცენაზე და ისიც, პატარა, თამაშობდა ჩემთან ერთად. შემდგომ კი თეატრში გაიზარდა. მისთვის სპექტაკლის ნახვა ყოველდღიური ზემოქმედებაა.

მსახიობი არ კმაყოფილდება მიღწეული შედეგით და მუდამ განაგრძობს საკუთარ თავზე მუშაობას.

— **სულ უფრო და უფრო მემატება გამოცდილება. ყოველდღე რომ გაქვს სპექტაკლი, ან კვირაში 4-ჯერ და ამხელა პრაქტიკა გაქვს, იწყებ ფიქრს და ამდიდრებ და ამდიდრებ შენს თამაშს.**

სამსახიობო ხელოვნება ქეთი ცხაკაიასთვის ცხოვრებაა, სიცოცხლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

ვიმედოვნებ, მსახიობი ქეთი ცხაკაია კიდევ ბევრ დაუწინყარ და საინტერესო როლს შემოგვთავაზებს. ერთი რამ კი ფაქტია, მსახიობისთვის თეატრის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. მისივე თქმით: „მსახიობობა მთელი ჩემი ცხოვრებაა“.



სცენა სპექტაკლიდან „სანუშა“

ნათია ფოთოლაშვილი ნანუკა ხუსკივაძე

გამორჩეული, ინდივიდუალური და განსხვავებული ნანუკა ხუსკივაძე რუსთაველის თეატრის საუკეთესო მსახიობია. მისი გამოჩენა სცენაზე ყოველთვის მოულოდნელობებით არის აღსავსე. მსახიობი მუდამ სიახლეებსა და საინტერესო სახეებს გვთავაზობს. ნ. ხუსკივაძე ყველა ღირსებით არის შემკული და თავისი ერთგული მაყურებელიც ნამდვილად ვყავართ განებივრებული. იგი დაგვაფიქრებს, საკუთარ თავში მაძიებლებს გაგვზდის. შეუძლებელია მასთან შეხვედრის, გაცნობისა თუ საუბრის შემდეგ, მისი ზემოქმედების ქვეშ არ მოექცე. არტისტი სულთ ხორცამდე ითვისებს გმირების ხასიათებს და ძალ-ღონეს არ იშურებს თავისი სამსახიობო ოსტატობით, პლასტიკითა და გამომსახველობითი ხერხებით, სცენაზე გამოჩენისთანავე მოხიბლოს მაყურებელი. და ჩვენც, ყოველი წამის დაგემოვნების შემდეგ, საოცარი განცდით და ამაღლებული გრძნობით ვტოვებთ დარბაზს, მისი ქმედებებით, წარმოთქმული ფრაზებით დიდხანს თავბრუდახვეული. სწორედ ეს არის დიდი ნიჭი, საოცრება, ფუფუნება, რომელიც უნდა ჰქონდეს არტისტს. ეს რჩეულთა ხვედრია. ნანუკა ხუსკივაძე კი ფლობს ყოველივე ამას. ამიტომაცაა, რომ მას არასოდეს უფიქრია სხვა პროფესიაზე, თვლის, რომ შეიძლება ეს ცუდიც არის და იქნებ, რაიმე სხვა უკეთესადაც გამოსვლოდა.

ნანუკა ხუსკივაძე თეატრში არ დაბადებულა, მაგრამ ორი წლიდან იქ იზრდებოდა. პირველი რაც აღიქვა, ეს იყო თეატრი. ტექნიკური რეჟისორის პულტთან ათენებდა და აღამებდა არა მარტო სპექტაკლების, არამედ რეპეტიციების დროსაც, რამდენ ხანსაც მისი მშობლები იყვნენ თეატრში. „კახოს“ ოთახში, საგრიმიროში ამზადებდა გაკვეთილებს. 1982 წელს დაამთავრა სკოლა, ჩააბარა თეატრალურ ინსტიტუტში. ეს იყო, მისი მხრიდან, ბუნებრივი ნაბიჯი. და მაინც, აბა, სხვა რა? სხვა როგორ? ამ ყოველივეს არ განაპირობებს მხოლოდ ის, რომ თეატრში იზრდებოდა. გენეტიკა ხომ შეუცვლელია. ნანუკა ხუსკივაძე დაიბადა ხელოვანთა ოჯახში.

დედა, ან განსვენებული, არაჩვეულებრივი მსახიობი ბელა მირიანაშვილი ულამაზესი, ნიჭიერი, ჭკვიანი, ინტელიგენტური, დახვეწილი, სათნო პიროვნება იყო. მას ჰქონდა ყველა ის ღირსება, რაც მის ადამიანურობასა თუ პროფესიონალიზმს წარმოაჩენდა. იყო დამახასიათებელი მსახიობი დიდი ენერგიით, სიცოცხლის ხალისით, შეიჭრებოდა ხოლმე რუსთაველის თეატრის სცენაზე და ყველას ყურადღებას იპყრობდა. ბელა მირიანაშვილმა მხოლოდ შვიდი სეზონი გაატარა თეატრში და ცოტა მეტი კინოში, ხოლო — კახი კავსაძე, ქართული თეატრის რაინდი, დიდი არტისტი, უაღრესად კარგი პიროვნება და ჭემპარიტი ქართველი, თანაბრად აღიარებული როგორც კოლეგების, ასევე მაყურებლის მიერ. ძმა — წარმატებული მსახიობია, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ასე რომ, ასეთი არაჩვეულებრივი ოჯახის შთამომავალში ნიჭმა იფეთქა. გენი არასოდეს ჩერდება ადამიანში და გამოანათებს ხოლმე. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად რეალურმა გარემომაც დიდი როლი ითამაშა. მსახიობს პატარაობიდანვე აღმოაჩნდა „სიგიჟე“, რის შედეგადაც იგი ახლა რუსთაველის თეატრის საუკეთესო მსახიობია. იგი თვლის, რომ მსახიობობა არის ნებაყოფლობითი და მან ეს გზა თავად აირჩია. დასახულ მიზანს კი ჯოჯოხეთური შრომით მიაღწია.

ინსტიტუტში ნანუკა ხუსკივაძე გიზო ჟორდანიას ჯგუფში მოხვდა. სწორედ იმ წუთიდან დაიწყო მისთვის ბედნიერება. მისი ძალიან მაღლიერია, რადგანაც პროფესიის გარდა მისგან კიდევ უამრავი რამ ისწავლა, - ადამიანურობა, ურთიერთობები, ცხოვრება და ა. შ. ნანუკასათვის კურსი ერთი მთლიანობა იყო, რომლის გარეშეც წარმოუდგენლად მიაჩნდა არსებობა. არტისტისთვის მანესტროსთან მუშაობა ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, რომელთანაც არ არსებობდა დიდი და პატარა როლები, ყველა მოიაზრებოდა ერთ თაროზე. ამის გამო, დისკომფორტს არ განიცდიდნენ მომავალი მსახიობები. ამიტომაცაა, რომ ნანუკასთვის გიზოს ანალოგი არ ჰყავს, - „მას

შეუძლია გასწავლოს, ჩამოგაყალიბოს და აღ-
გზარდოს, ეს არის დიდი ადამიანობა და პრო-
ფესიონალიზმი საკუთარ სფეროში. ეს არის
უდიდესი კაცობა, მოქალაქეობა“. სწორედ,
აღბათ ამის გამო იყო, რომ კახიმ და ბელამ პი-
რობა ნაუყენეს ნანუკას — თუ გიზოს ჯგუფში
ვერ მოხვდებოდა, მერე აღარასოდეს ეფიქრა
ჩაბარებაზე.

პირველი როლი ნანუკა ხუსკივაძემ მესა-
მე კურსზე მიიღო. ეს იყო ანა ფრანკი („ანა
ფრანკის დღიურები“), რომელიც მისთვის
უსაყვარლესია, როგორც პირველი შვილი.
შემდეგ იყო ვერიჩკა, დარიკო („სამანიშვი-
ლის დედინაცვალი“) და სადიპლომო წარ-
მოდგენაში „ამალამ, მგონი, იქნება ქარი“ —
ისკრა. ამ ყველაფერს მოჰყვა უპრეცედენტო
რამ რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ. მან
მთელი ჯგუფი, გიზო ჟორდანიას ხელმძღვან-
ელობით, მიიღო რუსთაველის თეატრში და
დაუთმო მცირე სცენა, სადაც თამაშობდნენ
„ჰამლეტს“ და „სამანიშვილის დედინაცვალს“.
მცირე სცენაზე ხუთი წლის მოღვაწეობის შემ-
დეგ სტურუამ მსახიობები შეუერთა მთლიან
დასს და დაიწყო მათი გადანაწილება ძირითად
სპექტაკლებზე.

რეჟისორი რობერტ სტურუა ნანუკას ახა-
სიათებს მსახიობად, რომელიც ორგანულად
ითვისებს როლის ემოციურ განცდას და მის
ინტელექტუალურ გააზრებას, არტისტად,
რომელიც არ ცნობს გულგრილობას და ხალ-
ტურას. მუდამ მუშაობს მაქსიმალური დატ-

ვირთვით და რომლის გმირებსაც აქვთ აქტი-
ური ცხოვრებისეული პოზიცია და გამოირჩე-
ვიან ზნეობრიობით.

აქედან გამომდინარე, დამწყებ მსახიობს
ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ნანუკაზე
იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. უამრავს
წერდნენ მისი როლების შესახებ. ყველა მის
ინდივიდუალობასა თუ განსხვავებულობაზე
საუბრობდა. ერთ-ერთ გაზეთში ვკითხუ-
ლობთ — „სცენაზე გამორბის პატარა, ლამაზი
გოგონა, გამორბის კი არა ქარიშხალივით
გამოვარდება, იყოლიებს მთელ დარბაზს, გა-
დასცემს ენერჯის, სიცოცხლის გასაოცარ
შეგრძნებას“... ასე წარმატებულად დაიწყო
ნანუკა ხუსკივაძის სამსახიობო კარიერა, რაც
უკვე იმის მანიშნებელი იყო, რომ იძერწებოდა
საოცარი პერსონა, რომელიც ადგილს დაიმ-
კვიდრებდა და აუცილებლად იტყოდა თავის
სათქმელს ამ თეატრალურ სამყაროში.

რთული აღმოჩნდა ჩემთვის მსახიობის
როლებიდან რომელიმეს გამოყოფა და იმა-
ზე საუბარი, თუ რომელია უფრო მისეული,
რომელია უფრო ახლოს მასთან და ჰგავს. ამ
ყოველივეს ნანუკასთვის გადამწყვეტი მნიშ-
ვნელობა არ აქვს. მთელ „კაიფსაც“ სწორედ
ტიპაჟის ძიებაში პოულობს რადგანაც, ყველა
ადამიანშია მიძინებული სხვადასხვა თვისება
და ხასიათი, რომელთა არსებობის შესახებ
არც კი ვიცით. არტისტის მიერ შესრულებუ-
ლი როლებიც სწორედ დაზვერვის და ძიების
შედეგად ხდებიან მისეულები. ამიტომაც არის
მსახიობის პროფესია ძალზე საინტერესო და
ამავდროულად ძალიან რთულიც. როდესაც
ყველას გვჯერა ნანუკას მიერ განსახიერე-
ბული როლები და ვამბობთ, — რა მაგრად თა-
მაშობს, რა მაგრად აკეთებს ყველაფერს, რო-
გორ როლშია. სინამდვილეში, იმ წამს ნანუკა
გათამაშებული გმირი თავად არის, მაგრად
ამოქეცილი თვისებების ხარჯზე. თამაშსა და
არათამაშს შორის კი მილიმეტრია, თითქმის
ზღვარიც არ არის. როდესაც პროფესიონალი
არტისტი პერსონაჟს ანსახიერებს, მაშინ ის
იმ რამოდენიმე საათით უნდა ცხოვრობდეს
და რა წამსაც მოიშორებს გრიმს, იქ უნდა
მთავრდებოდეს ყველაფერი. თუნდაც იმ მო-
მენტში, როცა შეუძლია დაახრჩოს, მოკლას.
დაუჯერებელია და ცრუობს მსახიობი, როდესაც
ამბობს, რომ როლი აქვს გამოყოლილი.
იდეალურიც სწორედ მაშინ არის, როდესაც
სცენიდან გამოსვლისთანავე ამთავრებს
ყველაფერს. ესაა ნამდვილი პროფესიონალი-
ზმი. სწორედ ამ გასაოცარი თვისებებით
არის დაჯილდოებული ჩემი რჩეული მსახიობი
— ნანუკა ხუსკივაძე.

„შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც
გენებოთ“ მარია — ნანუკა ხუსკივაძე. არტის-
ტი იხსენებს, რომ ტიპაჟი რეჟისორთან ერ-
თად დაიბადა. ნანუკა ვერ ხსნის, სიტყვებით



პანპალა — „კაცია აღამიანი“

ვერ გადმოსცემს ყოველივეს. სპექტაკლის რეჟისორია რობერტ სტურუა. მან პატარა ბიძგი მისცა მსახიობს, რომ გმირი შეეცნო. „რობიკოს“ უთქვამს მუშაობისას ნანუკასთვის - „ეს იცი რა არის? ეს არის რალაც არამინიერი, ადამიანივით თითქოს არ დადის“. ეს აღმოჩნდა ის მარცვალი, რის შემდეგაც ნანუკამ დაინახა, თუ როგორი იქნებოდა მარია, და პირველივე მცდელობამაც გაამართლა. იმ წამს მსახიობი შეგრძნებით „დადგა“ პერსონაჟის საყრდენზე და ზუსტად იცოდა, მარია ვინ იყო. სხვა საკითხი აღმოჩნდა შემდეგ, ყველაფერს შეესტებით როგორ გადმოსცემდა. სცენაზე გამოჩენილმა მარიამაც არ დააყოვნა. იგი საოცრად მოძრაობს. თითოეული თავისი მიხვრა-მოხვრით, მიმიკებით თავს გამახსოვრებს და გაყვარებს. ჩვენ წარმოგვიდგა თვალწინ არამინიერი არსება, სხვა პლანეტიდან ჩამოფრენილი, ინტრიგების მოყვარული. სასაცილო მარია სიცოცხლეს სხვადასხვა ხრიკით ირთობს და იხალისებს. ნანუკა „ხულიგანი“ არტისტია — რა წამსაც რა მოსდის თავში, იმას აუცილებლად აკეთებს. მსახიობი ათი წელია თამაშობს ამ სპექტაკლში და, ამის მიუხედავად, თითოეული მისი გამოჩენა სცენაზე აბსოლუტურად განსხვავდება წინასაგან. არტისტს ნამდვილად აქვს იმპულსი, რაც ძალიან ეხმარება მაყურებელთან ყოველი შეხვედრისას. თავადაც თვლის, რომ ძალიან დიდი წესრიგი აქვს უწესრიგობაში. იგი ბუნებით ასეა მოწყობილი.

„კაცია-ადამიანიში“ ნანუკას პამპლაზე რეჟისორმა სტურუამ თქვა, - „ამას თავისი ტრასა აქვს“. არტისტს, სადაც, რაც და როგორც მოსდის თავში, იმას აკეთებს აუცილებლად. თუმცა იმას, რისი თქმაც უნდა მანეჯტროს, არასოდეს სცდება. რადგანაც მსახიობს ამის მორალური უფლება არ აქვს. ნანუკას რობერტ სტურუასგან დიდი თავისუფლება აქვს მიიჭებულ. მსახიობისათვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ასეთი უფლებები რჩეულთა ხვედრია. ყოველივე ამის გამო, ნანუკა მადლიერია რეჟისორის და ამბობს, რომ გიზო ჟორდანიას შემდეგ მისგან კიდევ უამრავი რამ ისწავლა.

არტისტს ხშირად დიდი რისკის ფასად უჯდება თავისი გამოსვლა სცენაზე. იგი თავდაუზოგავად შრომობს, რათა სათქმელი ბოლომდე მოგვანოდოს. სწორედ ერთ-ერთი სპექტაკლის დროს მან მძიმე ტრამვა მიიღო ხელზე და დიდხანს ვეღარ ახერხებდა თამაშს. ეს იყო რეჟისორ ნინო ლიპარტიანის მიერ ირაკლი სამსონაძის პიესაზე შექმნილი წარმოდგენა „ყოფილების სარეცელი“. ყოველი შესრულებული როლის შემდეგ ნანუკა სულ ფიქრობს, რა გააკეთა, რატომ გააკეთა. ზოგი — კარგად, ზოგიც — ცუდად, მაგრამ ამ ყველაფერში იგი თავის თავს წვრთნის. არტისტისთვის პროფესიაც ხომ სწორედ ეს



სცენა სპექტაკლიდან „ყოფილების სარეცელი“

არის. იგი მუდამ ცოცხალი ტიპი უნდა იყოს. თეატრი ქარხანა არ არის.

ნ. ხუსკივაძე მიუხედავად ხალხის ოვაციების, სიყვარულისა და პატივისცემის, მუდამ უკმაყოფილოა თავისი თავით. მას არ ახსოვს, როდის იყო კარგი. იგი გამუდმებულ ბრძოლაშია და გაუგებარია, როდესაც უქებენ თამაშს და ეუბნებიან, რომ „დაგლიჯა“, არტისტს კი ამ დროს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს... მომავალი როლების წარმატებულობის საწინდარიც ხომ ეს არის. ასეთია მსახიობის პროფესია — ერთ წუთს არის და მეორე წამს ქრება. რჩება მხოლოდ გაყვითლებული ფოტო, რაზეც აღბეჭდილი მსახიობი თავისი გამომეტყველებითა თუ მიმიკით მუდამ უკმაყოფილოა. ანდა ვიდეომასალა, რომელიც არცთუ კარგი სანახავია, რადგანაც სპექტაკლი ცოცხალი ორგანიზმია, „ვულგარულად“, რომ ვთქვა, ჩვენს წინაშე გამოდის მშრალი არტისტი და ჩვენ წინაშევე სველდება. იგი ყველას თვალწინ გადის რალაც ცხოვრებას ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე. ის თუ რა განიცადა, რა გაუხარდა, რა ეტკინა, რა ვნებათაღელვა გაიარა, თეატრალებს ან მოსწონთ, ან — არა. თუმცა მსახიობებმა კარგად იციან თავიანთი ხვედრი და მაინც ირჩევენ ამ გზას, მათ თვითონ გამოაქვთ განაჩენი საკუთარი თავისთვის. მაყურებელი კი იმისდა მიხედვით აფასებს, თუ რა განწყობაზე მივიდა თეატრში. არადა, რომ დავფიქრდეთ, განა რამდენი ცხოვრება უნდა განვლო ერთ სიცოცხლეში.

ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის 75 წლის იუბილე

სოფო ძიძიგური
ლევან ბახოკია

2011 წლის 13 დეკემბერს ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრის 75 წლის იუბილე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აღინიშნა. პატარებისთვის საყვარელი თეატრის თარიღი გვაძლევს საშუალებას, წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი თაობა აღიზარდა მათ სპექტაკლებზე. საიუბილეო საღამოში ამავე თეატრის მთელი შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობდა. წარმოდგენა, რომელიც რეჟისორმა ირაკლი გოგიამ დადგა, სავსე იყო თბილი სიტყვებით, რომელიც ზუსტად 75 წუთში ჩაატყის მსახიობებმა და რეჟისორმა.

სწორედ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დაარსებიდან 75 წლის თარიღს დაემთხვა I-ს, თოჯინური ხელოვნების საერთაშორისო გაერთიანების, საერთაშორისო გაერთიანების დაფუძნება, რომელსაც ესწრებოდა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჟაკ ტრუდო. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბათუმში შეიკრიბა საქართველოში არსებული თოჯინების და საბავშვო თეატრების ხელმძღვანელები, ასევე თითების, მარიონეტების და ჩრდილების თეატრის წარმომადგენლები. კონფერენციას უმასპინძლა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. I-ს საქართველოს ეროვნული ცენტრი წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს იმ ადამიანებს და ხელოვანებს, ვისაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში თოჯინური თეატრის განვითარებაში, ამ ცენტრის მიზანია თოჯინური ხელოვნების პოპულარიზაცია. საქართველოს უნიმას საპატიო პრეზიდენტებად დასახელდნენ რეზო გაბრიძე და გივი სარჩიმელიძე, რომლებიც ერთხმად აირჩიეს დამფუძნებლებმა. კონფერენცია მოამზადა ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა, თეატრმცოდნე ლევან ხეთაგურმა.

I-ს დაარსების შემდეგ, იუბილეს დაწყებამდე სტუმრებს საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიის და თანამედროვეობის ამსახველი ფოტო

გამოფენა, რომელზეც ფოტოების გარდა იყო წარმოდგენილი თეატრის ძველი და ახალი აფიშები.

მთავარ საიუბილეო საღამოზე ზღაპრულ კოსტიუმებში გამოწყობილმა მსახიობებმა წარმოდგენის დასაწყისშივე მხიარული მუსიკის და პანტომიმის ელემენტების თანხლებით, პუბლიკა ბავშვობის უდარდელ წლებში გადაისროლეს. მათ, ასევე დროდადრო გააცოცხლეს ნაწყვეტები სხვადასხვა სპექტაკლებიდან („არგონავტები“, „წუნა და წრუნუნა“, „ნიანგი, გენა და მისი მეგობრები“ და ა.შ.). საიუბილეო საღამოს განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი ელფერი შესძინა უზარმაზარი, დაახლოებით ათმეტრიანი მარიონეტის, არლეკინის გამოჩენამ. ეს დინამიური თოჯინა სცენის შუაში დაეშვა, რომელმაც დიდი ემოცია და გაოცება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

ასევე, სტუმრებს, მსახიობების დახმარებით, საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ თეატრის წარსულს, თუ როგორი იყო მისი პირველი ნაბიჯები და მთლიანი გზა, რომელიც მან წლების განმავლობაში გაიარა არსებობის დღიდან. ისინი მონაცვლეობით გამოდიოდნენ სცენაზე და ქრონოლოგიურად გვამცნობდნენ თეატრის ისტორიას.

ეს ღირსშესანიშნავი დღე ძალიან ბევრმა ადამიანმა მიულოცა თოჯინების თეატრს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ზაზა სოფრომაძემ, აჭარის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლამზირა ბოლქვაძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა (თეატრმცოდნე), ლევან ხეთაგურმა (თეატრმცოდნე), გივი სარჩიმელიძემ (რეჟისორი-პედაგოგი), გურამ ბათიაშვილმა, (დრამატურგი, ყურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი), ჟაკ ტრიუდომ (თოჯინური ხელოვნების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი) და სხვა. წარმოდგენა ქართულმა ხალხურმა ცეკვამ დაასრულა.

თოჯინების თეატრის წლოვანების ზუსტი დათარიღება თეატრმცოდნე, ლაშა ჩხარტიშვილს ეკუთვნის. აჭარის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, მუზეუმებსა თუ ბიბლიოთეკების სიძველეთსაცავებში აღმოჩენი-

ლი მასალებით. მან, ჯერ კიდევ სტუდენტმა, 2001 წელს ორმოცდათხუთმეტი წლით უკან გადაწია თეატრის ისტორია. მოგვიანებით კი ლაშა ჩხარტიშვილმა მის კვლევებს ერთ ნიგნში, „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრის ისტორიის საკითხებში“ მოუყარა თავი, რომლის თანავტორიც თეატრმცოდნე, ნერონ აბულაძე გახლავთ.

თეატრის ისტორიის შესახებ საიუბილეო საღამოზეც გვამცნეს მსახიობებმა. 1936 წლის 20 ივლისს, წარმოდგენილ იქნა პირველი სპექტაკლი „კაკოს ოინები“, რომლის რეჟისორიც გრიგოლ კოსტავა გახლდათ. ამ ტიპის თეატრის დაარსების იდეა მოსკოვში, სტალინთან ქართული თეატრის მოღვაწეებთან შეხვედრისას წარმოიშვა. დღევანდელში კი შედიოდნენ — მსახიობი თამარ ჭავჭავაძე და დრამატურგი მიხეილ ნიორაძე, რომლებიც იმ დროისთვის დრამატულ თეატრში მოღვაწეობდნენ.

1936 წლიდან დღემდე არც ისე მარტივი გზა გაიარა ეგრეთწოდებულმა „ტიკინების“ თეატრმა, როგორც მას ადრე მოიხსენიებდნენ. მან დაახლოებით ოცი წლით შეწყვიტა არსებობა. XX საუკუნის 80-იან წლებამდე, როგორც ისტორიული წყაროებით ვიგებთ, პერიოდულად იდგმებოდა თოჯინური სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობას იღობს სახელმწიფო დრამატულ თეატრის მსახიობები იღებდნენ. საბავშვო თეატრს ბათუმში საკუთარი შენობა არ გააჩნდა და ამიტომ წარმოდგენები აჭარის მასწავლებელთა სახლში თამაშდებოდა.

საიუბილეო საღამოზე საპატიო სიგელით დააჯილდოვეს საქართველოს დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გივი სარჩიმელიძე, რომელმაც უანგარო შრომა გაიღო თოჯინების თეატრის განვითარებისთვის. 1980 წელს, როდესაც ფუნქციონირებას იწყებს ბათუმის მულტიმედიური თოჯინების სახელმწიფო თეატრი, ბატონ გივის ინიციატივით იქმნება მიზნობრივი მსახიობებისა და რეჟისორების ჯგუფი, რომლებიც მოგვიანებით ამავე თეატრში აგრძელებენ მოღვაწეობას. გივი სარჩიმელიძე, რომელიც ზემოთ აღნიშნული თეატრის „ნათლიმამა“ შერაცხეს, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას და არაერთი თაობა გამოზარდა. მის მიერ დადგმული სპექტაკლები კი წლების განმავლობაში დიდ სიხარულს ჩუქნიდა პატარებს. გივი სარჩიმელიძის სარეჟისორო ნამუშევრებს უფროსი ასაკის მაცურებლის ინტერესიც არ აკლდა. მისი საეჭაპო დადგმებია „ხეტიალა“, „მზის სხივი“, „ნიდექუდა“, „ცისფერი ზღარბი“ და სხვა მრავალი.

„ნათლიმამის“ გარდა თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ — რეზო გელაძე, თამაზ ბოლქვაძე, ეთერ თავართქ-

ილაძე. სწორედ ამ უკანასკნელს მიუძღვის დიდი წვლილი მოზარდ მაცურებელთა თეატრის ჩამოყალიბებაში, რომელმაც არაერთი საინტერესო სპექტაკლი დადგა ეგრეთწოდებულ „ცოცხალ პლანში“. რეჟისორის მნიშვნელობანი ნამუშევრებია: „არაჩვეულებრივი კონკია“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა-ქეთელაური“, „ბუდე მეცხრე სართულზე“, „ნოეს კიდობანი“ და სხვანი.


2001 წელს ბათუმის თოჯინების თეატრს შეეცვალა სტატუსი და მას ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრად. ბოლო წლებში დადგმებზე დასწრების მსურველების მატება შემოქმედებითი გუნდის კარგ მუშაობაზე მეტყველებს. თეატრის დასი ოცი სხვადასხვა თაობის მსახიობით არის დაკომპლექტებული. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ამ ეტაპზე ზურაბ ცინცაძე, ხოლო მმართველი მედეა ჩარკვიანია. დღესდღეობით თეატრის რეპერტუარში დაახლოებით ოცამდე მოქმედი სპექტაკლია.

14 დეკემბერს თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრმა ორი სპექტაკლი შემოგვთავაზა — „ნუნა და ნუნა“ და ბერტოლდ ბრესტის „დედა კურაჟი და მისი შვილები“. წარმოდგენებმა არცთუ ისე ურიგოდ ჩაიარეს, იმ ყველა პირობის გათვალისწინებით, რაც დღეს თეატრშია შექმნილი. მიუხედავად არსებული პრობლემებისა, დასი და მთლიანი შემოქმედებითი ჯგუფი აქტიურად მუშაობს და უკვე წლებია მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ფესტივალებში.

75 წლის მანძილზე ბათუმის თოჯინების თეატრს არ გააჩნდა საკუთარი შენობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ იუბილესთან დაკავშირებით თეატრს, ბათუმის ერთ-ერთ ძველ და პრესტიჟულ უბანში უნიკალური არქიტექტურული ძეგლი გადასცა, რომლის მსგავსიც მთელს საქართველოში არ გახლავთ. მას მინიჭებული აქვს კულტურის ეროვნული ძეგლის სტატუსი. შენობის რეაბილიტაციის პროექტი უკვე შექმნილია და შენობა 2012 წლის ბოლოს თანამედროვე სტანდარტების ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ბათუმის მოზარდ მაცურებელთა და თოჯინების თეატრის ორდღიანმა იუბილემ ორგანიზებულად ჩაიარა, გარდა იმისა, რომ ჩვენ მოვისმინეთ ისტორია ამ თეატრისა, ვნახეთ რეალურად მათი დღევანდელი სახე, სამუშაო გარემო და პირობები. ისინი თავიანთი არსებობით ძალიან ბევრ პატარას ანიჭებენ სიხარულს, უქმნიან საზეიმო განწყობას და რაც მთავარია, უდიდესი წვლილი შეაქვთ მოზარდ მაცურებელთა კულტურულ აღზრდასა და ჩამოყალიბებაში.

დრამატურგია



სანდრო მრევლიშვილი

„უსაზღვრებმა დღითა“

(გალაკტიონი)

დრამა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

- პოეტი
- დემონი
- ოლია, პოეტის მეუღლე
- პოეტის დედა
- პოეტის მამა
- პოეტები, მწერლები, მხატვრები
- ჩეკისტები
- რევოლუციური ბრბო

ძნელი მისახვედრი არაა, რომ პოეტის სახეში გალაკტიონ ტაბიძე იგულისხმება. მაგრამ ეს არ არის ბიოგრაფიული პიესა. ავტორის მიზანი არც გენიალური პოეტის შემოქმედების ანალიზია, არც პორტრეტულ სიზუსტეს უნდა მოველოდეთ.

პოეტი და დრო... პოეტის კონფლიქტი საკუთარ „მესთან“... პოეტი და მისი დემონი... პოეტი და მისი ლეგენდა... ვფიქრობ, ეს მარადიული პრობლემაა და სწორედ ამ წინააღმდეგობათა ახსნა უნდა იყოს საინტერესო. მით უმეტეს, როდესაც საქმე გენიალურ პოეტს ეხება.

შესატყვისი უნდა იყოს გარემოც, რომელშიც მოქმედება მოთავსდება: პოეტური, მაგრამ არა ილუსტრაციული. პირობითი და არა ყოფითი.

1

„დაფნა მეფეთა“

ყოველი მხრიდან ცვივა ფურცლები – მათზე სტროფები, ლექსები და პოემებია. თანდათან იკვეთება პოეტის სილუეტი: თეთრ ხიტონში, ფეხშიშველი. „ლექსების თოვლი“ მთელს სივრცეს ფარავს. სიღრმიდან იკვეთება დემონიც – ისეთივე ხიტონი აცვია, მხოლოდ შავი.

პოეტი – (ეფერება ფურცლებს) ლექსნო, ცოცხალხო მონამენო ქვეყნისთვის დაღვრილი ცრემლების, თქვენ იბადებით სულიერ წამებაში და ეწყვეტებით ადამიანთა გულებს, როგორც ტალღები კლდეს.

დემონი – უჰ, რამდენი გინერია!?

პოეტი – შენა ხარ, ძამიკო?

დემონი – მე ვარ, „დემონი იჭვით სავსე მხატვარის“ – შენი სიტყვებია.

პოეტი – მახლობელ დემონს იგრძნობ უეცრად და შიშის ჩრდილით აკანკალდები...

მომეხმარე, ავკრიფოთ ფურცლები, ლექსები, სტრიქონები!

ნუ დავტოვებთ მათ დროისა და სივრცის გარეშე!

დემონი – (კითხულობს ერთ-ერთ ფურცელს)

„ჟამი ყველაფრის მქმნელ-გარდამქმნელი,

სივრცე, ყველაფრის მიმტყვებელი“.

პოეტი – ამ სტრიქონებში ღრმად ჩაქსოვილია ეპოქები... ეპოქა წამებისაც, ეპოქა ახალი ცხოვრების მოპოვების, ძველის ნგრევის, ეპოქა გარდატენის, ეპოქა მძიმე ინდუსტრიის და ყველა ეს ლექსებში, პოემებში, ჩაქსოვილია სურათებად ბეჯითად, შიშით, რომ არაფერი, არც ერთი ფერი,

არც ერთი ძაფი არ გამომჩინებდა. და შემდეგ ახალი და ახალი ეპოქა რომ გადახედავს ჩემს ნაწარ-
მოებს, მეშინია, შეუმჩნეველი არ დარჩეს მას ჩემი ხელის, აზრების და გრძობების ჟრიაბული, რაც
მე ჩაავსოვო ჩემს ლექსებში. ვინ უყურებს იმას, თუ რას იტან შენ შენს ლარიბულ ოთახში, როდესაც
სწერ, როგორი დაჭიმულია შენი ძარღვები, აზრები...

დემონი – როდესაც გიყურებ მაგ შენს ცივ ოთახში მომუშავეს, გამიეღვებს ხოლმე აზრი, რომ
დრო უღიმობელი დღევანდელ თაობას ერთ დროს ნაშლის, და, როგორც შემოდგომის ფურცელს,
შენც მიგფარავს სამუდამოდ.

პოეტი – და დარჩება მუდამ ცოცხალი ჩემი ლექსები, პოემები, სურათი, აქარგული ეპოქებით.

დემონი – ნამებს, საათებს შენი განცდისას ვინ დაითვლის მაშინ, ვინ აკინძავს? — არავინ.

პოეტი – არ მინდა წამიც ჩემი ნააზრის და ნაგრძობის დაიკარგოს. მეშინია.

დრო უნდა აღვნიშნო, დრო!

დემონი – ასე გამოდის, უკვდავება გინდა, ძამიკო?

პოეტი – უკვდავება აქ არის, ამ ფურცლებზე.

დემონი – (აიღებს ერთ ფურცელს. კითხულობს)

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი,

რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“...

რა გინდა კიდევ?

პოეტი – მე მინდა ავცილდე იმ საზღვარს, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული. იქ, იმ უსაზ-
ღვრობაში მწუხარებას ავიტან, ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები.

დემონი – ეგ ძალიან, ძალიან ძნელია. თითქმის შეუძლებელიც.

პოეტი – რატომ, ძამიკო? რომ იცოდე, რამდენ ძალას ვგრძობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას
ჩემში. არტისტულს. მშვენიერს.¹ მახალისებს ყოველივე. მე გავიმარჯვებ! სულში გენიით ატეხილი
რეკავს ლერწამი! ჩემი დიდება აუცილებელია. ჩემი შუქმოსილი ბრწყინვალეობა დააბნელებს ირგვ-
ლივ ყველაფერს. ეს აუცილებელი მოვლენაა და ეს დღე იქნება მალე, ძალიან მალე.

დემონი – ეს დღე ყოველ დილით თენდება შენთვის. მაგრამ საოცნებო საზღვარი მაინც შორს
არის. რაც შენ ჩამოთვალე – ამქვეყნიური, ჩვეული ამბებია...

პოეტი – სასტიკი იყო ჩემი დემონი,

არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,

ანგელოსები უედემონი

ტიროდნენ გზათა მიუვალობას...

დემონი – ცყუილად ატირებ ანგელოსებს! გზა, მიმავალი იმ საზღვრისკენ, რომელშიც კაცო-
ბრიობაა მომწყვდეული, თელილია.

პოეტი – ვიცი, ბარათაშვილი: „და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!“

შეფუდვით ამ გზას! დაგვიწყია სვლა–ნასვლა...

დემონი – საიმედო მეგზური გჭირდება. მხოლოდ ის თუ მიგიყვანს საოცნებო საზღვართან.

პოეტი – უკანასკნელ ვნებათა სევედიანი საზღვარი...

დემონი – და საზღვარს იქით – უკვდავება!

პოეტი – სულს სწყურია საზღვარი, ისევ ეფემერული,

სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას...

დემონი – ბოლომდე ჩემი ერთგული თუ იქნები, მაშინ ეგ საზღვარი აღარ იქნება ეფემერული
ოცნება. ნუ განმდევნი, რამეთუ მე, და მხოლოდ მე ვარ მეგზური უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე.
სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით, ისევ გეძახის შენი დემონი. (გააჩენს დაფნის გვირგვინს)

პოეტი – ეგ რა არის?

დემონი – დაფნის გვირგვინი. შენ პოეტების მეფედ ხარ კურთხეული.

პოეტი – გინდა მაცდუნო!

დემონი – დიას. „დაფნა მეფეთა“ უპირველესი ცდუნებაა მოკვდავთათვის. უნდა დაიდგა ეს
გვირგვინი.

პოეტი – ცოდვილი მოკვდავი უკვდავი ველარ შევიქნები.

დემონი – შეიქნები, თუ ამ დაფნის გვირგვინს შენ ნამებულის ეკლის გვირგვინად გარდაქმნი.
თანახმა ხარ?

პოეტი – ნუთუ ეგ ერთადერთი გზაა?

დემონი – ნუ ყოყმანობ. ან ხო, ან არა!

პოეტი – დამადგი!

დემონი – პირობა პირობაა! ამ დაფნის გვირგვინს შენ ეკლის გვირგვინად გარდასახავ!

პოეტი – ბედი ქროლოვის გარეშე ჩემთვის არაფერია...

დემონი – ღმერთისგან დალდასმული ენამები, როგორც საყვარელი ძე ღვთისა...

პოეტი – ღამეები ველური დაიტივირთოს ნამებით...

დემონი – შენი ცხოვრება მარადიული ბრძოლა იქნება ღვთიური ნიჭისა ამოებათა ამოებათა-
თან...

პოეტი – დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული...

1 აქ და ყველგან დაცულია გ. ტაბიძის ჩანაწერების და წერილების სტილი – ს. მ.

დემონი – ჯვარზე გაგაკრავენ...
 პოეტი – ვიყო ამ ღრიალცულში მარად ხელაღმართული.
 დემონი – შენს გულს ნაწილ-ნაწილ დაგლეჯენ.
 პოეტი – არ ავტირდები, არც შებრალებას ვითხოვ არასდროს...
 დემონი – შენთვის სამშობლო უდაბნოა მიუსაფარი!
 პოეტი – ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც ვერასდროს,
 და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
 მე თბილისი ავირჩიე ბებერი...
 დემონი – ამ ქვეყნად გსურდა შენ სიყვარული!
 პოეტი – მაგრამ ვერავინ ვერ შევიყვარე...
 დემონი – როდესაც აპოკალიპსის გადაიმსხვრევა კლდეებზე ცხენი, შენი სიტყვა, სიტყვა პოეტის, იხსნის ძველს, დალუპვის ღირსს კაცობრიობას.
 პოეტი – ღრუბლებო მავო, მზეო საპყარო,
 მე ალტაცების ზღვაში შეველი,
 აღმოვაჩინე მთელი სამყარო,
 ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი!
 დემონი – პოეტი ბრბოში, სულ ერთია, იქნები ზრდილი, მსუბუქ მანდილით,
 ზედმეტი, უცხო, უნაყოფო და განდევნილი ფოთლების ლანდი.
 პოეტი – ზედმეტი... უცხო... უნაყოფო, და განდევნილი...
 დემონი – ვიდრე თავს არ მოიკლავე, გაჩნერილი იქნები უკვდავებასა და ამათა ამაოების ყოველდღიურ წვრილმანებში. ამ ჭიდილში შეიქმნება შენი ლეგენდა.
 პოეტი – უსულგულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
 დემონი – მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია იყო აქ და იყო იქ!
 პოეტი – დგას უსაზღვრობა დროთა...
 დემონი – რამ მოგაფიქრა? უსაზღვრობა დროთა! ეს არის შენი საიდუმლო!
 პოეტი – ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები.
 დემონი – ჩემთან კავშირით შეკრავ წარსულისა და მომავლის კვანძს!
 პოეტი – მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია.
 მაგრამ არ შემიძლია ვიმღერო ყრუ, გატლანქებული ხალხისათვის, რომელიც უკვე ველარ ჰხედავს სიმშვენიერეს. და არც არაფერი, სრულიად არაფერი ისეთი არ არის ჩემს სამშობლოში, რომელსაც შეეძლოს ალაფრთოვანოს და აამღეროს ჩემი გენია. ანმყო რა ვუყოთ, ამათა ამაოებას? შეხედე, რა ამოად ირევა ნუთისოფლის მორევი?
 დემონი – უნდა შეეცუროთ ამ მორევიში. დროთა კავშირი აქ დუღაბდება. ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა. დროთა ამ კავშირის შეკვრა გენიოსთა ხვედრია მხოლოდ. მომილოცავს, ამჯერად ღმერთმა შენ ავირჩია.
 პოეტი – შენ?
 დემონი – მე მხოლოდ მეგზური ვარ სიკვდილსა და უკვდავებას შორის. შეეკრათ კავშირი და ანმყოდან მკედარ წარსულსა და უკვდავ მომავალში ვიმოგზაუროთ.
 პოეტი – მე და დემონი: ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება.
 დემონი – (შეამკობს დაფნის გვირგვინით. ისმის ძლიერი ჭექა-ქუხილი) ავამეტყველებ შენში გენიას!
 პოეტი – (შეიფერებს „მეფობას“) ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი
 ლამაზი ცეცხლთა მარადი ნთებით,
 მე – დაფნის მსუბუქ ფოთლებით საგსე,
 მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით.
 დემონი – ამიერიდან ჩვენ ერთნი ვართ.
 პოეტი – უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,
 იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა,
 გავალე კარი – თეთრი თოვლი შემომეფეთა,
 მივხურე კარი – მარტოობამ დაისადგურა!
 ამიერიდან მე მარტო ვარ.
 დემონი – ერთი არსება, ერთი პოეტი, ერთი გენია.
 პოეტი – და მომდევს განთქმულ სახელის ტაში,
 დიდება, ცრემლი, ლელვა, მუქარა.
 მომგვარეთ რაში!
 დაე, კვლავ ჰგავდეს მგ ზავრობა ჩემი,
 ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.

„გრგვინვით ებრძოდნენ ზარები ზარებს“

დემონი – შეხედე, როგორი სისწრაფით ეცემიან ტახტები, რამდენი მონარქი მოყვა ქვეშ სასახლეების ნანგრევებს. შფოთით და გრგვინვით მიანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის

ნიაღვრები. ისინი მარხავენ ძველ ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისა. შეხედე თანამედროვე ადამიანს! მისმა უკანასკნელმა საზღვართა ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას. მისმა სურვილებმა, რომ გამოზომილ იქნას სივრცეთა უფსკრულები უშორეს მზეების და ცისარტყელების სპექტრის საფუძველზე, მიიყვანა იგი გამოგონებათა უგონო ორგანიზაციამდე...
შენი თანამომდენი და თანამოკალმენი კი ისევ ძველებურ ჰანგზე მღერიან. შეხედე!

სცენაზე აღმოცენდება „სალონი“ – პოეტები, მხატვრები, ხელოვნების მოყვარულები, კრიტიკოსები.

მხატვარი – ნატურალისტი – ფორმულა პირველი: მე მსურს ავსახო საგანი ისე, როგორც არსებობს საგანი თვითონ. არც მეტი, არც ნაკლები. საგანი! თითქოს გარე სუბიექტი. მთელი ენერჯია – საგნის სისწორით გადმოცემისთვის.

კრიტიკოსი – ეს იქნება ნატურალიზმი.

მხატვარი-იმპრესიონისტი – ფორმულა მეორე: მე მსურს ავსახო საგანი ისე, როგორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული. არავითარი ზედმეტი. მთელი ენერჯია მხოლოდ შთაბეჭდილების დაჭერისთვის.

კრიტიკოსი – ეს იქნება იმპრესიონიზმი.

მხატვარი-ექსპრესიონისტი – ფორმულა მესამე: მე მსურს ავსახო საგანი არა ისე, როგორც არსებობს საგანი თვითონ, მაგრამ არც ისე, როგორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული, არამედ ისე, როგორც არის იგი გარდაქმნილი ჩემს სულში. სულიერი ენერჯია საგანს მარადიულ მოძრაობაში ითრევს თითქოს...

კრიტიკოსი – ეს იქნება ექსპრესიონიზმი.

პოეტი-ფუტურისტი – ჩრდილოეთი-სამხრეთი, აღმოსავლეთ-დასავლეთი.

ეკვატორი დედამიწას შუაზე ჰყოფს.

ევროპას ეცემა ჩრდილი

აღმოსავლეთის მზის.

მწუხარე ოსვალდ შპენგლერი

დასტირის ევროპის დაისს.

მზე აღარ არის

მწველი და ცხელი,

ქარი უდაბნოდან ქრის.

ქარავანი ქარავანს ცვლის –

ქარი კი ქვიშას ჰყრის.

ევროპა სავარძელში ზის –

მშვიდად უყურებს ჩასვლას მზის.

ველარას შველის ტოტი ბზის, –

სჩანს დასასრული გზის.

აჩრდილი უკან სდევს ბებერს –

აჩრდილი კომუნის ზმის!

„სალონი“ იწყებს „კანკანის“ ცეკვას. დემონი ღირიჟორობს ამ ფანტასმაგორიას.

პოეტი – სულს ენატრება ნგრევა

ელის მსოფლიოს კივილს.

ეგებ გადაყვეს რევა

ამ აუტანელ ტკივილს.

იყოს ქალაქთა ნაცვლად

სასაფლაოთა რიგი!

თავის ქალებად და ძვლად

გადაიფინოს იგი!

(მიმართავს „სალონს“) თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერი ხელოვნება, რომ პოეზია სამუდამო გამოცანაა, რომ ჩვენს დროში პოეზია, რომელიც არ მიდის უფსკრულის პირად, ისევე ნაკლები ყურადღების ღირსია, როგორც ყოველივე, რაც კი ამ უფსკრულში ჩაიჩეხება. უდიდებულეს რითმებში ენლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება, ომები ვარსკვლავეთის რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უცხრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი. ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიკურ დროს!

თქვენ იხედებით დაუკმაყოფილებელი, მაგრამ დამორჩილებული თვალებით... თქვენ დაკარგული გაქვთ მიზანი. თქვენ რალაც სამუდამოდ დაჰკარგეთ, ძვირფასო ძმებო! ამაოდ ეძებთ მას მშობლიურ ქალაქებში, სახლებში, ქუჩებში. საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნან-

გრევეებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერსად იპოვით! აირჩიეთ ორში ერთი – განახლება ან სიკვდილი...

დემონი – (პოეტს წითელ დროშას მიაჩეჩებს) აიღე!

პოეტი – რად მინდა?

დემონი – უსაზღვრობა დროთა: უნდა იყო აქ, რომ მიხვიდე იქ...

პოეტი – სანამდე დროშებს ეძებდა თვალი

დროშები ქარში გაშალეს უცებ!

დღითა და ღამით, დღითა და ღამით,
გრგვინვით ებრძოდნენ ზარები ზარებს.

3

რევოლუციური ბრბო:

პრო გრიშკუ,

პრო საშკუ,

პრო ცარია ნიკოლაშკუ!

მკვლელობა

პურის გირვანქისთვის.

ქურაში მოძრაობაა.

იუნკრები, თეთრი გვარდია,

წითელი დროშა,

ტყვიისმფრქვეველი

დიდ სამრეკლოზე.

ცეცხლი ედება

უზარმაზარ სახლებს ბულვარზე,

სახლები იწვიან ყოველმხრივ...

საშინელი შიმშილი...

სისხლის კვირის აპოთეოზი –

მკვდრები უპატრონო,

სტუდენტები,

გიმნაზიელები.

გაჩეჩქეილი თავი,

რომლის ცნობა შეუძლებელია.

პარტიული ჯარისკაცები,

უმიზნოთ მოხეტიალე ბაგეშვები,

უკმაყოფილო ელემენტები,

სასულიერო ნოდების რისხვა...

არაჩვეულებრივი

ამბების მოლოდინი...

მიტინგი ყრუების და მუნჯების,

მიტინგომანია.

გადამწვარი სახლები,

ჩალენილი მალაზიები.

დაიწყო ასე –

ღრუბლისებური ღმერთი ნგრევათა,

სასტიკი ღმერთი,

წმინდად წარსანყმედად გადარევათა,

დიდი რუსეთი,

აღ–დემონებად

ქცევა დასწრების,

ანგელოსები

ყველა ტაძრების

და მონასტრების.

ქაოსები.

სარწმუნოება... გახდა სატანის...

ოხრავს სამოციქულო ზარი!

შემოვლებული

დროთა ხავსებით,

ხატი

პილატეს დაემსგავსება,

მისი ასეთი

ცოდვით დამწვარი,

ჯოჯოხეთიდან

მიმოდის ჯვარი.
ჯოჯობხეთური
სამოთხე შენდება!
რევიოლუცია,
რევიოლუცია!
გაუთენებს
საკადრის დღეებს
კაცობრიობას!
ძველისძველი რუსეთი
იმ ღამეს ეგდო
როგორც ხის კუნძი,
ჯიროკი ტყეში –
რომელსაც სცემდნენ ნაჯახს.

აქ ერის ერთი მძლავრი ბეჭედი
რევიოლუციის!
ამ ბეჭდით თუ გინდა
მსოფლიო შეჭედე.
სდგას ერთი გრანდიოზული
სკამი,
რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს
სამი ფეხი
და ზედ ძლივს ზის
ჯერ ისევ ძველი რუსეთი.
ქვეშ დახეული ხალიჩა უგია,
ნინ დამტვრეული ჯამი უდგას ქაშით.
აქეთ ცარიელი სკივრი,
სავსე სატკივართ.
ამ სიცივეში სანყალს არა აქვს
ქვეშსაგები,
მისთვის ბალიში არ არსებობს
და არც საბანი,
მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული
ქარში, თოვლჭყაპში ამონუმპული
სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა
ზურგზე ჰკივია ტომარა,
ხელში ცარიელი დოქი.
ქამრის მაგიერ თოკი,
ხელზე ჰკივია ქვაბი
და გატეხილი ტაშტი,
ნარსულის დროის ნაშთი
ხელში უჭირავს ჯოხი
თავზე ახურავს გობი.
ფიქრობ,
ამბობს ვიღაცა –
ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშევა,
უფრო გაძლიერდება სიმწარე,
დაეკარგება სინდისს ფასი.
ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,
დაინგრევა ყოველივე წმინდა
საქვეყნო წყევლად...

„ათი დღე“
რომელმაც შესძრა კაცობრიობა.
პოეტი – (ბარიკადებზე, დროშით)
გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა,
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,

მათ სსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს,
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები... დროშები... დროშები ჩქარა!
ბრბო დაიშლება. პოეტი მარტო დარჩება „ბარიკადებზე“ დროშით ხელში.

4

„ცეცხლი, მახვილი, სისხლი იყოს შენი სახელი!“

დემონი – (იატაკზე გორავს და ისტერიულად იცინის) რომ იცოდე, რა სასაცილო ხარ: თავზე გვირგვინით და ხელში დროშით. მაგ დროშამ ბევრი უბედურება მოგიტანა შენც და კაცობრიობასაც.

პოეტი – (მიუვარდება დემონს და დროშის ტარს მკერდზე დააბჯენს) რად მომაჩიჩე? რად მაცდუნე?

დემონი – შენი სიტყვებით გიპასუხებ:

„მე განვიცადე რევოლუცია...“

მთელი სიმწარე მოვლენების

და მთელი სიტკბო,

რომ ეს სტიქია

უჩემოდ არ ჩატარებულა.

ახლა მომეხმარე, ცეცხლი უნდა დავანთო.

დემონი პოეტს მიატოვებს და შუა სცენაზე ცეცხლს ანთებს.

პოეტი – რას აკეთებ?

დემონი – ცეცხლს ვანთებ.

პოეტი – რისთვის?

დემონი – შენი მორიგი სისულელისთვის? დაგავინწყდა, რაც ჩაიდინე?

პოეტი – ეგ სისულელე არ იყო. როდესაც რევოლუციის ცეცხლის ალში შესვლას დააპირებ, იქვე უნდა ეძებო მისგან გამოსავალიც. ეგრე იყოს, შეუნთე ცეცხლს!

დემონი სულს უბერავს კოცონს. პოეტი ცეცხლში ყრის ხელნაწერებს და ისე დადგება კოცონთან, თითქოს თვითონაც იწვისო. ბოლოს დროშასაც ცეცხლს მისცემს. დემონთან ერთად რიტუალურად გარს უვლიან კოცონს.

პოეტი და დემონი – ცეცხლი, მახვილი,

სისხლი იყოს შენი სახელი,

დაიწგრეს ძველი, სიხარული მოდის ახალი

და ამბობს ყველას გასაგონად – მსოფლიო, წყნარად!

შენი წარსული, შენი აწმყო იქცა არარად.

და დახარხარებს შენს ნანგრევებს – ცეცხლი, მახვილი,

ცეცხლი, მახვილი, სისხლი იყოს შენი სახელი!

ბოლოს, როცა ყველაფერი დაიფერფლება, პოეტი დაიხრება ჩამქრალ კოცონთან.

5

„თავის ქალა არტისტული ყვავილებით“

პოეტი – დავკარგე, გავანადგურე ყველაფერი, რაც მიწერია ბავშვობიდანვე... არასოდეს არ მიგრძნია რაიმე მსგავსი. განვიცდი ამის გამო დიდ მარტოობას, თითქო მომკვდარიყოს ჩემი სიყმანვილე, მთელი ჩემი სიყმანვილე... მრავალი გათენებული ღამე, მრავალი გრძნობა სიხარულისა... ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები... ვერასდროს, ვერასდროს მათ ველარ ვნახავ... გაქრა წარსული, ჩემი გული, ჩემი იმედი მომავლისა. ახლა მეშინია იმაზე ფიქრი, თუ ვ მომეღლის მე მომავალში, ვინ დამიჭირს მხარს? ვინ მომცემს ხელს? არ ვიცი. დიდი, დიდი, დიდი მწუხარებაა. მე აღარა ვარ!

დემონს ფერფლიდან გადაჭრილი თავის ქალა, შეტრუსული ყვავილები და ეკლის გვირგვინი ამოაქვს.

დემონი – ნუ ტირი, გამომართვი!

პოეტი – ეგ რა არის?

დემონი – სკიპტრა. თუ მეფე ხარ, სკიპტრაც უნდა გქონდეს. (თავს დაადგამს ეკლის გვირგვინს)

პოეტი – ეგ რაღაა?

დემონი – ეკლის გვირგვინი. ხომ შევთანხმდით?

მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

პოეტი – „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“... თავის ქალა – სიკვდილი, არტისტული ყვავილები – ხელოვნება. სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს?

დემონი – რა თქმა უნდა, სიკვდილმა!
პოეტი – რა თქმა უნდა, ხელოვნებამ!
დემონი – სიკვდილმა!
პოეტი – ხელოვნებამ!

დემონი – კარგი, მაგრამ რა არის ხელოვნება, ხელმწიფეო?
პოეტი – ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური...

დემონი – დარწმუნებული ხარ? მითხარი – ღირს განა ქართველებისთვის თავის განწირვა? რას მოგცემს ისეთს შენი სამშობლო ან რას მისცემს მას შენი ქნარი? საქართველოში, სადაც ხე არ ყოფნით ჯვრების ასამართავად და ჯვრები არ ყოფნით ჯვარზე საცმელად, ერთი ტრიბუნალა დაგრჩენიათ – ეს არის სასაფლაო! ერთი თავისუფალი ადგილია გაქვთ შესაკრებად – ეს არის მკვდრების განსასვენებელი ბინა... ერთი დროა გაქვთ, როდესაც შეგიძლიათ ვითომ ხმის ამოღება – ეს არის დრო ტირილისა და ცრემლებისა, როდესაც წინ გვიდევს გაცივებული გვამი... დამწუხრებულნი სტირით თქვენს ძვირფას საფლავებზე, ისე, როგორც დატყვევებული ებრაელები მისტიროდნენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირზე და რაც უფრო მწარედ სტიროდნენ, მით უფრო გრძობდნენ დაკარგულ თავისუფლებას. თვალები გაახილეთ! მიმოიხედეთ შენს გარშემო! რას ნახავ აქ, შენს სამშობლოში?

6

„ლამე, მარტოობის მტევნით დახურული“

პოეტი – ლამე! შემოდგომის ბნელი, წყვედიანი ლამეა. ისეთი ბნელი, როგორც ბედისწერა, როგორც ის, რაც უნდა მოხდეს, რაც აუცილებელია. მოუხათლავე, კუპრით შავი ლამე. თითქოს მისძინებიათ ავსულებს, ან განგებ სთვლემენ, როგორც ქაოსები. მშვიდია ეს ლამე, როგორც ბავშვის ძილი ან სამუდამო სიკვდილი. სადღაც შორს ისმის ურმის ქრიალი – არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მგზავრობა ასეთ სიბნელებში. სიჩუმეა ჟრუანტელის მომგვრელი. გწყურია, გამოიტანო დინამიტი, რომ ერთი წამით დაარღვიო ეს მყუდროება, გწყურია ცეცხლი ნაუკიდო სოფელს, რომ განათდეს იგი. ისეთი სიბნელება, საცერით რომ უცქირო ამ წყვედიან სახეს, კერპი თვალი უსათუოდ დაგინახავს შენ – გესლიანად მომღიმარე დემონს. მაგრამ არა. აი, მიუგდე გულისყური, გულდასმით დაუგდე ყური. სადღაც შორს, ძალიან შორს ხმაურობს მდინარი. წყალში დამხრჩვალის სულის დაეპატრონენ ავი სულები. დამხრჩვალის სული მოითხოვს შევლას... თითქო ბნელი გოლიათი წევს გულალმა, სძინავს, მას თავს დასწოლია რაღაც ბნელი ძალა და ახრჩობს. აი, მოახრჩო კიდევ. იგი მკვდარია.

ლამე – მარტოობის მტევნით დახურული.

ფარდა – იღუმალი, სარკე – იშვიათი.

საქართველომ მიიძინა, როგორც მეფემ და გამოიღვიძებს, როგორც გაძარცვული მათხოვარი. საუკუნეების ცეცხლიანმა სრბოლამ იმედები წაართვა ერს და ის ნანგრევებში მოექცა. მაგრამ მასში ყოველთვის იყო პოეტი. პოეზია საქართველოში იყო და არის ყველაფერი, რაც ცოცხლობს, მოძრაობს...

პოეზია... რა დიდი სიტყვაა! რა უბოლოო კიბე! რომლის ბურჯი დგას იმ სისხლის მორევში, რომელსაც თანამედროვეობა ეწოდება. მე უნდა ავიდე ამ კიბეზე, მე უნდა ავიტანო მის საფეხურებზე, მაღლა, სულ მაღლა პოეზიის ტვირთი და ავცდე საზღვარს, რომელშიც კაცობრიობაა მოქცეული, ეს არის ჩემი საიდუმლო!

ლამე კი სდუმს, როგორც გატენილი თოფი!

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება. სიო, სარკმლით მონაბერი, ველთა ზღაპარს მეუბნება. მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს, სიო არხვეს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი, ისე არის სავსე გრძობით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,

ისე სავსე უხვ გრძობებით, ვით ამ ლამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ

არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,

ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს ნუთი ნუთზე უამესი,

საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.

ვერც ძილის დროს წელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით სავსე,

ვერ წამართმევს, მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე.

მხოლოდ ლამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,

იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ლამემ,

იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევენ და ვენამე,

ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე – მე და ლამე, მე და ლამე!

დემონი – ღამე ჩვენია, ჩემი და შენი...

პოეტი – ჩემი უბედურება ის არის, რომ ჩემთან ერთად დაიბადე.

დემონი – ნავალ, თუ გინდა...

პოეტი – ნადი... დამტოვე!

დემონი – შენი ნებაა. მაგრამ გვირგვინი დამიბრუნე!

პოეტი მოიხდის ეკლის გვირგვინს. ვერ გადაუნყვებია, დაუბრუნოს თუ არა.

პოეტი – რად გინდა?

დემონი – ჩემია და მიინდა! (ისევ გააჩენს დაფნის გვირგვინს) შენი ეს არის!

დაიდგი თავზე (გამოჯავრებით) „დაფნა მეფეთა“ და უჩემოდ გატარებული ღამეების გარეშე იარე დღისით; ნითელი დროშით ხელში მიედ–მოედე ქვეყანას, ნითელ საზოგადოებას, ნითელ ხელისუფლებას. ხან წიგნის გამოცემა ემათხოვრე, ხან ბინა, ხან პალატო, ხან ჰონორარი, ხან კბილის ჯვარისი, ხან აკადემიკოსობა, ხან ნოდება, ხან ჩინ–მედლები. არავინ არაფერს მოგცემს, რადგან ამ გვირგვინის გარეშე ღამე ღმერთამდე ვერ ამალღდები, დღისით კი თავს მოაბეზრებ ყველას. ბოგანო – გენიოსი ჩვეულებრივ მათხოვრად იქცევი — უგონოდ მთვრალი თხრილში ეგდები. ამ გვირგვინის ეკლები ჩემი ბრჭყალებია, მე გაძლევ ძალას, მე ვხსნი შენში წყაროს თავს, რათა გენიამ სისხლად ტანჯვით იდინოს, გარედ გამოვიდეს. ჩემს გარეშე ერთი ჩვეულებრივ, ლობაზარა კაცად დარჩები, ზედმეტი ყველასთვის, რადგან ზედმეტად ხარ დაბადებული.

პოეტი – რა გინდა სთქვა?

დემონი – ზოგი რამ მიინდა გაგახსენო.

პოეტი – (მოტყეხილი) მე დემონები ქროლვით მარადით

მომაგონებენ დაფარულ მხამით...

7

„ზედმეტი, უცხო, უნაყოფო და განდევნილი“

შორეულად ისმის დები იშხნელების სიმღერა „მე შენს თვალებში ვჭვრეტ სამოთხესა“. გამოიკვეთება სურათი – პოეტის მომაკვდავი მამა და მის საწოლთან დახრილი დედა.

მამა – ველარ მოვრჩები...

დედა – რას ამბობ, გული ნუ გაგიტყდება, ყოჩაღად იყავი...

მამა – ბავშვი წამოიზრდება, შენ კიდევ ისეთი ქალი ხარ, უბედურებას არ დაიმჩნევ...

დედა – ნუ ამბობ. მეორე ბავშვზე ორსულად ვარ, შენ თუ არ იქნები, ერთი ბავშვიც მიეყოფოდა, სხვა რაღად მინდოდა?

ექო შორეულად იმეორებს „სხვა რაღად მინდოდა,

სხვა რაღად მინდოდა,

სხვა რაღად მინდოდა...“

ზმანება გაქრება.

დემონი – ეს სხვა შენა ხარ! სხვა... სხვა... სხვა ბავშვი, ზედმეტად დაბადებული. (თითქოს იხსენებს) ზედმეტი, უცხო, უნაყოფო და განდევნილი...

პოეტი – დედა, სადა ხარ, მამა სადა ხარ, ან რად მინდოდა ეს ტამისცემა, ეს ვარდები, ეს ჟრუანტელი...

დემონი – ზედმეტად დაბადებული ყველგან ზედმეტი ხარ...

8

„მარტო ვარ, მარტო!“

გამოიკვეთება პოეტების ჯგუფი. უსმენენ მომხსენებელს.

მომხსენებელი – ჩვენი მუშურ–გლახური რესპუბლიკის შინაური მტრები არ ისვენებენ. ყველა შეამჩნევდა, რომ ეს რამდენიმე ხანია, რაც ქართულ ნაციონალისტურ პოეზიაში ერთი საშინელი ვაკანალიაა გამართული. მოიგონეთ „პოეზიის დღე“ და იქ ნაციონალისტ მგოსანთა ბუზლუნი სამშობლოზე...

დემონი – (პოეტს) ეს შენზეა...

მომხსენებელი – მოიგონეთ „პოეტების მეფის“ საღამოები, რომლითაც მან ჩვენი საზოგადოების უსაქმურ ნაწილს ისედაც აშლილი ნერვები გაულოზიანა და ჩვენს სამტროდ მომართა. ეს ჩინებული ავითაცვიაა, ჩვენი ამკარა მტრების სასარგებლოდ განუული.

რა გაენწყობა! ჩვენ ვივლით ჩვენი ჩვეული გზით, პროლეტარიატის მხარდამხარ, ისტორიით გაკაფული გზით და თუ ამ გზიდან ეს ჩუმი მოლაღატენი და გაუსწორებელი კუზიანები, ჩვენი ხალხის მეტრორცნი უფსკრულში გადაიჩენებიან, ამის მიზეზი მხოლოდ ის იქნება, რომ დღეს საქართველო ის როდია, რაც იყო წინათ – ახალმა ძალამ ძველი მოსპო, ალაგმა!

დემონი – იქნებ მიხვიდე მათთან?

პოეტი უახლოვდება ჯგუფს. მომხსენებელი გაჩუმდება. ჯგუფი იშლება, მხოლოდ მომხსენებელი რჩება.

პოეტი – სად დაიფანტენით, ძვირფასო მეგობრებო, რისთვის არ მესმის თქვენი ალფრთოვანებული ხმა, გამხნეების ყიჟინა! ჩვენ ხომ ერთად ვიყავით, ერთად ვებრძოდით ცხოვრების ტალღებს, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ გაძლება არ შეგვეძლო. ჩვენ ხომ ასე უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი...

მომხსენებელი – რალაც არ მახსოვს, როდესმე გვეყვარებოდი. საერთოდ რომ არ დაბადებულყავი, არც ეგ იქნებოდა ურიგო. მაგრამ რადგანაც დაიბადე, იყავი შენ — შენთვის, ჩვენ – ჩვენთვის... ნუ გვაფორიაქებ... ნუთუ ვერ ხედავ, რომ ზედმეტი ხარ ჩვენს შორის... (დაცინვით) „პოეტების მეფე“ (უჩინარდება).

პოეტი – არც თქვენ წარმოადგენთ ჩემთვის დიდ საჭიროებას. რაც უფრო მარტო ვარ თქვენგან, ადამიანებისგან შორს, – მით უფრო მეტს სულიერ სიმშვიდეს და გრძობების დამშვიდებას ვგრძნობ. ეს ასეა. არსად ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან, თუნდ საზოგადოებაში. მაშინ ჩემი სასონარკვეთილება უმაღლეს ნერტილამდე აღწევს და არ ვიცი, რა ვქნა. (ყვირის) მარტო ვარ, მარტო!

9

„ბედი, რომელიც მე არ მელირსა“

დემონი – რა გაყვირებს? მარტოობას შენ თვითონ ქმნი. ტყუილად ხომ არ დაგარქვეს „მარტოობის ორდენის კავალერი“?

პოეტი – სიყვარულს ვეძებ, ამაღლებულს, არაამქვეყნიურს...

დემონი – დავინწყით ქოროლვა ზმანებათა უკიდევანო სამყაროში, და იქ დავამსხვრიოთ მარტოობა და ვიპოვოთ სიყვარულს, როგორც დანტემ იპოვა ბეატრიჩე, პეტრარკამ – ლაურა, გოეთემ – გრეტხენი და ედგარ პომ – ლინორ... ეს ყველაფერი ლეგენდებია, გრძნობიერი ზღაპრებია, გამიჯნურებულ ყრმათ დასამშვიდებლად მოგონილი. ისევ დაიდგი ეკლის გვირგვინი და შენც მოიგონე შენი ზღაპარი, შენი სატრფო.

პოეტი – მერი!

დემონი – მერი.. კარგია! (გაზვიადებით) მ ე რ ი ! მ ე რ ი ! (ვარდის ყვავილს მიაჩეჩებს) ასე უფრო ჰგავხარ შეყვარებულს...

პოეტი – შენ ჯვარს იწერდი, იმ ღამეს, მერი!

მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!

აფეთქებული და მოცახცახე
ინვოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იღუმალ გაფითრებული.

ინვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.

მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო, დღესაც არ მჯერა...
ვიცი, წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

ლოდებთან ვილაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ეს დღე არ ჰგავდა.

ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე

„თქუნი და ცხოვრება“ №6

ლონე მიხდელი მივანექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის, ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა –
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

სთქვი: უეცარი გასხვიოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ლამეს“?

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი – ვით მეფე ღირი,
ღირი, ყველასგან მიტოვებული.

10

„რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“

დემონი – როგორ გრძნობ თავს, მეუფეო?

პოეტი – დიან, ბედნიერება მარტობაა...

დემონი – მაშ ჩემი უზომოდ მაღლიერი უნდა იყო.

პოეტი – რად გინდა იყო დიდი პოეტი,

თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?

დემონი – და ვერ იქნები დიდი პოეტი, თუ სიცოცხლეში ხარ ბედნიერი.

პოეტი – ვიყავი კი როდისმე ბედნიერი?

დემონი – ბედნიერებით აღვსილი სწორედ მაშინ ეჩვენებოდი ხალხს და ხელისუფლებას, როდესაც შენი ერთადერთი მეგობარი და მეუღლე წაგართვეს. მოგაშორეს. დაიჭირეს. გადაასახლეს, უღრან ტყეში დახვრიტეს. გემუდარებოდა – ხერილი მომწერო, დუმილით პასუხობდი.

პოეტი – რალაც დაიმსხვრა სასტიკად და დაუნდობლად. სულიერმა კატასტროფამ ყველაფერი უდაბნოს დაამსგავსა...

დემონი – შეხედე, დასტკბი, და მერე მითხარი, განა არსებობს ამქვეყნად ბედნიერება, თუ ეს მხოლოდ ღმერთისგან მოგონილი სატყუარაა...

გამოიკვეთება ორი „ჩეკისტი“ სანამებელი მოწყობილობით. მათ შორის ქალის სილუეტიც.

1-ლი ჩეკისტი – საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლავრენტი ბერიას მოხსენებითი ბარათი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს იოსებ სტალინს. 1941 წლის სექტემბერი.

„სრულიად საიდუმლოდ.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის საომარ მოქმედებათა გამო ყველაზე მეტად გაბოროტებული სახელმწიფო დამნაშავენი შინსახკომის სატუსალოებში პატიმრებს შორის ენევიან ძირგამომთხრელ აგიტაციას და ცდილობენ გაიქცნენ მავნებლური საქმიანობის გასაგრძელებლად.

წარმოგიდგინთ სხვადასხვა დროს ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული და სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის მსჯავრდებული 141 პატიმრის სიას. საბჭოთა კავშირის შინსახკომს აუცილებლად მიაჩნია მათ მიმართ გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. მასალების განხილვა დაევალოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. გთხოვთ თქვენს გადანიშნულებას.

ლავრენტი ბერია

2-ე ჩეკისტი – „გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა სხვადასხვა დროს ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული და სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის მსჯავრდებული 141 პატიმრის მიმართ. მასალების განხილვა დაევალოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

იოსებ სტალინი“

დემონი – ორი დღის შემდეგ, 1941 წლის 8 სექტემბერს, უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წინასწარი გამოძიების გარეშე, გამოუტანა განაჩენი 141 პატიმარს და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

სიამში ყველაზე ახალგაზრდა 19 წლისაა, ყველაზე ხნეირი 69 წლის. 39 ქალია. უმეტესობა ებრაელები არიან, ან ხალხთა ძმური ოჯახის სხვა ერების შვილები. რუსი ორმოცამდეა. ქართველი ოთხია. მათ შორის ოთხმოცდამეჩვიდმეტე ნომრით...

პოეტი – მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები.

დემონი – არა, ეგ ადრინდელია! ამ დროს ჩვენ სხვანაირ რითმებს ვხლართავდით. ალტაცებულს, აღფრთოვანებულს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს...

ოლია – საგანგებო ოთახში შემიყვანეს...

დემონი – რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს...

ოლია – პირში დაგორგოლებული ჩვარი ჩამჩარეს...

დემონი – უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უალრესს...

ოლია – მეორე ჩვრით პირი ამიკრეს...

დემონი – თვალნი გავაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს...

ოლია – და განაჩენი გამომიცხადეს.

დემონი – მრავალ ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს...

ოლია – სხვადასხვა დროს ტერორისტული,

დემონი – აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან...

ოლია – ჯაშუშურ-დივერსიული...

დემონი – ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,

ოლია – და სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის...

დემონი – უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს...

ოლია – მიესაჯოს...

დემონი – მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან...

ოლია – სასჯელის უმაღლესი ზომა...

დემონი – ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას...

ოლია – დახვრეტა...

დემონი – კარჩაკეტილი ცხოვრებიდან – გავიდეთ მზეზე!

ოლია – განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

დემონი – უღმობელს ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის...

ოლია – ტყეში ხეები ფესვებიანად მოთხარეს...

დემონი – ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,

ოლია – დახვრეტილები ორმოებში ჩაგვყარეს...

დემონი – რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს,

ოლია – ხეები ისევ თავის ორმოებში ჩააბრუნეს და კვალი ჩვენი სამუდამოდ ნაშაღეს.

დემონი – ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

ოლიას და ჩეკისტების ზმანება გაქრება.

11

„ელვარება ნაპირი სამუდამო მხარეში“

პოეტი – ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით. ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით... იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით შემიძლია შევანერო ამ მოუსვენარი გულის ცემა...

დემონი – ჯერ ადრეა...

პოეტი – ჩემი სამწერლო მაგიდის ფეხზე მიბმული ჭინკა

სტირის – რად გინდა, რად გინდა ლექსი

და ალის ჭიქა?

რად გინდა ბროლის რიტმი, მუსიკა?

სიკვდილი გელის!

წრიალებს ჭინკა, ხმაურობს ჭინკა

და მწარედ მწყევლის.

არის აქ შემლა და ჯოჯოხეთი

თუ ისტერია.

შენ მართალი ხარ, მართლაც

რომ ბედი არ მიწერია!

შენ მართალი ხარ! ლურჯი ედემი
ქარმა დაბურდა,
მაისი გაჰქრა და ბალი ჩემი
გაუდაბურდა!
უჩინრად რბიან დღენი და თვენი,
არ ვთვლი მათ დენას
და გამარჯვება, უდაბნოვ, შენი
მე მართმევს ენას.
საუკუნეთა ვდგევარ წინაშე
ასე გულმკვდარი,
თან ქვითინებენ – ჭინკა ბინაში
და გარეთ ქარი!

დემონი – ცოლი დაგიხვრიტეს, სამაგიეროდ ლენინის ორდენით დაგაჯილდოვეს...

პოეტი – რა უსაზღვრო უთვისტომობაა...

დემონი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მოგენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის ნოდება – მხოლოდ შენ ერთს...

პოეტი – რაგვარი უფსკრული მიდგას წინ და მიპირებს შთანთქმას... ბავშვობიდანვე მწამდა ბედისწერა – მოირა, როგორც ეძახიან, ფატალიზმი. იგი ჩემი მუდმივი მტერია. მე არ მასსოვს მისგან რაიმე კეთილი საქმე. ხვალისდელი დღე ჩემთვის არ ვიცი, როგორი იქნება... მაგრამ ჩემი მტერი, ჩემი ბედისწერა უთუოდ აქაც თავისას დამმართებს.

დემონი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრებამ ერთხმად აგირჩია აკადემიის წევრად და მოგანიჭა პოეტ-აკადემიკოსის ნოდება.

პოეტი – მეშინია, გესმის, მეშინია... ამკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტობას... ეს უჩინარი სენი მეპარება. ესეც ხომ ავადმყოფობაა! და ვით სიკვდილით დასჯილი სახრჩობელას წინ, თვალთ ვეძებ მონათესავე სულს...

დემონი – ვიდრე შენთან ვარ, არაფრის შეგეშინდეს...

პოეტი – ცხოვრებას რა ვუყო? რა ვუყო ოთახს, რომელიც მჭირდება მარტობისთვის, პალტოს, რომელიც მჭირდება სეირნობისთვის, ქალაქშიც მჭირდება, მეღანი, კალამი... სანთელი, ფული... ფული! განა შეიძლება მე ფული არ მქონდეს! ბოლოს და ბოლოს, წიგნებიც ხომ უნდა გამოიცეს... ჩემთვის ხომ არ ვწერ ამდენს!

და კიდევ ათასი რამ...

მომაბეზრებელი, ერთფეროვანი ცხოვრება თითქოს შემოდგომის ნისლიანი დღეების გაგრძელებაა და უკუღმა – შემოდგომის დღეები საშინლად ჰგავს ამ ერთფეროვან ცხოვრებას...

ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები

და ვეთხოვები მწარე ქვითინით...

ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი, დიდი ხანია დავეძებ მე ამ სიკვდილს.

დემონი – ჯერ ადრეა... ჯერ აქ გვაქვს ბევრი საქმე... ლეგენდა ბოლომდე უნდა შევქმნათ. შენ წახვალ, მე და შენი ლეგენდა დავრჩებით. მერე, შენს მაგალითზე უფრო ადვილად გადავსახლდები სხვასთან. დაჰკრავს ჟამი და სიმაღლეზე ასულს მე თვითონ წაგკრავ ხელს და გაგამგზავრებ.

პოეტი – სად?

დემონი – იქ, სამუდამო მხარეში.

პოეტი – როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,

ელვარება ნაპირი სამუდამო მხარეში!

არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,

ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარემე.

მდუმარების გარემე და სიცივის თარეშში,

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!

ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევნარ ცივ სამარეში,

წევნარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით

უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან

სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით

ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!

იჩქარიან ნამები! მე კი არ მენანება –

ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში.

გაქრა ვნება-ნამება, როგორც ღამის ზმანება,

ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.

ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,

ჩქარი გრგვინვა-გრილით ქრიან ლურჯა ცხენები!

ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია,

ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!

რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?

ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა,
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმოლო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ნეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვიზვა—გრიალით ქრიალ ლურჯა ცხენები!
(პაუზის შემდეგ. ეტყობა ლექსმა დაღალა)

დავიღალე!
საოცნებო საზღვარი კიდევ შორს არის? მეტი რაღა ვქნა, რაღა შევქმნა? განა უფრო ზევით არის
რამე? იქნებ ახლა, აი, ახლა. ამ წუთს... მე მზად ვარ... მომეხმარე!

დემონი — ჯერ ადრეა... ცოტა ხნის შემდეგ...

პოეტი — (უეცრად) ახლა უკვე გვიანაა! ავანგრევ ქვეყანას და თავიდან ავშენებ!
ქიმერა, რაღაცას მიმაღავ!

12

„ნიღაბს მოირგებ და გაუცხოვდება“

დემონი — არაფერს, ხელმწიფეო.

პოეტი — რას მაღაგ—მეთქი?

დემონი — (ურვენებს გაზეთების დასტას) შენი მტრები... ძალიან ბევრი მტერი გყავს...

პოეტი — წამიკითხე!

დემონი — (კითხულობს) „...ეს ლექსი გადამღერება ბულვარული პოეზიის ზოგიერთი ეგრეთ
წოდებული შედეგისა, რომელსაც დღეს მხოლოდ გიმნაზისტები კითხულობენ და ცრემლებად
იღვრებიან. ეს არაფერს მატებს პოეტის სახელს...“

პოეტი — ასე გამოდის, რომ მე ბულვარული პოეტი ვყოფილვარ!

დემონი — (აგრძელებს) „მეტისმეტად სეზონის პოეტი გამოდგა... მაშხალისებურად ავარდა ჩვე-
ნი პოეზიის ჰორიზონტზე და ნაადრევად დაცხრა... დღეს ის თავისი ძველი ლექსების გადამღერე-
ბას უნდება...“

პოეტი — ჩემზე მეტს არავინ სწერს...

დემონი — (აგრძელებს) „ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე კარგი ლექსის ავტორია...“

პოეტი — რამდენიმეც საკმარისია!

დემონი — „მის პოეზიაში ბევრია სასტიკი ადგილი, არამხატვრული, ყალბი. ზოგიერთი შედარ-
ებები და მეტაფორები თარგმანია უცხოური სახეებისა...“

პოეტი — არამხატვრული, ყალბი... რაღა დარჩა სალანძღავი სიტყვებიდან?

დემონი — „ჩვენს პოეზიას და მწერლობას ახსოვს მანათობელი მაღალი სახელები, რომლებიც
უგვირგვინოდ ჩასულან საფლავში და არავის მოსვლია აზრად ისეთი აბსურდი, რომ რომელიმესთ-
ვის პოეზიის მეფობა ებოძებინა...“

პოეტი — მე ვამაყობ ამ სახელწოდებით არა იმიტომ, რომ მართლაც მეფე ვიყო...

დემონი — ოო, აი, შენი თანამოკალმე რას გვთავაზობს: „დროა, დაუსვა ტყვიის ნერტილი განვ-
ლილ დროსა და შემოქმედებას!“

პოეტი — მხეცი არ თმობს თავის ხელობას და პოეტს ურჩევს რას? თვითმკვლელობას!

რომ იცოდეს ვინმემ, რა ძნელია ამ უსინდისო დროში, ამ მთხლე საზოგადოებაში იყო პოეტი!
ადამიანების მთელი თაობა, რაც უნდა ზაჰესის, რიონჰესის, ხრამჰესის კილოვატებით არ აანთო,
მაინც გულგაუნათებელი დარჩება. ეს მთხლე საზოგადოება ვერ ხვდება, რომ ჩვენს გარშემო ლა-
მეა და არაფერი სჩანს. განკარგულება მოახდინეთ, ბატონებო და თუ შეიძლებოდეს, აანთეთ სან-
თლები! ეს არც ისე ძნელი საქმეა, მაგრამ თქვენ არ გსურთ: თქვენ სიბნელები გირჩევნიათ, თქვენ
გეშინიათ სინათლის, თქვენ გეშინიათ ნამდვილი საქართველოსი!

დემონი — დიდებული ხარ, როდესაც მალა დაფრინავ და ძირს დაშვებულს უფლება არა გაქვს
მოკვდავთა შორის შენც ერთ-ერთ რიგით მოკვდავად იარო. უნდა მოვიფიქროთ რამე. აიღე პორტ-
ფელი, პალტო ჩაიცვი, თავზე ეს ქუდი დაიხურე!

პოეტი — რატომ?

დემონი — შენი მეორე „მე“ უნდა შევქმნათ... ასეთი ივლი კარდაკარ... რედაქციებში, რესტორნებ-
სა და ღუქებში, ხელოვნების სასახლესა და აკადემიაში, და საერთოდ, ასეთად დაამახსოვრდები
თანამედროვეთ: უცნაური, არამქვეყნიური, არაჩვეულებრივი...

პოეტი — მგონია, მართალი ხარ! ჩვენში არის დაფარული მეორე „მე“, — უფრო ნამდვილი, ვიდრე
ხილული „მე“. ერთს საიდუმლოსაც გაგანდობ, ძამიკო. ერთ რამეში, სასტიკ სინამდვილეში, თან-
დათან ვრწმუნდები. მე, თურმე, მთელს დედამიწის ზურგზე არ შემძლება არავისთან გულწრფე-
ლი საუბარი... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიას შეადგენს. დე, ეგრე იყოს — ნიღაბმა დაფაროს ჩემი

„თქვენი და ცხოვრება“ №6

ჭეშმარიტი „მე“. დაე, ამ ნილაბმა იაროს ქურა-ქურა. იქნებ ეს ერთადერთი ხსნაა, რომ გადავურჩეთ ამაოებათა ამაოების ორომტრიალს...

დემონი – ნილაბს მოირგებ და გაუცხოვდები...
პოეტი – (მუხლებზე დაეცემა) ოჰ, ღმერთო!
შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს,
ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს,
ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს
და ეხლა მძინარეს.
შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს – ჩემს თვალებს,
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დადალულს,
მე შენი უმანკო ნათელი მანვალებს,
მე ველი სასნაულს.

13

„როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი...“

დემონი – მამ ასე, დაგვიწყია სვლა-წასვლა...
პოეტი – მაგრამ სად უნდა წავიდე, არ ვიცი! არც ერთი მეგობარი, არც ერთი ოჯახი თბილისში...
დემონი – მაინც დაგვიწყია სვლა-წასვლა. (გააჩენს ორ ჩემოდანს. შიგ ხელნაწერებს აწყობს)
ხელნაწერები ორ დიდ ჩემოდანში და ერთ ტომარაში ჩაგვიწყია და წავსულვართ!
პოეტი – სად?
დემონი – რედაქციაში...
პოეტი – მივსულვართ რედაქციაში.
დემონი – დაგვიტოვებია ჩემოდნები ხელნაწერებით...
პოეტი – და გაკვირვებული რედაქტორი დაფრენილი პირით და გაგვიგრძელებია სვლა-წასვლა.
დემონი – მივსულვართ მწერალთა სასახლეში. კრება ჰქონიათ პოეტებს...

გამოიკვეთება „მწერალთა კრება“. ტრიბუნაზეა „გამომსვლელი მწერალი“. მის გამოსვლას ფონად საბჭოთა ბრავურული მარში მიჰყვება.

გამომსვლელი – ამხანაგებო! სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამოკალმე იმ კონტრრევ-ოლუციურ ჯგუფში აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა ხალხმა დახვრეტის სამართლიანი განაჩენი გამოუტანა (მისი „სიტყვა „თანდათან ისტერიულ ტონალობაში გადადის, ამ გამკვივან ხმაში ძლივს ვარჩევთ სიტყვებს „დახვრეტა“, „ჯამუში“ და ა.შ.). ურყევი ფაქტებით დადასტურდა, რომ ეს გარე-ნრები ენეოდნენ ჯამუშურ მუშაობას, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, აწყობდნენ დივერსიებს, ცდილობდნენ გაეყიდათ ჩვენი სო-ციალისტური სამშობლო. ხალხმა მათ ღირსეული განაჩენი გამოუტანა. ეს ხალხის მოლაღატენი დაისჯებიან პროლეტარული დიქტატურის კანონის მთელი სისასტიკით.

პოეტი – წავიდეთ, ძამიკო!
მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების,
გაუთავებელი როცა კამათია,
არ ღირს იმ ცრემლად, თვალს რომ მოედება
და ღრმა მოგონებამ მე რომ დამათია...
საწყალი კაცის აფთიაქში თუ გავიკურნებით ამ საწამლავისგან. გაგვიგრძელებია სვლა-წასვლა.

დემონი – შევსულვართ საწყალი კაცის აფთიაქში..
პოეტი – გვითქვამს:
სადაც უნდა შევიარო,
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო –
ღვინოს დააბრალებენ!
და დავმთვრალვართ უზომოდ!
დემონი – მივსულვართ ოპერაში...
პოეტი – შეგვიხედავს შიგნით...
დემონი – მგონი სახალხო პოეტის იუბილეა... იქ უნდა იყო, სავარძელში დაბრძანებული.
პოეტი – კარგი, კმარა, ვინ არ ნედავს, რომ ეს ხრიკი ამაოა, იუბილე დაერქმევა და დამარხვა კი გამოვა.

დემონი – გაგვიგრძელებია სვლა-წასვლა...
პოეტი – მივსულვართ მთავრობის თავმჯდომარესთან.
დემონი – მიგვირთმევიან საჩუქარი.
პოეტი – ბედისგან დაჩაგრული პოეტი მოგართმევთ ამ წიგნს და მოუთმენლად ველოდები თქვენს განკარგულებას შემდეგი ტომის გამოსვლის თაობაზე.

დემონი – გაგვიგრძელებია სვლა–წასვლა.

პოეტი – მივსულვართ ქალაქის თავთან.

დემონი – მიგვიტანია განცხადება ბინის თაობაზე.

პოეტი – გაუუმჯობესეთო საბინაო პირობები სახალხო პოეტს, უბრძანებია თავმჯდომარეს...

დემონი – თითი თითზე არ დაუკარებია არავის და გაგვიგრძელებია სვლა–წასვლა...

პოეტი – შემოგვლევია ფლური...

დემონი – ეხ, ეს ფლური, ფლური.

პოეტი – მივსულვართ გამომცემლობაში, მოგვითხოვია ავანსად ჰონორარი.

დემონი – გაკვირვებია ბულალტერს – გუშინ არ აიღეო ჰონორარი...

პოეტი – ჰონორარით რომელ პოეტს უცხოვრია, მე რომ ვიცხოვრო, გვითქვამს ბულალტრისთვის, აგვიღია ფლური და გაგვიგრძელებია სვლა–წასვლა.

და ისევ დავმთვრალვართ უზომოდ.

დემონი – დავვიკარგავს ორდენი, პალტო, საბუთები, ხელნაწერები...

პოეტი – მთავრობას ახალი ორდენი მოუცია, ხელნაწერები საშუადაოდ დაკარგულა... გაგვიგრძელებია სვლა–წასვლა. დასამშვიდებლად ისევ სანყალი კაცის აფთიაქში შევსულვართ და ისევ გაგვიფრენია ოლოლი.

დემონი – გაგვიგრძელებია სვლა–წასვლა...

პოეტი – დაგორებული კასრი სალტესავით გვიგორავ–გვიქანავია...

დემონი – და შუა ქუჩაში მოგვიდენია ზღართანი.

პოეტი – ქუჩაში, მტვერში, ნაიქცა ბავშვი

ნუკრის თვალებით, თმით–მიმოზებით.

და მწუხარების მალე ნიაფში

მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კიოდა ქუჩა,

შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა,

მზეზე ჰყვავოდა სოფლად ალუჩა,

და გაისმოდა დების სიმღერა.

დემონი – ისევ გავგორებულ–გავტოკებულვართ კასრის სალტესავით და ისევ დაგვიწყია სვლა–წასვლა...

პოეტი – ავსულვართ მთანმინდაზე...

დემონი – მივსალმებივართ მთვარეს..

პოეტი – ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით ინვეგს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...

ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!

მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,

და მის შუქში გახვეული მსუბუქე სიზმარივით

მოსჩანს მტკვარი და მეტენი თეთრად მოელვარე...

ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!

აქ, ჩემს ანლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით.

აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მზიარული...

ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,

ოლონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,

თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,

და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები!

თუ სიკვდილის სიანლოვე როგორ ასწავაფერებს

მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,

თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,

სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა,

რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,

რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე.

რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ანლო სიკვდილს ვეგებები,

რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,

რომ ნაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი...

რომ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

დემონი – გაგვიგრძელებია სვლა–წასვლა... უნდა ვიაროთ, ვიაროთ, დრო ცოტა დაგვრჩა!

პოეტი – მივსულვართ ტაძარში...

დემონი – ტაძრის კედელთან მლოცველი მეძავი გვინახავს...

დაჰკარით ქვა მრუშსა ამას!

პოეტი – ვინ არის უცოდველი თქვენს შორის, პირველმა მან დაჰკარას ქვა!

მითხარი, ძამიკო, ვინმე უცოდველი გეგულება დედამინაზე? ან იქნებ ის მითხრა, რა სასწაუ-
ლით, რა საწყაულით, პოეტი უნდა შეიქნეს მოგვი? ან იქნებ ამიხსნა, ცოდვანი ჩვენნი ჩვენად რად
ჰვიან ან და მარადის, უკუნითი უკუნისამდე?

(შორეულად ჟღერს ქალთა გუნდი). ჩუმად, უსმინე საგალობელს...

დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!
როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია,
და შორეული ცის სილაჟვარდე.

შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ ოდესმე ისევ გათენდა –
ლამენათევი და ნამთვრალევი
დალლილ ქალივით მივალ ხატებთან!
ლამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.

და მაშინ ვიტყვი – აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბალით!
მეხედე, დასტკბი ყმანვილურ ბედის
დალლილ ხელებით, ნამებულ სახით!

მეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, –
ლამენათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!

დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.

სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალგერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული,

და როცა ბედით დაწყველილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!

დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ლამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.

დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!
როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

4

„უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი“

დემონი – მოვედით! მივალწიეთ! შენი სული საოცნებო საზღვარს მისწვდა. გენია ამეტყველდა!
ცუდად არ ჩაიარა ამ განწირულმა სულისკვეთებამ. საზღვარს იქით – გზაა შორით–შორისი დროთა
უსაზღვრობისკენ. საზღვარს აქეთ – ახალი ქაოსები ულევ მწუხარებათა შორის. იქით – მარადისო-
ბა, აქეთ – მიუსაფრობა. არჩევანი შენზეა.

პოეტი — უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი... იქით დროთა უსაზღვრობაა, აქეთ კვდება
პოეზია. საბრალო მენესტრელისთვის ადგილი არაა დედამინაზე. საბედისწერო ბრძოლაში ეცემიან

უერთგულესი რაინდები. პოეტის დაუკმაყოფილებელი სული იხუთება თანამედროვეობაში. ეგო-ისტურმა ანგარიშებმა სრულიად წააშალა ლტოლვა არაქვეყნიური ოცნებისადმი. ადამიანებს შორის აღარ არის არავითარი კავშირი, უსულო და უგულო ანგარიშების გარდა. ამოდ გვწყუროდა იდეალი და ჰარმონია. ჩვენ ვცხოვრობდით იდუმალების და სასწაულის მოლოდინში. მარტოდმარტო ვიყავი მე ამ საბედისწერო ბრძოლის ფონზე. ვერავითარი ხმა ვერ მავინწყებდა იმ ზეციურ ხმებს. მაგრამ ამ დროს რომანტიკული ირონია კიდევ აძლევდა პოეტს საშუალებას ამაღლებულიყო საბოლოო საგანთა ქვეყანაზე. ჩვენს დროში პოეტი სრულიად არ სჩანს და ვერავინ წავა დაუსჯელად ოცნების სამეფოში. აქა ტრაგედია თანამედროვე პოეტის. დაგვიანებული რომანტიკოსები!

მართლაც გასაგებია მათი ტანჯვა. ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამნაცრებელმა დრომ. მოკვდა წყნარი რომანტიზმი... შენ მართალი ხარ – ოცნებების და სიზმრების დრო წავიდა! აღარაფერი გამახარებს, თვით ტკბილი სინამდვილეც კი! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე და ოცნებით დავხატე. და რაც ოცნებებში განვიცადე მთელი არსებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?

ოცნება ფერს ჰკარგავს და საგანთა იერი – სიმკვეთრეს. სიტყვას ძალა ეცლება და ზმანებანი ველარ ქრებიან ქარებად. ახლა კი დროა! მარადისობა ჩემი არჩევანი...

დემონი – არ მინდა შენთან განშორება...
პოეტი – მე მსურს დემონი განვდევნო ლოცვით,
ის ჩემთან ერთად ლოცულობს მაინც...
დემონი – გენია არ შეიძლება ნელა კვდებოდეს... ეს უცბად უნდა მოხდეს.
პოეტი – ნუ გეშინია. ხომ გახსოვს – სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გარდა. მზად ვარ შევუდგე გზას შორით შორისს.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მინას დაჰყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამოდ დაგენდე,
ელვარე სალამოვ აღმას საყურეთა!
დემონი – შენში ვცხოვრობდი... ერთ არსებად ვიყავით შეერთებულნი...
პოეტი – ბაგათა ლოცვაო, დიდება, დიდება და ძეგლო
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კოშკები, ლიდის სამრეკლო
შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და ლოცვა მომესმა.
დემონი – მე არა ვარ ლუციფერი, მე მხოლოდ ძალა მოგეცი – დემონური, აზვირთებული...
პოეტი – ოჰ, როგორ ვაფთორდა ციურთა თანადი
ოცნება, ნახაზი საგანთა უარით,
ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი
რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ.
დემონი – შენ სტრიქონებში უკვდავმყავი...
პოეტი – ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის
ამოდ დაგენდე და ჩვენ ერთმანეთი
ამოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
დემონი – შენ მარადისობის საზღვარს გადახვალ...
პოეტი – ქარვათა მორევეში დაეშვა ფარდები
სალამო კანკალებს შიშით და რიდობით.
დემონი – მე აქ დავრჩები, შენს ლექსებში, ნიგნების ფურცლებზე ლანდად გაკრული...
პოეტი – სალამო ნელდება და კვდება ვარდები...
დემონი – და მხოლოდ მაშინ გავცოცხლდები ცოტა ხნით, როდესაც მომავლის რომანტიკოსი

გაშლის ნიგნს...
პოეტი – მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!...
დემონი – კიდევ ცოტა, სკამზე შედგები, სარკელს გაალებ და გადაფრინდები...
პოეტი – ეს, ცხოვრებავე, ბევრი რამ დარჩა ჩვენს შორის გაუგებარი... მოდი, გავსწორდეთ... ამ-იერიდან შენთან საერთო აღარაფერი მაქვს. სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ.
დემონი – მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
პოეტი — მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს, –
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

ბარეჯანის პირველ გვერდზე:

სცენა კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან – „რევიზორი“

მეორეხე გვერდზე:

სცენა სენაპის აპაკი ხორავას სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან

„მამამა ღმერთს ჩამაჯვარა სახელი“

„თეატრი და ცხოვრება“

„ТЕАТР И ЖИЗНЬ“

„THEATRE AND LIFE“

№6, 2011

დამკაბადონებელი
გიორგი მალხასიანი

კორექტორი
მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

ფასი – სახელმწიფო


რედაქციის მისამართი: თბილისი 380007, გ. ლეონიძის ქ. №11ა.

ტელ.: 999096

აიწყო და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში

თეატრი
და
ცხორება

№ 6
2011



ISSN 1987-8974



9771987897006